სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 29 სექტემბერი 1999 №186 (959) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამვეთიას ასი გოლი

„დინამოს“ თავდამსხმელმა წყალტუბოში დაწყებული ასეული წყალტუბოშივე შეასრულა

ქეცბაია ნოემბრამდე დაისვენებს

საქართველოს ნაკრები ალბანეთში დაშავებული თემურ ქეცბაიას გარეშე წავა

არსენალი ბარსელონაში

ვენგერი „ბარსას“ ემუქრება

ჯონსი სექსუალური აგრესორია?

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელს უზნეობაში ადანაშაულებენ

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

ქეთევან ლოსაბერიძე

დიდი რაგბის შემოდგომა

წარმოგიდგენთ მსოფლიოს თასის A და B ჯგუფის მონაწილეებს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

III ტური

E ჯგუფი

რეალი	3
პორტუ	1
ოლიმპიაკოსი	3
მიოლდე	1

F ჯგუფი

ბაიერნი	1
ვალენსია	1
პსვ	0
რეინჯერსი	1

G ჯგუფი

სპარტა	4
ტილბურგი	0
ბორდო	2
სპარტაკი	1

H ჯგუფი

მილანი	1
ჰერტა	1
ჩელსი	1
გალათასარაი	0

პირველი ეტაპის ეკვატორზე

REUTERS მიუნხენიდან

მილანი — ჰერტა. მილანელ ოლივერ ბირჰოფზე მარჯვედ ბურთს ვინ უთავაზებს

REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ვალენსია. ჯოვანი ელბერი ჟოსელინ ანგლომასა (მარცხნივ) და ხერარდ ლოპესს შორის

პირველი ეტაპის ეკვატორზე

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური

E ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 3:1 მოლდე

1:0 ჯოვანი (15), 1:1 ლუნდი (58), 2:1 ჯოვანი (69), 3:1 ლუჩიანო (77)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ჯოვანი, ამანატიდისი, პურსანიდისი, პასალისი, კარაპიალისი (გოგიჩი 61), ჯორჯევიჩი, ოფორი კუაე (ლუჩიანო 67), ზაჰოვიჩი, ანატოლაკისი

მოლდე: ბაკე, ჰესტადი, ტესემი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი, ოლსენი, მორკი (შეი 48), სტრანდი, ფიორტოფტი, სანდგოტი, ლუნდი

მსაჯი: ლ. მიჩელი (სლოვაკეთი)

რეალი 3:1 პორტუ

1:0 მორიენტესი (22), 1:1 ჟარდელი (23), 2:1 ელგერა (37), 3:1 იერო (67პ)

რეალი: ბისარი, სალგადო, იერო, ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ელგუერა (სანჩისი 83), რედონდო, მაკმანამანი (ზეედორფი 57), რაული, სავიო (ეტოო 89), მორიენტესი

პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, კოშტა, ფუქსი, პეიშე, დეკო, ჟარდელი, ჩაინიო (ჟუნიორი 57), ნუნო კასტრო (ოლივეირა 50), დრულოვიჩი (ფეპერი 87), ესკერდინია

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

რეალი	3	2	1	0	10:5	7
პორტუ	3	2	0	1	4:3	6
ოლიმპიაკოსი	3	1	1	1	6:6	4
მოლდე	3	0	0	3	2:8	0

20 ოქტომბერი. პორტუ — რეალი; მოლდე — ოლიმპიაკოსი

F ჯგუფი

ბაიერნი 1:1 ვალენსია

1:0 ელბერი (6), 1:1 ხ. ლოპესი (80)

ბაიერნი: კანი, ლინკე, მათეუსი, კუფური, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, ციკლერი (სანტა კრუზი 45), შოლი, ელბერი (იანკერი 62), სალიჰამიჯიჩი

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, მენდიეტა (ანგულო 87), კ. ლოპესი, ხ. ლოპესი, კარბონი, სანჩესი (ილიე 62), გონსალესი (ფარინოსი 85), ანგლომა, ალბელდა

მსაჯი: გ. ჩეზარი (იტალია)

პსვ 0:1 რეინჯერსი

0:1 ალბერტეი (84)

პსვ: ვატერეუსი, დირკსი, ჰაინცე, ხოხლოვი, ვან ნისტელროი, ნილისი, ვან დერ დულენი (ბრუგინკი 80), რომედალი (კოლკა 63), ნიკიფოროვი, სტინგა (ბომა 68), ვიელაერტი

რეინჯერსი: შარბონიე, პორინი, ამორუზო, მური, ნუმანი, რეინა (ალბერტეი 24), ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მოლსი, უოლესი, მაკკენი

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

ვალენსია	3	1	2	0	4:2	5
ბაიერნი	3	1	2	0	4:3	5
რეინჯერსი	3	1	1	1	2:3	4
პსვ	3	0	1	2	2:4	1

20 ოქტომბერი. რეინჯერსი — ეინდჰოვენი; ვალენსია — ბაიერნი

REUTERS ეინდჰოვენიდან

პსვ — რეინჯერსი 0:1. მიხაელ მოლსი (მარჯვნივ) მასპინძელ იან ჰაინცეს გაურბის



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — გალათასარაი 1:0. კლაუდიო ტაფარელი მოედნიდან გააძევეს

G ჯგუფი

სპარტა 4:0 ტილბურგი

1:0 ნოვოტნი (26), 2:0 პროპაზკა (29პ), 3:0 როსიკი (41), 4:0 იაროშიკი (58)

სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, ჰორნაკი, ნოვოტნი, ბარანეკი (ობაიდინი 82), სიონჯო (ზიგლი 84), პროპაზკა (იაროშიკი 36), როსიკი, ფუკალი

ტილბურგი: მამპეი, პრომაიორი, ჯენტილე (ბომბარდა 46), ვიქტორია, ჰილი, შუკოვი, გალაშეკი, არტსი, სესაი, იალიესი, აბდელაუვი (სანუ 81)

მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

ბორდო 2:1 სპარტაკი

1:0 ვილტორდი (9), 2:0 მიკუ (56), 2:1 ბეზროდნი (64)

ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ბონისელი, მარტინსი (ბატლე 72), პავონი, დიაბატე, მიკუ, ვილტორდი (ფეინდუონო 87), ლასლანდი

სპარტაკი: ფილიმონოვი, პარფიონოვი, ხლესტოვი, ევსეევი, ბუშმანოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 55), ბულატოვი (ციმბალარი 46), ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი

მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

ბორდო	3	2	1	0	5:3	7
სპარტა	3	1	2	0	5:1	5
სპარტაკი	3	1	1	1	5:4	4
ტილბურგი	3	0	0	3	3:10	0

20 ოქტომბერი. სპარტაკი — ბორდო; ტილბურგი — სპარტა

H ჯგუფი

მილანი 1:1 ჰერტა

0:1 დაეი (69), 1:1 ბირპოფი (73)

მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა, მალდინი, პელეგი (გული 57), ალბერტინი (ჯუნტი 75), გატუზო, სერჟინიო, ლეონარდო, ბირპოფი, შევჩენკო

ჰერტა: კირალი, ჰერეოგი, ვან ბურიკი, შმიდტი, დარდაი, ჰელმერი, დაისლერი, მიკალე, ვოში (ნოენდორფი 82), დაეი, პრეეტეი

მსაჯი: ფ. ვეისიერი (საფრანგეთი)

ჩელსი 1:0 გალათასარაი

1:0 პეტრესკუ (55)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, მორისი, დესაი (ჰოგი 63), ლებეფი, უაიზი, ძოლა, ამბროზეტი (პოიეტი 53), სატონი (ფლო 85)

გალათასარაი: ტაფარელი, უნსალი, ბურუქი, პოპესკუ, ფათიპი, არიფი (მეპმეთი 34), ერგუნი, კაპონე, უმითი, ჰაჯი (ჰასანი 73), ჰაქან შუკური

გაძევება: ტაფარელი (33)

მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

ჰერტა	3	1	2	0	5:4	5
მილანი	3	1	2	0	3:2	5
ჩელსი	3	1	1	1	2:2	4
გალათასარაი	3	0	1	2	3:5	1

20 ოქტომბერი. ჰერტა — მილანი; გალათასარაი — ჩელსი



REUTERS ბარსელონიდან

რეალი — პორტუ 3:1. მარიო ჟარდელმა მასპინძელთა მეკარის ბისარის შეცდომით ისარგებლა

მადარიდის „რეალმა“ სეზონი, რომელშიც როგორც შინაურ ასევე საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ მარცხი არ უწვნევია, წუხელ „პორტუს“ 3:1 ძლევით განაგრძო.

მადრიდელებმა მოწინააღმდეგე ყოველმხრივ დაჩრდილეს, ხოლო ეჭვი, რომ მათი ყველაზე სუსტი ადგილი დაცვაა, ეჭვადვე დარჩა, ვინაიდან მასპინძელთა დიდებული შეტევებით შეკუმშულმა „პორტუმ“ შეტევაზე ხეირიანად ვერც იფიქრა.

„რეალის“ კარში გასული ერთადერთი გოლი მისი არგენტინელი მეკარის, ალბანო ბისარის ელემენტარული შეცდომის ბრალი გახლდათ და არა სტუმართა თავდასხმის მეცადინეობის. ბისარის, არც მეტი არც ნაკლები, ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელსაც მარიო ჟარდელმა ფეხი მიჰკრა.

მასპინძელთა სამი გოლიდან პირველი დიდოსტატური კომბინაციის შედეგი იყო, ხოლო მესამე საეჭვო პენალტის.

E ჯგუფის მეორე შეხვედრაში პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ „მოლდეს“ მოუგო. 50 ათასი ბერძენი გულშემატკივარი სიხარულით მეცხრე ცას, ორი გოლით, ბრაზილიელმა ლეგიონერმა, ჯოვანიმ სწია, თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში მათ ნერვიულობაც მოუხდათ, როდესაც ანდრეას ლუნდმა ანგარიში გაათანაბრა.

F ჯგუფის წყვილებში მასპინძლებმა ვერ გაიხარეს. მიუნხენში ესპანეთის ჩემპიონატში დაბედშავებულმა „ვალენსიამ“ განსაკუთრებით ძლიერად დაცვაში ითამაშა და „ბაიერნს“ ქულა გაუყო.

მასპინძლებმა დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში — ბრაზილიელმა ფორვარდმა, ჯოვანი ელბერმა გამოიჩინა თავი, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ხერარდ ლოპესმა გაუქვითა.

ელბერის გოლი ჰასან სალიჰამიჯიჩის შორეულ დარტყმას მოჰყვა. „ვალენსიას“ გოლკიპერმა ანდრეს პალოპმა, რომელიც დაშავებული ხოსე კანისარესის ნაცვლად იცავდა სტუმართა კარს და საერთოდაც, გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ მეორედ თამაშობდა, სალიჰამიჯიჩის დარტყმულის შემაგრება ვერ შეძლო, ესპანელმა მცველებმა კი გონს მოსვლა ვერ მოასწრეს ელბერმა ანგარიში რომ გახსნა.

ლოპესმა კილი გონსალესის პასით გაათანაბრა, ხოლო მისმა მოგვარემ, კლაუდიომ შეხვედრის მიწურულს კინალამ გამარჯვების გოლიც შეაგდო — ის-ის იყო ჩინებულ პოზიციაში აღმოჩნდა, რომ თამაში დამთავრდა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ ეინდჰოვენში პსვ-ს აჯობა. ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ სტუმრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, დიკ ადვოკაატმა ამ შეხვედრაში ერთადერთი და ისიც იძულებითი შეცვლა განახორციელა. ეს მისი ტაქტიკის აბსოლუტურ გამართულობასა და გუნდის თვითრწმენაზე მეტყველებს.

H ჯგუფში საბრალო „ვილემ მეორეს“ ახლა პრაღის „სპარტამ“ განუმარტა, რომ ჩემპიონთა ლიგა მისი დონის გუნდებისთვის არ არის მოგონილი. აღსანიშნავია, რომ ჩეხთა პირველი სამი გოლი პირველი სამი სახიფათო მომენტის დაგვირგვინება გახლდათ. ტილბურგელებმა კარში ერთხელაც ვერ დაარტყეს.

ამავე ჯგუფში „ბორდომ“ მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში დიდი ბრძოლა გადაიტანა, მაგრამ გაიმარჯვა. მოსკოველებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ იმ დღეს ბორდოელთა ზეიმის ჯერი იყო. ისიც ფაქტია, რომ რამდენიმე სახიფათო მომენტი — იმათ გარდა გოლებით რომ დასრულდა — მასპინძლებსაც ჰქონდათ და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ...

ლონდონში, H ჯგუფის შეხვედრაში, რუმინელი დან პეტრესკუს გოლმა რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილ „გალათასარაის“ მარცხი, მასპინძელ „ჩელსის“ კი გამარჯვება მოუტანა.

პეტრესკუმ კრის სატონის კარგი პასი მიიღო და სტამბოლელთა სათადარიგო მეკარეს, მეჰმეთ ბოლუქბასის, პირველი დარტყმის მოგერიების შემდეგ მეორეთი გაუტანა.

კარში რეზერვისტის დგომა კი ბრაზილიელი გოლკიპერის, კლაუდიო ტაფარელის გაძევების შედეგი გახლდათ. ჰოლანდიელმა არბიტრმა დიკ იოლმა იგი საკუთარი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის დასაჯა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას თავისი დაღი ქურთთა მოძრაობის პლაკატებიანმა მხარდამჭერებმა დაასვეს. ერთ მათგანს „ჩელსის“ კაპიტანი დენის უაიზი შეება, მაგრამ სტიუარდებმა გააშველეს.

„მილანისა“ და „ჰერტას“ დაპირისპირება ბერლინის გუნდში ვარსკვლავად ქცეული ირანელის ალი დაეის მორიგმა გოლმა გაამხიარულა. „სან სიროს“ ბინადართ 1:1 და ერთი ქულა ერგოთ.

მიხეილ სურგულაძე

საქართველოს ჩემპიონატი 6 ტური

პრეზიდენტის სათრით

ანგარიშის გამთანაბრებელ რევაზ გოცირიძეს (შუაში) ამჯერად მეკარე ზვიად კუპატაძემ აჯობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადგილ ქუთელაძის ფოტო

თბილისი
28 სექტემბერი
18 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 3 000)

არსენალი 1:2 ვიტ ჯორჯია

1:0 კაკაშვილი (10), 1:1 გოცირიძე (43), 1:2 ქორიძე (62)

არსენალი: კუპატაძე, ცოტაძე, ვ. ღუდუშაური, ჩალაძე, ირემაშვილი, კვირკველია (გ. სულაძე 61), ხოსროშვილი, თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი, ტარიელაშვილი

სათადარიგო: არქანია

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი, ბარქაია, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი (დიღმელაშვილი 70), დ. დოლიძე, გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (ვ. გონჩაშვილი 77)

სათადარიგონი: მამარდაშვილი; საჯაია, თოდუა

გაფრთხილება: ირემაშვილი (5), ბარქაია (41) კაკაშვილი (48), ხოსროშვილი (55), სულაძე (67)

მსაჯი: ო. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ნ. კილაძე (თბილისი);

სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

მამუკა კვანტალიანი

თამაში, რომელიც ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო, სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. თითქმის სათადარიგო გუნდით მოთამაშე „არსენალმა" „ვიტ ჯორჯიას" ბევრი საფიქრალი კი გაუჩინა, მაგრამ ამით ან მასპინძლებს რა ხეირი, ანაც გადაუხდელ ხელფასებს რა მოაკლდა?!

„ისანზე" თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მისულს ასეთი ვითარება დამხვდა: მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელები ტრიბუნაზე შეფენილიყვნენ, შუაში მთავარი მწვრთნელი, დავით ჩახავა ჩაესვათ და მზესუმზირის კნატუნით იქცევდნენ თავს.

სტუმრები ამ დროს მოსათელად ემზადებოდნენ, მსაჯები კი, სამოქალაქო ტანსამოსში გამოწყობილები, ხის ჩრდილში მოყუჩებულიყვნენ და თავიანთი ხელმძღვანელების მითითებებს ელოდნენ.

ფაქტი იყო, „არსენალი" სათამაშოდ გასვლას არ აპირებდა. მორიგი ბოიკოტი ფეხბურთელთა მხრიდან, გასაყოფი და სადაო ისევ გადაუხდელი ხელფას-პრემიები გახლდათ.

თურმე „არსენალის" ფეხბურთელებს შარშანდელი ხელფასების ნაწილი არ მიუღიათ, წლევანდელი სეზონის ერთი პრემიაღა გვაკმარესო.

არმიელთა გადაწყვეტილება თითქოს ურყევი ჩანდა, სტუმრებმაც მოთელვას თავი ანებეს და გასახდელის წინ მოთავსდნენ.

მასპინძელი კლუბის ხელმძღვანელები არსად ჩანდნენ. გუშინ თავდაცვის მინისტრის დედა დაუკრძალავთ და იმათაც პატივი მიუგიათ გარდაცვლილის ხსოვნისთვის.

დრო კი გადიოდა. ვიღაცამ ხმა დააგდო, თამაში იქნებაო, „ვიტ ჯორჯიაც" მეორედ გავიდა მოთელვაზე, მაგრამ სტუმრებმა რა ნახეს, მასპინძლები ტრიბუნიდან არ იძვროდნენ, ისევ გასახდელის წინ დაბრუნდნენ.

ბუნებრივია, ფეხბურთის ფედერაციაში იცოდნენ, რაც „ისანზე" ხდებოდა და მატჩის დაწყებას რომ არ დაადგა საშველი, პრეზიდენტი და გენერალური მდივანი გამოცხადდნენ ავლაბარში.

ექვსს თხუთმეტი წუთი უკლდა, როცა „ვიტ ჯორჯია" მესამედ შეუდგა მოთელვას, ხოლო მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია გასახდელში შეყრილ არსენალელებს დაელაპარაკნენ. პრეზიდენტი ლაკონური იყო — თუ ჩემი პატივისცემა გაგაჩნიათ, გადით და ითამაშეთ, არადა..."

ალბათ, ამ სიტყვებმა იმოქმედეს, „არსენალი" თამაშს დაყბულდა, ოღონდ ძირითადის ოთხ მოთამაშეს სათადარიგოები დაემტნენ, დანარჩენებმა ტრიბუნებზე საწყისი პოზიციები გაამაგრეს.

თამაში მაინც ჩაიშლებოდა, „ვიტ ჯორჯიას" ერთი არა რომ წამოცდენოდა. მერაბ ჟორდანიაც პირველად ვეტერინართა პრეზიდენტ გურამ რუხაძეს დაეკითხა, ითამაშებთ თუ არაო. გურამ რუხაძეც ლაკონური იყო, ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც ქართულ ფეხბურთს გამოადგებაო.

რატომ იტყოდა რუხაძე უარს თამაშზე, რომ გაიმარჯვებდა ისედაც ნათელი იყო. ფედერაციამ ვეტერინარები ასეთი პირობით დაიყბულა, ოღონდ ითამაშეთ და სამი ქულის გარანტიას გაძლევთო — გუშინ „ისანზე" ამის მთქმელი არა ერთი და ორი კაცი იმყოფებოდა.

პირადად მე ასეთი საუბრებისა არ მჯერა. ყველა ალბათ ისე მოიქცა, როგორც იმ წუთს ფიქრობდა. ისე, ფიქრის, თუნდაც ხმამაღალის, უფლება ყველას აქვს. რა თქმა უნდა, ეჭვიანობისაც.

მოკლედ სრულ ექვს საათზე მსაჯმა კახიანმა სასტვენს ჩაჰბერა და თამაშიც დაიწყო.

თავიდან ბოლომდე უსისტემო და უთავბოლო ბურთაობა იხილა მაყურებელმა. რის ტექნიკა, რა ტაქტიკა, ასეთი ხომ უცხოა ჩვენი ფეხბურთისთვის. ფეხბურთელები ცოდვილობენ, ისედაც უჭირთ, ხოლო უხარისხო მინდვრის საფარი მთლად ურთულებთ საქმეს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სანახავიც არაფერი იყო, თუმცა ყველას აინტერესებდა, რამდენ დარტყმას მოიგერიებდა მასპინძელთა მეკარე ზვიად კუპატაძე და რამდენჯერ გააცუდებდა ხელსაყრელ მომენტს სტუმარი ქორიძე.

ზუსტად ვერ დავთვალე, მგონი, ხუთჯერ ვერ გამოიყენა ქორიძემ საგოლე მომენტი. ხუთჯერვე კუპატაძემ უკუაგდო მასთან პირისპირ გამოსული თავდამსხმელის დარტყმები.

სხვა მოგერიებულებზე არას ვამბობ. მასპინძელთა რიგებში მეკარე აშკარად საუკეთესო იყო, ის კი არა, მისი დარი გუშინ „ისანზე" არ გამოსულა.

თავიდან „არსენალი" დაწინაურდა. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კაკაშვილმა თავი დაარტყა და ჭურაძეს ცხრიანში გაუტანა.

„ვიტ ჯორჯიამ" თანაფარდობა ტაიმის ბოლოსკენ აღადგინა. კუპატაძემ 43-ე წუთზე ქორიძეს მორიგი პირისპირი კი აუღო, მაგრამ დამატებაზე რევაზ გოცირიძემ ივარგა.

„არსენალს" მანამდეც და მეორე ტაიმშიც შეეძლო გატანა, მაგრამ გონჩაროვმა და ტარიელაშვილმა ძალიან ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

ქორიძემ კი მაინც გაიტანა გასატანი. 62-ე წუთზე მეექვსეჯერ პირისპირ გასულმა აჯობა კუპატაძეს, თუმცა მანამდე მომეჩვენა, რომ თანამსაჯს თამაშგარეს დაფიქსირება მართებდა.

თამაში დამთავრდა თუ არა, რამდენიმე წუთში „ისანს" სიბნელეც წამოეპარა. მსაჯებმა თამაშის დაწყებამდე ნახევრად შევსებული ოქმი მოაწესრიგეს და სტადიონზეც სრულმა სიჩუმემ და უკუნმა სიბნელემ დაისადგურა, ისეთმა, ქართულ ფეხბურთში რომ მეფობს.

„არსენალი" ახლა კი გადაურჩა (თუ გადაარჩინეს) გათამაშებიდან მოხსნას, მაგრამ მერე რა ეშველება?!

როგორც გვითხრეს, თუ ხელფასები არ დარიგდა, არმიელები მომდევნო ტურშიც არ აპირებენ თამაშს, ხოლო მერაბ ჟორდანიას თხუთმეტ წუთში თბილისიდან ბათუმში ჩასვლა ძალიან გაუჭირდება, სადაც „არსენალს" 2 ოქტომბერს ელის მატჩი.

ისე, ბოლოს ერთიც სათქმელია, სადაა ის 200 ათას ლარიანი (თუ დოლარიანი) გარანტია, რომელსაც თითქოს ფედერაცია პირველი ლიგის გუნდებისგან ითხოვდა?

ის გარანტია, თურმე ორი გუნდისთვისღა ყოფილა („ტორპედო", „ვიტ ჯორჯია"), დანარჩენებს ფარატინა ფურცლები წარუდგენიათ.

იმასაც ამბობდნენ, „არსენალმა" საწევრო 10 ათასი დაგვიანებით შეიტანაო. მაშინ სხვებს რაღას ახრჩობდნენ?

ქართულ ფეხბურთში მარტო ეს რომ იყოს საკითხავი, მაშინ რა გვიჭირდა. ახლა თვით ღმერთიც ვერას გაიგებს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

გადგილ ქუთელაძის ფოტო

დეზერტირობა თუ... არმიელები გაიფიცნენ, ჩვენც ხალხი ვართ, ხელფასი ჩვენც გვჭირდებაო

«ა» ზონა

დინამო	6	4	0	2	10:6	12
ვიტ ჯორჯია	6	3	1	2	7:4	10
სიონი	6	2	2	2	4:6	8
ბათუმი	6	1	5	0	2:1	8
სამგურალი	6	2	1	3	3:5	7
თბილისი	5	1	3	1	8:8	6
არსენალი	6	1	2	3	6:7	5
ლოკომოტივი	5	1	2	2	4:7	5

დინამო:

ფული დაბრუნდება, ბაზა არ გაიყიდება

კვირა ზე მეტია, ქართულ საფეხბურთო სამყაროში თბილისის „დინამოს" დიღმის სანვრთნელი ბაზის შესაძლო გაყიდვა ზე ლაპარაკობენ. მოკლედ გეტყვით ამის შესახებ. „დინამოს" „TBC ბანკიდან" კრედიტი აუღია, სანაცვლოდ კი თავისი ბაზა დაუგირავებია. კრედიტის დაფარვის ვადა უკვე კარგა ხანია, გასულა. TBC-ს უფროსობასაც რაღა დარჩენოდა, აუქციონი გამოაცხადა და „დინამოს" ბაზის გაყიდვა დააპირა. აუქციონი ორშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაიდო.

აქამდე ამასთან დაკავშირებით „დინამოც" დუმდა და TBC-იც.

გუშინ კი „დინამოს" დირექტორატის წევრმა მერაბ რატიანმა ვითარებაში ნაწილობრივ გაგვარკვია. ერთი სიტყვით...

— რამდენი აქვს „დინამოს" „TBC ბანკის" ვალი?

— 206 ათასი

— დოლარი თუ ლარი?

— დოლარი.

— როდის უნდა გადაგეხადათ?

— ექვსი თვის წინ, თუმცა მოლაპარაკების საფუძველზე ფულის დაბრუნების ვადა გადავწიეთ.

— როდემდე?

— 2 ოქტომბრამდე.

— მერე?

— წუთი-წუთზე ფულს ველოდებით და TBC-ს კუთვნილს მივცემთ. ისინი ჩვენ გვენდობიან, უკვე შვიდი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ვთანამშრომლობთ.

— ესე იგი, ბაზა არ გაიყიდება?

— არავითარ შემთხვევაში.

კობა ინასარიძე

ხურცილავა თავიდან იწყებს

საქართველოს ახალგაზრული ნაკრების მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ წუხელ ის 18 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, რომელთაც ალბანელებთან, ტირანაში 8 ოქტომბრის მატჩისათვის მოამზადებს.

ხურცილავას გუნდში მხოლოდ ერთია, დებიუტანტი რომ ეთქმის — 17 წლის ბათუმელი ბესიკ თედორაძე, რომელიც მწვრთნელს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მოსვლია თვალში. ახალგაზრდულ ნაკრებს დაუბრუნდა სოჭის „ჟემჩუჟინაში" მოთამაშე დავით ხმელიძე. ის ბოლოს ბერძნებთან სათამაშოდ გამოიძახეს.

მეკარეები: დავით ძმელიძე (ჟემჩუჟინა, რუსეთი), გიორგი ლომაია (დინამო).

მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, არჩილ სახვაძე (ორივე დინამო), ედიკ საჯაია, რევაზ ქემოკლიძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ზურაბ ხიზანიშვილი, თორნიკე რუხაძე (ორივე თბილისი);

ნახევარმცველები: ოლეგ გველესიანი, ლადო ბურდული, ვალერი გაგუა, გივი კვარაცხელია (ყველა თბილისი), ბესიკ თედორაძე (ბათუმი), რატი ალექსიძე (დინამო).

თავდამსხმელები: კობა წიტაიშვილი, გიორგი შენგელია (ორივე დინამო), ლევან მელქაძე (თბილისი), ლევან შავგულიძე (ლოკომოტივი).

საქართველოს ახალგაზრული ნაკრები საალბანეთო მზადებას 4 ოქტომბერს შეუდგება და ტირანაში გაფრენამდე სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდება.

კობა ინასარიძე

მწვრთნელის ძაგებას რა უნდა

ვახტანგ კოპალეიშვილმა თავისი სამწვრთნელო რეპუტაცია არაერთხელ დაამტკიცა. მართალია, მას აქამდე ძირითადად ახალგაზრდა, თითქმის საბავშვო ასაკის გუნდები ებარა, მაგრამ გამარჯვება გამარჯვებაა და კარგი შედეგიც, რა დონეზეც არ უნდა იყოს მიღწეული, ყველგან ერთნაირად სასიხარულოა. შედეგზე ვთქვით და დაკნინებული ქართული ფეხბურთის ფონზე კოპალეიშვილის თვრამეტწლამდელების შვედეთის ფინალურ სტადიაზე თამაში წარმატებად მოინათლა ჩვენში. მოინათლა და სწორადაც, იქ ხომ ევროპის რვა უძლიერესი ნაკრები გამოდიოდა. მათ შორის საქართველოც. მერე ის იყო, კოპალეიშვილის თავკაცობით „ახალი თვრამეტწლამდელები" უელსს გაემგზავრნენ, რათა წინამორბედებისთვის მიებაძათ და შესარჩევიდან ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ებრძოლათ. არ მოხდა ასე — ქართველთა უელსში გამოსვლა სამშობლოში ფიასკოდ მოინათლა. სამიდან სამი მარცხი, სამი გატანილი, ცხრა გაშვებული ბურთი. ეჭვქვეშ ხომ არ დადგა კოპალეიშვილის სამწვრთნელო რეპუტაცია? ამ და სხვა პრობლემებზე ვესაუბრეთ ვახტანგ კოპალეიშვილს უელსიდან დაბრუნების შემდეგ.



ვახტანგ კოპალეიშვილი

— ბატონო ვახტანგ, წინა ნაკრების ფონზე, „ახალი თვრამეტწლამდელების" გამოსვლა აშკარად უსახური იყო. მოსამზადებელი ეტაპის შესახებ ყველა დაინტერესებულმა თითქმის ყველაფერი იცის. როგორ გგონიათ, შეიძლებოდა თუ არა მეტი გაკეთებულიყო და უკეთესი შეკრება გაეარა თქვენს ნაკრებს?

— პირდაპირ გეტყვით, შეიძლებოდა. ამ ნაკრებს ისე დაებედა, რომ წინამორბედებთან შედარებით, ყოველთვის აკლდა ყურადღება. ფედერაცია ეცადა, მაგრამ ისლა მოგვიხერხა, რომ ოთხდღიანი შეკრება მოგვეწყო ფეხბურთელებისთვის და ისიც სასტუმრო „მესაზღვრეში". თუ ვისაუბრებთ ამ ნაკრების წევრთა მონაცემებზე, ისინი ბევრს სჯობიან. სათამაშო სიტუაციებში ჩვენებს არაფერი დაუთმიათ არც იტალიელთათვის, არც შვეიცარიელთათვის, უელსს კი ვჯობდით კიდეც. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მარტო სათამაშო სიტუაციები და მინდვრის რომელიმე მონაკვეთზე ორთაბრძოლა აღარაფერს წყვეტს ფეხბურთში. წინა პლანზე წამოვიდა საფეხბურთო ეშმაკობათა კარგად ცოდნა, რასაც თქვენ, ჟურნალისტები, საფეხბურთო განსწავლულობას, მე კი საფეხბურთო თეორიას ვეძახი. ამ მხრივ აშკარად მოვიკოჭლებდით. და ეს არც არის გასაკვირი. ოთხი დღე ხომ მომზადებისთვის მიზერული დროა. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ საჭიროა განსხვავებული, უფრო სწორი მიდგომა ახალგაზრდა ფეხბურთელებისადმი. ბატონი ალექსანდრე ჩივაძე ესწრებოდა ნაკრების უელსურ შეხვედრებს და შეგიძლიათ, მას ჰკითხოთ, რა ფეხბურთი ითამაშეს ბიჭებმა. აფსუსია მათი ნიჭი და მონაცემები ასე გაიფლანგოს და ყურადღება არ მიექცეს. ეს იქნება დანაშაული ქართული ფეხბურთის წინაშე.

მე, როგორც მწვრთნელი, არ ვიცილებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას — გუნდი ცუდად გამოვიდა და ეს ყველაზე მეტად ჩემი ბრალია, მაგრამ მეტი ხელშეწყობის პირობებში ნაკრები გაცილებით უკეთ ითამაშებდა.

— როგორ გიმასპინძლეს უელსში?

— ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. საინფორმაციო, საორგანიზაციო სამსახურის ხალხი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა სრული კომფორტი გვეგრძნო. მერე ტურნირის მსვლელობაშიც არ მოგვკლებია ყურადღება. სხვათა შორის, მსაჯობაც მშვენიერი გახლდათ.

— შიგ კარდიფში მოგიწიათ თამაშმა?

— არა, კარდიფის გარეუბნებში. დაახლოებით ისე, როგორც თბილისი და მცხეთაა, ასე ვიყავით მოშორებული კარდიფს. არც იმ სტადიონს გავკარებივართ „ნინიან პარკი" რომ ჰქვია. იქ ხომ თბილისის „დინამო" ითამაშა 1976 წელს.

— მეტოქეებს როგორ დაახასიათებდით?

— იტალია და შვეიცარია ძალიან მაღალი დონის ნაკრებები გახლდათ. უელსი ყველაზე სუსტი იყო ოთხთაგან. მართალია, ბრიტანელებთან დავმარცხდით, მაგრამ ამის მიზეზებზე უკვე ვისაუბრე და აღარაფერს გავიმეორებ.

— ჩვენი ნაკრების შესახებ რას იტყვით?

— თამაშის ხარისხით საქართველოს ნაკრები არც ერთ მეტოქეზე ნაკლები არ იყო. ბიჭებმა ყველა მატჩში მოახერხეს გოლის გატანა, მაგრამ მაინც ვმარცხდებოდით — 1:2, 1:3, 1:4. ხომ ასეთი ანგარიშებით წავაგეთ, ენა არ მიბრუნდება ფეხბურთელებზე ცუდის სათქმელად. წარმოიდგინეთ, ბევრი ჩემი ფეხბურთელი საერთოდ პირველად იჯდა თვითმფრინავში — ასათიანი, ქაცარავა, ერთი-ორი სხვა... მოდი და მოსთხოვე ოთხი დღის შეკრებილ ფეხბურთელს ევროდონეზე შედეგი, მით უმეტეს, ძალიან ძლიერ მეტოქეებთან მოუხდათ თამაში.

— ტურნირზე რომელიმე ფეხბურთელს თუ გამოყოფდით, უცხოელები მყავს მხედველობაში...

— შვეიცარიის ნაკრებში მათი ოლიმპიური ნაკრების რამდენიმე კანდიდატი გამოდიოდა. იტალიელთა შორის კანავაროს ძმა თამაშობდა, ძლიერი ფეხბურთელია. ძალიან კარგი მეკარე ჰყავთ უელსელებს.

— ჩვენი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— უკმაყოფილო არავისი ვარ. მე საერთოდ იმ ხალხის კატეგორიას მივეკუთვნები, ვინც მინდორზე გუნდს სათამაშო რგოლებად არ ყოფს — დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა. ეფიქრობ, ეს უკვე მოძველდა, თითქმის ყველა ყველგან თამაშობს. მაინც სამივე ჩვენი გოლის ავტორ ცეზარ ხუროძეს გამოვყოფ, ძალიან მოუმატებია. გაზრდილა პროფესიონალურადაც. მხედველობაში მისი საქმისადმი, ფეხბურთისადმი მიდგომა მაქვს.

— ეს ყოველივე იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთ დროს საფეხბურთო რუკაზე არარსებული ლატვია გაცილებით სწორად და ცოდნით აკეთებს საქმეს ფეხბურთში, ვიდრე ჩვენ?

— არც უმაგისობაა. ნაკრების პროგრესი ხომ ნახეთ, მალე რიგის „სკონტოც" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება. და ეს მაგალითებიც რომ არ იყოს, ჩემი გაზრდილის, ცეზარ ხუროძის მაგალითს ვერ ხედავთ? ახალ ლაშა ჯაკობიად იქცა ამ ნაკრებისთვის. მერე რა ლამაზი ბურთები გაიტანა, აქ ყველაფერი იყო — აზროვნების სისწრაფე, ტექნიკური შესრულების დონე და გოლის სილამაზე.

— დაცვაზეც ვისაუბროთ, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი — ეს ბიჭები უკვე მიიწვია ბოსკამპმა ეროვნულ ნაკრებში, გუნდმა კი ცხრა გოლი გაუშვა.

— ისევ და ისევ ჩემს სიტყვაზე ვდგავარ — დაცვამდე თავდასხმაა, მერე ნახევარდაცვაა მარტო მცველი ან მეკარე ვერაფერს იზამს. მერე ტრავმებმაც გაგვაწამეს — ხიზანიშვილსაც, ხიზანეიშვილსაც ფეხი სტკიოდათ, საჯაიამ კი ტურნირის მსვლელობისას ცხვირი გაიტეხა.

— ალექსანდრე ჩივაძე — მეორეზე რას იტყვით?

— იგი მეკარე შამალაძესთან ერთად ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს გუნდში. მე მინდა, პირდაპირ დაიწეროს — პატარა ალექსანდრე ჩივაძე ჩემი მეგობრის შვილი კია, მაგრამ მისი ქება ახლობლობით არ მოდის. ჩივაძეს ყველა მონაცემი აქვს — საფეხბურთო, გონებრივი, ტრადიციული, რათა დიდი ფეხბურთი ითამაშოს და გამიხარდება, თუ მამამისთან ოდნავ მიახლოებულ ფეხბურთს ითამაშებს.

— შევადაროთ წინა და ახლანდელი თვრამეტწლამდელები...

— პირდაპირ დასმული კითხვაა და პირდაპირაც ვუპასუხებ. აქ წინა პლანზე გამოდის ლაშა ჯაკობიას ფაქტორი. ბატიგოლი, ხომ ასე ეძახიან ბატისტუტას? ლაშა ჯაკობიასაც დაახლოებით ამგვარ მეტსახელს შევარქმევდი. იგი ლიდერი, ხსნა იყო წინა თვრამეტწლამდელთათვის, იქმნებოდა მომენტი და გადიოდა გოლი. ევროპაში მზადების პროცესი მაინც სხვაა — აი, ახლა ხუროძემ აიღო თავის თავზე ლიდერის ფუნქცია. კარგადაც, ყველა გოლი მან გაიტანა. რატომ იცით? ისიც ნორმალურად ემზადება ნორმალურ ქვეყანაში. აქ კი, საქართველოში, ჩემპიონატის დაბალი დონის თამაშობის გამო ბიჭებს პრაქტიკა აკლიათ და ეს ევროსარბიელზე უმალ გამოჩნდება ხოლმე. საგოლეები მრავლად გვქონდა, მაგრამ ვერ იყენებდნენ. ცოტა კითხვას გადავუხვიე და მას დავუბრუნდები — გუნდის შედეგი ყველაფერს განსაზღვრავს. წინა თაობა ევროპის რვა საუკეთესო გუნდში მოხვდა, ამათ კი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლიეს. ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია.

— ახლა თქვენს მომავალზეც შეგეკითხებით. ხმები გავრცელდა, მალე ერთ-ერთ ქართულ კლუბში ვიხილავთო ვახტანგ კოპალეიშვილს. მოწვევები საკმაოდ გექნებათ...

— ამჟამად მე ოლიმპიურ ნაკრებში ვარ. ვეხმარები მურთაზ ხურცილავას, რომელმაც მშვენიერი გუნდი გააკეთა. ოთხი შეხვედრაა, არ წაუგიათ სხვებზე სამი-ოთხი წლით უმცროს ბიჭებს და მერე ვისთან... ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები აგერ ჩემპიონთა ლიგაშიც გამოჩნდნენ. ხედავთ კარეუს, როგორ თამაშობს? ჩვენი ბიჭები კი ტოლ-სწორად ეპაექრებიან. ბედნიერი ვარ როგორც მწვრთნელი, როგორც კაცი, რომ ჩემი გაზრდილები ბოსკამპმა ეროვნულ ნაკრებში მიიწვია, დაინახა მათი სიძლიერე, კოპალეიშვილის გაზრდილი ფეხბურთელის რაობას ბოსკამპის ადგილზე მოსული ქართველი მწვრთნელიც იხილავს და ეს იქნება ჩემი მომავალი.

— მაგრამ ამაზე გაჩერებას არ აპირებთ ალბათ...

— რაზეა საუბარი. რა დროს გაჩერებაა. მე წვალებაში გაზრდილი კაცი ვარ და ვიცი შრომის ფასი. ახლა მოდაშია ბოსკამპის ლანძღვა. იცით, ყველაზე მეტად რა მომწონს ამ კაცში? მან შრომის ფასი, ოფლის გემო გააგებინა ფეხბურთელებს. მწვრთნელის ძაგებას რა უნდა. მე არ ვამბობ, რომ ჰოლანდიელი დიდი სპეციალისტია. არა, ბოსკამპი საშუალო დონისაა, მაგრამ მან იცის, როგორ იშრომოს, როგორ მიაჩვიოს ფეხბურთელი ჯაფას. დიდი წარმატება უამისოდ არ მოვა. ნოდარ ახალკაცის „დინამო"... იცით კი, რამდენი შრომა, ოფლი, ტანჯვამდე მისული ვარჯიშები იდგა ახალკაცისეული „დინამოს" უკან? დღეში სამჯერ ვარჯიშობდნენ და ასე მოდიოდა შედეგი.

ფეხბურთი არ არის ფული და მანქანა. მანქანა და ფული ფეხბურთს მოჰყვება მხოლოდ. ოღონდ იქამდე არა, სანამ კბილებში ოფლის გემოს არ იგრძნობს ფეხბურთელი.

ცოტა ემოციებს კი ავყევი, მაგრამ ამასაც გულისტკივილი მალაპარაკებს. დროა, შეიცვალოს ფეხბურთის მიმართ მიდგომა. ვინც მიცნობს, კარგად იცის, ვახტანგ კოპალეიშვილისგან ფული, ჩაწყობა და ამგვარი სიბინძურეები შორს დგას. დროა, მორჩეს ეს გადარეკვა-გადმორეკვები, დროა, სწორად მივუდგეთ ფეხბურთს და ვისწავლოთ შრომის ფასი.

შედეგი მხოლოდ ამის შემდეგ მოვა.

და არც ეს დაგვავიწყდეს — მარტო სფფ ამ პირობებში ვერას გახდება. მე ამ ხალხის თითოეული ნაბიჯი ვიცი და ისიც, რამდენი რამის გადალახვა უხდებათ.

დროა, ქართულ ფეხბურთს სახელმწიფო მიეხმაროს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ქართულ-აფხაზური დაპირისპირება რუსეთში ქართველების გამარჯვებით გასრულდა

რუსეთის პირველი დივიზიონის 35-ე ტური სარატოვში ქართულ-აფხაზური დაპირისპირებით აღინიშნა. ადგილობრივი „სოკოლი", რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს უმაღლეს დივიზიონში გადასვლის შესაძლებლობა, კალინინგრადის „ბალტიკას" მასპინძლობდა.

„ლოკომოტივის" სტადიონზე, 12500 ფანის თვალწინ, "სოკოლის" რიგებში სამმა ქართველმა ითამაშა — ძმებმა ზვიად და გიზო ჯელაძეებმა და დივიზიონის ერთ-ერთმა ბომბარდირმა, ერთ დროს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა მიხეილ ჯიშკარიანმა. მათ პირისპირ აფხაზი ძმები აჯინჯალები წარდგნენ.

მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში „სოკოლი" უმაღლეს დივიზიონში გადასვლის შანსს ინარჩუნებდა. ასეთივე სიტუაციაში იყო „ბალტიკა", რომელიც სარატოვში თამაშის წინ დივიზიონში მეორე პოზიციაზე იმყოფებოდა.

შეხვედრა პირწმინდად ქართულ-აფხაზური გახლდათ. სარატოველთაგან საუკეთესოდ ჯიშკარიანი დაასახელეს, რომელმაც 7,5 ბალი დაიმსახურა. კალინინგრადელთა ლიდერი კი უდავოდ რუსლან აჯინჯალი იყო (7,0).

პირველ ნახევარში რამდენიმე მომენტი ჰქონდა ჯიშკარიანს, რომელსაც პერსონალურად მეურვეობდა კალინინგრადელთა ლიტველი ლეგიონერი დეიაუკშტასი. პირველი გოლი მასპინძლებმა სწორედ ჯიშკარიანის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გაიტანეს — იგი მარკევიჩმა გააგრძელა და გრიცინამ დააგვირგვინა. ეს 33-ე წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმში „ბალტიკამ" კლანჭები გამოიჩინა. განსაკუთრებით სახიფათოდ რუსლან აჯინჯალი მოქმედებდა. 68-ე წუთზე სწორედ ამ აფხაზმა გაქვითა ანგარიში და სტუმრებს ქულის მოპოვების იმედი ჩაუსახა.

თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ქართველები ასე არ ფიქრობდნენ. 78-ე წუთზე ზვიად ჯელაძე — მარკევიჩი — გიზო ჯელაძისა და ჯიშკარიანის ოთხსვლიანი კომბინაცია კალინინგრადელთა კარში გატანილი მეორე ბურთით დასრულდა. ეს ჯიშკარიანის მე-12 გოლია მიმდინარე სეზონში.

ამ გამარჯვებით „სოკოლმა" მე-5 ადგილზე აინაცვლა. ახლა სარატოველებს 58 ქულა აქვთ. ლიდერმა ვორონეჟის „ფაკელმა", რომელსაც ცალი ფეხი უმაღლეს დივიზიონში აქვს, ამ ტურში წააგო, თუმცა 68 ქულით კვლავ პირველია. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ექსლოკომოტიველის, ალეკო გოგობერიშვილის მახარჯალის „ანჟიმ" — 65 ქულა. 63 ქულით მესამე „ბალტიკაა". 60 ქულით მეოთხე ადგილი „ტორპედო-ზილს" უკავია.

ტოლიატიში „ლადა-სიმბირსკთან" გამარჯვებით შესამჩნევად გაიუმჯობესა დივიზიონში დარჩენის შანსი გივი ნოდიას პეტერბურგის „ლოკომოტივმა". რკინიგზელებმა ქუთაისელი ხუნდაძისა და ივანოვის გოლებით მოიგეს.

იმარჯვა გურჯაანის „ალაზანის" ყოფილი ფორვარდის, ვასილ სეფაშვილის ნალჩიკის „სპარტაკმაც" და ახლა მე-13 ადგილზეა. თავად სეფაშვილს 13 ბურთი აქვს გატანილი და 4-ით ჩამორჩება პერმელ პარამონოვს და ტულის „არსენალის" ბრაზილელ ანდრადინას.

სიმონ მენაგდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთერთმეტე ეროვნულის მეექვსე ტური „ასების ტურად“ მონათლა. შაბათს ხობში ტორპედოელმა ზურაბ იონანიძემ, კვირას კი წყალტუბოში დინამოელმა მიხეილ აშვეთიამ ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილ გოლთა ნუსხა ას-ასამდე შეასრულეს. დღეს აშვეთიასთან საუბარს გთავაზობთ, კვირის ბოლოს კი ათენმოვლილ იონანიძესთან იყოს — „ტორპედო“ ხომ ხვალ იქაურ აეკ-ს ეთამაშება.

აშვეთიას ასი გოლი

წყალტუბოდან წყალტუბომდე

მაღრი კეთილაძის ფოტო

წყალტუბოში დაიწყო და საიუბილეოც იქგაიტანა. მას, ყველაზე ახალგაზრდას, სხვა ასიანთაგან განსხვავებით, სულ ხუთი, თანაც არასრული სეზონი დასჭირდა საამისოდ ასი გოლის გასატანად. პირველად 1995 წლის 14 მარტს, „სამგურალში“ დებიუტისას დააჭაშნიკა პირველლიგელთა კარის დალაშქვრა. მეასედ 1999 წლის 26 სექტემბერს მოახერხა იგივე, ოღონდ ახლა „დინამოს“ ემბლემით მკერდდამშვენებულმა.

იგი მიხეილ აშვეთია გახლავთ. თითქმის ყველასთვის ნაცნობი, რაღაც სხვანაირი, ძალიან ხშირად ულოგიკო გოლების გამტანი... მეტი შესავალიც რაღა საჭიროა. აშას ხომ რესპონდენტის წარსადგენად ვაკეთებთ ხოლმე. მიხეილ აშვეთიას კი აბა, რაღა წარდგენა სჭირდება? ყველაფერი ხომ ისეც ნათელია. ის უკვე ქართველ ასიანთა კლუბის წევრია. მაშ, ნუღარ გავაგრძელებთ. დიდომი. „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა. „სარბიელი“ და მიხეილ აშვეთია.

მიხეილ აშვეთია				
10.11.77				
93-94	ტორპედო 2	C	24	11
94-95	რწმენა	C	7	6
	სამგურალი	A	14	5
95-96	ტორპედო	A	27	31
96-97	ტორპედო	A	27	24
97	ალანია (რუსეთი)	A	18	5
97-98	დინამო	A	15	11
98-99	დინამო	A	27	26
99-00	დინამო	A	6	3

— ეროვნულ ჩემპიონატში შენი პირველი გოლი თუ გახსოვს?

— მახსოვს რომელია, ისიც წყალტუბოში არ გავიტანე? „ტორპედო 2“-ის ფეხბურთელს ერთი სული მქონდა, „ტორპედოში“ როდის გადამიყვანდნენ. სულ ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ რატომღაც ქუთაისური კლუბის კარი ჩემთვის დახურული აღმოჩნდა. იმხანად „სამგურალს“ სოსო ფრუიძე წვრთნიდა და როცა ჩემი ამბავი შეიტყო, კახა ჩხეტიანთან ერთად „სამგურალში“ მიმიწვია. სიამოვნებით ვითამაშებ წყალტუბოში-მეთქი, ვუთხარი ფრუიძეს და მაშინდელ უმაღლეს ჯგუფში სათამაშოდ გავემზადე.

მეორე წრის პირველივე ტურში წყალტუბოს მეზობელი „ტორპედო“ ესტუმრა. ნაწყენი ვიყავი, „ტორპედოში“ რომ არ ამიყვანეს. დაიწყო თამაში და გაათკეცებული ენერგიით შევუდექი საქმეს. ქუთაისელთა კართან ჯარიმა დანიშნა. ერთ-ერთი წყალტუბოელი გამოქანდა, ძლიერად დაარტყა და კედელში მდგომი რომელიღაც ტორპედოელისგან ასხლეტილი ბურთი ფეხებთან მომიგორდა. მეც სხვა რა მინდოდა, მოვიქნიე ცაცია და... მეორე გოლი კახა ჩხეტიანმა გაუტანა „ტორპედოს“. იმის მერე კი იცოცხლე, ჩემთვის და ჩხეტიანისთვის „ტორპედოს“ თვალი არ მოუშორებია. ბოლოს, როგორც იქნა, საქმეც გაიჩარხა, ახალ ჩემპიონატში თამაში ქუთაისში გავაგრძელე.

— მეასე გოლის გატანა ბედის ირონიაა თუ- იქნებ შეგნებულად გაკეთე ასე. პირველად სამგურალელმა შეაგდე, მეასედ „სამგურალს“ გაუტანე.

— დამთხვევაა, ასე დაემთხვა. შარშანდელი სეზონის შემდეგ ვიცოდი, რომ 97-ჯერ მქონდა გატანილი. დაიწყო ახალი ჩემპიონატი და როცა „ლოკომოტივთან“ დუბლი შევასრულე, ასიანობამდე ერთი ნაბიჯილა დამრჩენოდა. ერთი ნაბიჯი კი, სწორედ „სამგურალთან“ თამაშს დაემთხვა. სხვათა შორის, ამის თაობაზე თანაგუნდელებმაც იცოდნენ, პირველად რატი ალექსიძემ მომილოცა. ძალიან გამიხარდა.

— პირველ გოლზე მეტად?

— არა, ის სხვა სიხარული იყო. როგორია, ეროვნულ ჩემპიონატში პირველი გოლი გავიტანე.

— ხუთ სეზონში ასი გოლი, რა თქმა უნდა, შენს სტაბილურობაზე, ძლიერ ფორვარდობაზე მეტყველებს, მაგრამ, ალბათ დამეთანხმები, საიუბილეო გოლის გატანა ადრეც, თანაც გაცილებით ადრეც შეგეძლო. ასეა?

— ასეა. დრო დავკარგე, იმდენ კლუბში წავედი და უკანვე მოვბრუნდი, რომ სათვალავიც ამერია. საბედნიეროდ, მაშინ ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა, არავის უთქვამს, რომ ზევით-ქვევით სიარული კარგს არაფერს მომიტანდა. მეც ბავშვი ვიყავი. ძალიან მწყდება გული, რამდენიმე თვე დავკარგე „დინამოში“ ადრე უნდა წამოვსულიყავი. მეტი გოლიც მეჭნებოდა გატანილი და აქამდე უცხოეთშიც წავიდოდი.

— გვიან არც ახლაა.

— ვიცი და ძალიან მინდა, ამ ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ სხვა ქვეყანაში გავაგრძელო თამაში.

— კეთილი, გაცდენილ დროზე უკვე თქვი, მაგრამ იმის კითხვა მსურდა, ზუსტად რეალური საგოლე მომენტი რომ გექმნება და ვერ იყენებ, განსაკუთრებით ბოლო ხანს, რისი ბრალია?

— სწორად გამიგე, ბოსკამპს არაფერს ვაბრალებ, მაგრამ გოლების გატანას რომ მოვუკელი, ეს მისი ტაქტიკის შედეგიცაა. მე გამოკვეთილი ფორვარდი ვარ და არა უკან დახეული თავდამსხმელი. ბოსკამპმა კი ადგილი შემიცვალა, ამან ჩემზე ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა, თანაც წინააღმდეგობასაც ვერ ვუწევდი. მწვრთნელი იყო და დავალება უნდა შემესრულებინა. წარმოიდგინე, სამი თვე გოლი არ გამეტანა, გული გამიტყდა.

— კი მაგრამ, არც ბოსკამპის ჩამოსვლამდე გამოირჩეოდი უწინდელი შედეგიანობით.

— ჩავარდნას დავბრალებ, ასეთი რამ ყველა ფეხბურთელს მოსდის. თანაც ჩემპიონატის დაბალი დონეც ნუ დაგვიწყდება, აქ ხომ ფაქტობრივად გამორიცხულია ყოველწლიურად ზრდა, დალმასვლის თუ არა, ადგილზე გაჩერების პერიოდი აუცილებლად დადგება. ამიტომაც ვამბობ, უნდა წავიდე-მეთქი.

— ახლა როგორ ფორმაში ხარ?

— ყველაფერი კარგადაა, ძველებურად.

— შენს „ულოგიკო“ გოლებზე რას იტყვი?

— როგორ გითხრა, მგონი, პოზიციის შერჩევა ვიცი და გოლის ალღო მაქვს. ალბათ, ამიტომაცაა ამდენი გოლი რომ შევაგდე. ლოგიკური და ულოგიკო კი ტრიბუნიდან უკეთ ჩანს. ისე, როცა მეგონა, დარტყმის შანსი არ მაქვს-მეთქი, მართლაც ბევრჯერ სწორედ ასეთ დროს გამიტანია.

— ნაკლად რას თვლი?

— მარჯვენა ფეხით თამაშსა და... კიდევ, ვგრძნობ, რომ ნელა ვთამაშობ. ესეც ეროვნული ჩემპიონატის დონის ბრალი მგონია.

— საუკეთესო პარტნიორად ვინ მიგაჩნია?

— რატი ალექსიძე. ადრე კი, „ტორპედოში“, კახა ჩხეტიანის მესმოდა უსიტყვოდ.

— გოლის გატანის აღნიშვნის შენებური რიტუალი როგორია?

— რა რიტუალი, ხანდახან ისეთი თამაშებია, არც მიხარია გოლის გატანა. ისე, მატჩებს მაყურებელი რომ ბლომად ესწრებოდეს, ყველა თამაში საინტერესო იყოს, გოლის გატანაც ყოველთვის გამიხარდებოდა და დროთა განმავლობაში ამის ჩემებურად აღნიშვნასაც დავეჩვეოდი.

— ხარ თუ არა „დინამოს“ ლიდერი?

— „დინამო“ ისეთი გუნდია, არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერი. ხან ვინ, ხან ვინ... ხანდახან მეც ვყოჩაღობ. „დინამოში“ რამდენიმე ლიდერია, მათ შორის ალბათ მეც ერთ-ერთი ვარ.

— ისეთი შემთხვევა თუ გქონია, როცა მატჩის წინ გითქვამს, რამდენს გაიტანდი და სიტყვა შეგისრულებია.

— არა, არასდროს. წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი. თუ გავიტან, ხომ გავიტან, თუ არადა... ისე, ერთხელ, როცა „ტორპედოში“ ვთამაშობდი, ქუთაისში ბოლნისის „სიონს“ ვმასპინძლობდით. მე, გიორგი დემეტრაძესა და დავით უჯმაჯურიძეს 24-24 ბურთი გვქონდა გატანილი და ერთმანეთს ბომბარდირობას ვედავებოდით. ბოლო ტური იყო. „ტორპედოსთვის“ სულ ერთი გახლდათ წაგება-მოგება. მთელი გუნდიც ჩემზე თამაშობდა, ოღონდ გამეტანა... და იცი რა მომივიდა? ექვსჯერ ძელს მოვარტყი ბურთი, ერთხელაც პენალტი გავაცუდე. გოლი ვერაფრით გავიტანე. მოდი და ამის შემდეგ წინასწარ თქვი და სიტყვა შეასრულე.

— ფეხბურთში შენი ეტალონი ვინ არის?

— ბატისტუტა. გოლის გატანა იცის და 10-დან ცხრაჯერ გააქვს კიდეც.

— პოპულარობა ძნელია?

— ძნელი არა, სასიამოვნო. რაც ყველაზე მთავარია, თავში არ ამვარდნია, რაც 5 წლის წინ ვიყავი, დღესაც ის ვარ.

— დაბოლოს, საქართველოში თითქმის ყველაფერი მოგიგია. თასი?

— რა ვქნა, არ მიმართლებს.

ძოგა ინასარიძე

ასთაგან ერთ-ერთი: ეს-ესაა, მიხეილ აშვეთიამ მერანელები დააღონა

ასგოლიანები			1990	1991	91-92	92-93	93-94	94-95	95-96	96-97	97-98	98-99	99-00
121	ლევან ხომერიკი	დინამო	—	0	12	22	14	6	8	18	23	18	—
105	გიორგი დარასელია	უცხოეთი	3	5	9	15	17	26	13	15	—	2	—
105	ოთარ კორღალიძე	მწვრთნელი	21	14	40	23	4	1	—	2	—		
104	მერაბ მეგრელაძე	უცხოეთი	5	3	6	41	31	5	—	13	—	—	—
101	დავით მახარაძე	?	18	10	—	8	20	5	7	11	1	21	—
101	დავით ჯანაშია	ტორპედო	4	6	19	15	14	11	8	—	9	14	1
100	ზურაბ იონანიძე	ტორპედო	1	3	11	14	14	12	23	—	3	16	3
100	მიხეილ აშვეთია	დინამო	—	—	—	—	—	5	31	24	11	26	3

თემურ ქეცბაია ჯორდეზს და ნაკრებს ერთი თვით გამოაკლდა

9 ოქტომბერს ალბანეთში ქართველები ულიდეროდ ჩავლენ

გუშინ „ნიუკასლ იუნაიტედის“ თაკკაცი ბობი რობსონი მეტად შეაშფოთა ადგილობრივი ჰოსპიტალიდან მიღებულმა ინფორმაციამ. ექიმმა, რომელმაც „ლიდსი“ — „ნიუკასლის“ მატჩის შემდეგ ქართველი ნახევარმცველი თემურ ქეცბაია გასინჯა, დაადგინა, რომ იგი ერთი თვე ვერ ითამაშებს.

ქეცბაიამ „ლიდსთან“ თამაში ძირითადში დაიწყო, თუმცა 43-ე წუთზე შეცვალეს. ქართველმა ტრავმა „ლიდსის“ მეკარე ნაიჯელ მარტინთან შეჯახებისას მიიღო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ქეცბაიას გვარიანად დაუშავებია ფეხის ტერფი. თემურმა გუშინ განაცხადა, რომ მარტინს შეგნებულად არ უუხეშია. ქეცბაიას ტრავმას მეტად დაუფიქრებია ბობი რობსონი. „თემური ძირითადის ფეხბურთელია. მართალია, მას ოპტიმალურ ფორმამდე ცოტა უკლდა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული კადრებით ქართველის შეცვლა თითქმის შეუძლებელი იქნება. ეს ფაქტი მით უფრო საწყენია, რომ ალან შირერი ფორმაში შედის. იგი ხომ ქეცბაიას დამტვრევის შემდეგ, ფაქტობრივად, მეწყვილეს გარეშე რჩება“ — განაცხადა რობსონმა.

გუშინვე რობსონმა არ გამორიცხა, რომ ქეცბაიას ტრავმამ შეიძლება დააჩქაროს „ლივერპულიდან“ გერმანელი თავდამსხმელის, კარლ-ჰაინც რიდლეს გადაყვანა.

სამწუხაროა, რომ ქართველის დამტვრევა „ნიუკასლისთვის“ ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს დაემთხვა. ბობი რობსონი ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელის — ბარსელონელი ლუის ენრიკეს (სავარაუდოდ, 12 მილიონ გირვანქად), ბრაზილიელი ფუმაკასა და არგენტინელი კომინელის ყიდვას აპირებს.

რობსონის განცხადებით, გულიტის დროს კლუბმა წინასასეზონო შენაძენებისთვის ფული უკვე დახარჯა, ამიტომ თანხების მოსაგროვებლად რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გაიყიდოს. ასე რომ, გამოჯანმრთელებულ ქეცბაიას სრულიად ახალ, კონკურენტულ გარემოში მოუწევს თავისი შესაძლებლობების ხელახლა დამტკიცება.

ქეცბაიას ტრავმამ, ბუნებრივია, მხოლოდ „ნიუკასლი“ არ აზარალა, რომელიც უეფას თასზე სოფიის ცსკა-ს ელის — საქართველოს ნაკრები 9 ოქტომბერს ტირანაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩის წინ ლიდერის გარეშე დარჩა. არადა, ალბანეთში ჯგუფში ბოლო ადგილის საკითხი წყდება.

სიმონ მენაბდე

ტორპედო — ლოკომოტივი: ერთად და ცალ-ცალკე

უფასო ვიზები რაინდული ჟესტის პასუხად

დღეს დილით, 9 საათსა და 50 წუთზე, თბილისის აეროპორტიდან საქართველოს „აკია-ხაზების“ ლაინერი საბერძნეთის მიმართულებით გაფრინდა. თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, მწვრთნელები და ხელმძღვანელები (სულ 70 კაცი) ჩარტერული რეისით ელადას გაემგზავრნენ.

როგორც მოგეხსენებათ, ხვალ ორივე კლუბს უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის საპასუხო მატჩების გამართვა უწევს. შესაბამისად, სალონიკის პაოკ-თან და ათენის აეკ-თან.

დაახლოებით 3-საათიანი ფრენის შემდეგ ქართული ლაინერი სალონიკის აეროპორტში დაეშვება და „ლოკომოტივის“ დელეგაციას ჩამოსხამს. ამის მერე კი ათენისკენ აიღებს გეზს და 45 წუთში ტორპედოელებს საბერძნეთის დედაქალაქში ჩაიყვანს.

როგორც ქუთაისელთა კლუბის პრეზიდენტმა მიხეილ ჭორქიამ გვითხრა, ჩარტერული რეისისთვის თვითმფრინავის დაქირავება ორივე კლუბს 30 ათას დოლარამდე დაუჯდა. იქაურ ხარჯებს კი „ტორპედოს“ მისი მეტოქე აეკ-ი გაუსტუმრებს. ამით ათენელები იმერლებისთვის ვალის გადახდას შეეცდებიან, თუმცა შედარებით ნაკლებ თანხას შეელევიან, ვიდრე ქუთაისელებმა ბერძნების მანბინძლობისას დახარჯეს. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ხომ აეკ-ის 100-კაციან (გულშემატკივრიან-ჟურნალისტებიანად) დელეგაციას ქუთაისსა და წყალტუბოში სტუმრობა-დაბინავებაში ერთი ცენტიც არ გადახდევინა.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი. როცა იმერლებმა ვიზებისთვის თბილისში მდებარე საბერძნეთის საელჩოს მიმართეს და თანხის თაობაზე ლაპარაკი წამოუწყეს, საელჩოს წარმომადგენლები თურმე შეწუხდნენ — თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, ამის შემდეგ ფულის გამორთმევას როგორ შეგაკადრებთ, ეს ამბავი საბერძნეთის ხელისუფლებას ვამცნეთ, მათი და ბერძენი ხალხის სახელით უღრმეს მადლობას გიხდითო — უთქვამთ ელინელ დიპლომატებს. საქმე შემდეგში ყოფილა. როგორც იცით, „ტორპედო“ — აეკ-ის შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო. მთელმა სტადიონმა პატივი მიაგო საბერძნეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. ამის შემყურე საელჩოს წარმომადგენლებს თვალებზე ცრემლები მოსდგომიათ და ქუთაისელთა საქციელითაც კმაყოფილები დარჩენილან. ჰოდა, საკუთარი მთავრობისგან ნებართვა აუღიათ, „ტორპედოს“ დელეგაციისთვის ვიზები უფასოდ გამოეყოთ.

პოლიტიკაში ადამიანურ ურთიერთობებს, ქცევებს, ათას სხვა წვრილმანს უდიდესი ყურადღება ექცევა და კარგია, როცა დიპლომატი ყოველივეს ამჩნევს, ხედავს და თანაც ცდილობს, რაინდულ ჟესტს რაინდულადვე უპასუხოს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოსა და საბერძნეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობები ფეხბურთით არ დაწყებულა და არც ამით დამთავრდება. იგი საუკუნეების ისტორიას ითვლის...

ხვიჩა სანიკიძე

შეფილდს ქინქლაძის ყიდვა არ შეუძლია

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ინგლისურ გაზეთ „დეილი მირორისს“ ცრუ ინფორმაცია გაუვრცელებია, თითქოს „შეფილდ იუნაიტედის“ თავკაცმა ადრიან ჰითმა ამსტერდამის „აიაქსს“ ოფიციალურად შესთავაზა 26 წლის ქართველ ნახევარმცველ გიორგი ქინქლაძეში 2,5 მილიონი გირვანქა.

ის, რომ დღეისთვის „შეფილდს“ ქინქლაძეში არ შეუძლია კლუბისთვის სარეკორდო თანხის გადახდა, გუშინ თავად ადრიან ჰითმაც დაადასტურა. „ჩვენ ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს „აიაქსთან“ გიორგი ქინქლაძის სეზონის ბოლომდე იჯარით აყვანის თაობაზე, შემდეგში საბოლოო გამოყიდვის მიზნით“ — თქვა ჰითმა.

„აიაქსის“ პრესატაშე ვან ლეევენსმა კი გუშინაც დაადასტურა, რომ კლუბი კატეგორიულად გამორიცხავს ქინქლაძის იჯარით გაშვებას და მხოლოდ მის გაყიდვას ეცდება.

შეგახსენებთ, რომ „აიაქსმა“ 5,5 მილიონ გირვანქად იყიდა ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიდან“ და ქართველს ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ივნისამდე აქვს დადებული.

ადრიან ჰითი ქინქლაძის გამოსასყიდი ფულის შოვნას უპირველესად პორტუგალიის მოქალაქე მარსელოს გაყიდვით ფიქრობს, რომლითაც „უოტფორდი“ და „ქოვენთრი“ არიან დაინტერესებული.

გუშინვე გადაწყდა, რომ „შეფილდში“ ერთი კვირით გასასინჯად დარჩება ნიგერიის „ჰოპეფულის“ ნახევარმცველი, ეროვნული ნაკრების წევრი კინგსლეი ობიეკვუ, რომლისთვისაც რეკომენდაცია ლონდონის „არსენალის“ ერთ-ერთ ლიდერს, ნვანკო კანუს გაუწევია. „შეფილდი“ ობიეკვუსაც იჯარის თაობაზე ესაუბრება.

ასევე იჯარით ცდილობს „შეფილდი“ მარსელის „ოლიმპიკის“ განელი მცველის, არტურ მოზესის გადაყვანას, რომელიც ხვალ აპირებს შეფილდში ჩასვლას.

სიმონ მენაბდე

რეგიონალური ლიგა

დასავლეთი

„ა“ ზონა

III ტური

25 სექტემბერი

მარგვეთი 2:0 გურია

1:0 ჯღარკავა (31), 2:0 ენდელაძე (69)
გაფრთხილება: ენდელაძე (მარგვეთი), ვაჩლიანი (გურია)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

ოკეანე 2:2 მეტალურგი

1:0 კრავეიშვილი (1), 2:0 ლორთქიფანიძე (8), 2:1 მინაშვილი (18), 2:2 ქურციკიძე (74)
გაფრთხილება: გოგავა, ჯიქია, კაცაძე, გოგია (ყველა ოკეანე), შველიძე, მალაღურაძე (ორივე მეტალურგი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

სულორი 0:0 რწმენა

გაფრთხილება: ფოფხაძე, გაბუნია (ორივე რწმენა)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

26 სექტემბერი

რაჭა 0:1 ინტერი

0:1 მეგრელიშვილი (74)
გაფრთხილება: მ. ძაგნიძე, დ. პაპიძე (ორივე რაჭა), არსენიძე, ვადაჭკორია (ორივე ინტერი)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

მეშახტე 4:3 მაღაროელი

27 სექტემბერი

გაგრა 1:1 იბერია 2

0:1 ბანძელაძე (24), 1:1 გორდაძე (48)
გაფრთხილება: ოდიკაძე, ლომინაშვილი (ორივე იბერია 2)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

მარგვეთი	3	3	0	0	7:1	9
გაგრა	3	1	2	0	5:4	5
სულორი	3	1	2	0	4:3	5
რწმენა	3	1	2	0	1:0	5
მეშახტე	2	1	1	0	6:5	4
იბერია 2	3	1	1	1	4:3	4
ინტერი	2	1	1	0	1:0	4
ოკეანე	3	1	1	1	6:6	4
რაჭა	3	0	2	1	2:3	2
მეტალურგი	3	0	2	1	3:6	2
მაღაროელი	3	0	0	3	8:12	0
გურია	3	0	0	3	2:6	0

„ბ“ ზონა

III ტური

25 სექტემბერი

შუქურა 3:1 სქური

1:0 ჯ. კალანდაძე (20), 2:0, 3:0 ყულეჯიშვილი (36, 61), 3:1 გოჩა კვარაცხელია (74)
ჯ. კალანდაძემ ვერ გაიტანა პენალტი (85)
გაფრთხილება: კოროტკოვი, ლომთათიძე (ორივე შუქურა), ქარდავა, ხარჩილავა (ორივე სქური)
მსაჯი: ა.შალამბერიძე (ქუთაისი)

ზუგდიდი 1:2 მეგრი

1:0 ჯურხანაძე (25), 1:1 შონია (30), 1:2 კაკულია (49)
გაფრთხილება: დიდიძე, ჯურხანაძე, რ. ბერაძე (ყველა ზუგდიდი), აკობია, კ. კვეკვესკირი (ორივე მეგრი)
გაძევება: აკობია (34, მეგრი)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

26 სექტემბერი

ლაზიკა 2:0 ჩელა

1:0 გ. თოდუა (8), 2:0 გამსახურდია (85)
გაფრთხილება: შამათავა (ჩელა)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ბახმარო 2:1 სამეგრელო

1:0 ბ. გიორგაძე (43), 1:1 ღვინჯილია (54), 2:1 უჯმაჯურიძე (83)
გაფრთხილება: გეფერიძე, მრელაშვილი (ორივე ბახმარო), გიგიბერია (სამეგრელო)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

ბათუმი 2 0:0 მერცხალი

გაფრთხილება: ოქროპირიძე (ბათუმი 2), კუკულაძე (მერცხალი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

27 სექტემბერი

ფაზისი 1:1 კოლხეთი 2

1:0 ხარბედია (28), 1:1 თედეევი (52)
გაფრთხილება: კრასოვსკი, ბ. გვაზავა (ორივე კოლხეთი 2)
გაძევება: ბურჭულაძე (72, კოლხეთი 2)
მსაჯი: ჯ. ბუაშვილი (ჭიათურა)

შუქურა	3	3	0	0	15:1	9
მეგრი	3	3	0	0	7:2	9
ლაზიკა	3	2	1	0	7:2	7
ფაზისი	3	1	2	0	4:3	5
ზუგდიდი	3	1	1	1	7:4	4
ბათუმი 2	3	0	3	0	2:2	3
ბახმარო	3	1	0	2	4:9	3
მერცხალი	3	0	2	1	1:2	2
კოლხეთი 2	3	0	2	1	2:4	2
სამეგრელო	3	0	1	2	3:5	1
სქური	3	0	1	2	3:9	1
ჩელა	3	0	1	2	1:13	1

აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

III ტური

25 სექტემბერი

ცხუმი 5:1 არაგვი

1:0 ბოჯგუა (24), 2:0 არეშიძე (26), 2:1 ი. ჩიტაური (41), 3:1 ოდიშარია (56), 4:1 კაკაბაძე (64), 5:1 რცხილაძე (67)
გაფრთხილება: კაკაბაძე (ცხუმი), ღარიბაშვილი (არაგვი)
მსაჯი: ზ. ჯვარიძე (თბილისი)

საუ 1:0 იბერია

1:0 დემურიშვილი (31)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

26 სექტემბერი

ივერია 0:1 მრეტები

0:1 მაღარაშვილი (76)
გაფრთხილება: მ. ამაშუკელი (მრეტები)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

თორი 4:0 ვარძია

1:0 მინაძე (10), 2:0 ვარდიაშვილი (22პ), 3:0 კოხრეიძე (69), 4:0 თალაკვაძე (21)
გაფრთხილება: შ. თარხნიშვილი (ვარძია)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

განთიადი 1:0 მესხეთი

1:0 მაჭარაშვილი (85)
გაფრთხილება: მაჭარაშვილი (განთიადი), გოგონაძე, ხაჩიძე (ორივე მესხეთი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ცხუმი	3	3	0	0	10:2	9
თორი	3	2	1	0	10:2	7
ივერია	3	2	0	1	7:3	6
საუ	3	2	0	1	6:3	6
განთიადი	2	2	0	0	3:1	6
ცხინვალი	2	1	1	0	4:1	4
მრეტები	2	1	1	0	2:1	4
იბერია	3	0	1	2	2:6	1
მესხეთი	3	0	0	3	2:10	0
ვარძია	3	0	0	3	0:8	0
არაგვი	3	0	0	3	3:12	0

„ბ“ ზონა

III ტური

25 სექტემბერი

ჭაბუკიანი 3:1 ალაზანი

0:1 დ. ბურდული (37), 1:1 მარგიევი (45), 2:1 პაქსაშვილი (85), 3:1 გაფრინდაშვილი (90)
გაფრთხილება: ტალახაძე, პაქსაშვილი, გუნია (ყველა ჭაბუკიანი), ბედოძე, იაგანაშვილი, გუდურაშვილი (ყველა ალაზანი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

26 სექტემბერი

ყვარელი 0:2 ამირანი

0:1, 0:2 ავალიანი (50, 74)
გაფრთხილება: ბერიკაშვილი (ყვარელი), მიკუჩაძე (ამირანი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

ხალიბი 0:1 არსენალი 2

0:1 თვალაბეიშვილი (24)
გაფრთხილება: მანწკავა, ბერიანიძე (ორივე არსენალი 2)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

27 სექტემბერი

ენერგეტიკოსი 3:2 თბილისი 2

1:0 კიკნაველიძე (1), 1:1 ნიშნიანიძე (5), 2:1 გ. კალანდაძე (6), 3:1 ცალქალამანიძე (42), 3:2 მუმლაძე (84)
გაფრთხილება: კიკნაველიძე (ენერგეტიკოსი), საღარეიშვილი (თბილისი 2)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

აკადემია 0:0 ზოოვეტი

არსენალი 2	3	3	0	0	8:2	9
ზოოვეტი	3	2	1	0	10:2	7
ლოკომოტივი 2	2	2	0	0	8:2	6
ჭაბუკიანი	3	2	0	1	5:3	6
აკადემია	2	1	1	0	1:0	4
ამირანი	3	1	0	2	3:6	3
ენერგეტიკოსი	3	1	0	2	5:10	3
თბილისი 2	3	0	2	1	3:4	2
ხალიბი	3	0	1	2	0:4	1
ყვარელი	3	0	1	2	2:8	1
ალაზანი	2	0	0	2	2:6	0

ბოდიში ინგლისურ ანბანთან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური

რაკი ჩვენს ხელშია, ინგლისურ ანბანს ბოდიში მოვუხადოთ და ჯგუფების თანმიმდევრობა შევცვალოთ, მითუფრო, რომ საღღეისო თამაშების შესახებ საუბრის დაწყებას თასის მფლობელით, „მანჩესტერ იუნაიტედით“ ვაპირებთ. მოკლედ, D ჯგუფი, მანჩესტერი, „ოლდ ტრეფორდი“, მრავალთა ტიტულთა მფლობელი „იუნაიტედი“ მასპინძლობს მარსელის „ოლიმპიკს“, გუნდს, რომელიც არის და ვერც არის ძლიერი ამა ქვეყნის.

„ოლიმპიკის“ იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი იმედიანად ყოფილა და მისი იმედი, თურმე, მასპინძელთა ნახევარდაცვის გულში როი კინის არყოლაზე ყოფილა დამყარებული. კინი D ჯგუფის ლიდერთა დავაში მუხლის ტკივილის გამო ვერ მონაწილეობს.

ჯგუფს მარსელელები ლიდერობენ, რადგან ორივე შეხვედრა მოგებული აქვთ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ დღემდე ერთი მოგებითა და ერთი ფრით მოვიდა.

„ოლიმპიკს“ ბოლო ოთხი თამაშია არ ჰყავს დაშავებული მცველი პატრიკ ბლონდო, ოდესღაც ინგლისური „შეფილდ უენსდის“ კაცი, რომელიც დღესაც არ იქნება, ისევე, როგორც მუხლნატკენი ფლორიან მორისი, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი.

„იუნაიტედის“ საქმიო სიას კი, რონი იონსენი, დევიდ მეი, უეს ბრაუნი, იესპერ ბლომკვისტი, რაიან გიგზი და გარი ნევილი რომ შეადგენენ, ახლა, როგორც გითხარით, კინიც შეუერთდა.

„მთავარი კინია, გამთამაშებელი და სივრცეების გამნაწილებელი“ — ამბობს რავანელი — „კინი ნამდვილი მეომარია და სწორედ მისი არყოფნაა ჩვენთვის მთავარი საჩუქარი.“

რავანელი, რომელსაც „ოლდ ტრეფორდზე“ სამი წლის წინ, „მიდლსბროში“ თამაშის დროს აქვს გოლი გატანილი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფასებისას მაინც რეალისტია:

„ეს გუნდი იმიტომაა ფანტასტიკური, რომ უმარტივეს ფეხბურთს თამაშობს. იგი ბურთს არასდროს აჩერებს. სისწრაფით მისი დაჩაგვრა შეუძლებელია. ამიტომაც თამაშის ტემპის დაწევას და კონტრშეტევებზე მოქმედებას შევეცდებით.“

იმ მარსელელთა შორის, რომელთაც „იუნაიტედის“ წინააღმდეგ უთამაშიათ, გახლავთ „ბლეკბერნ როვერსის“ მცველყოფილი სებასტიენ პერესიც.

„დასაკარგი არაფერი გვაქვს. ფავორიტად მეტოქეს რომ მიიჩნევენ, ესეც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს და კიდევ, ტაქტიკურად ინგლისური ფეხბურთი ლათინურს ძალიან ჩამორჩება“ — თქვა პერესმა.

D ჯგუფელთა მეორე წყვილზე საუბრით კი მკითხველებს აღარ გადავტვირთავთ. როგორც „კროაცია“, ასევე „შტურმი“, შეჯიბრებაში თავის პირველ გამარჯვებაზე ოცნებობს. მათთვის, ვისაც ტოტალიზატორში ნიძლავის ჩამოსვლა სურს და ინფორმაცია სჭირდება, ვიტყვით, რომ ზაგრებელთა გუნდში ბრუნდება რობერტ პროსინეჩკი, მაგრამ თამაშის დაწყებას მოედანზე შეხვდება თუ სათადარიგოთა სკამზე, ამას მწვრთნელი, ოსვალდო არდილესი უშუალოდ თამაშის წინ გადაწყვეტს.

„შტურმს“ დაუშავდა გერმანელი ნახევარმცველი მარკუს შუპი, ხოლო ჰანს რაინმაიერის თამაში საეჭვოა. კვლავ ექიმებთან დადიან მცველები დარკო მილანიჩი და რანკო პოპოვიჩი.

„ბარსელონა“ — „არსენალი“ B ჯგუფის თამაშია.

„ჩვენ საკმაოდ ძლიერები ვართ. ბიჭები არიან და იქით გაგვიძლონ“ — მოდით, „არსენალის“ მწვრთნელის არსენ ვენგერის ეს სიტყვები ლონდონელთა კატალონიაში მოგზაურობის ლაიტმოტივად მივიჩნიოთ.

„ბარსელონა“, შესაძლოა, მსოფლიოს უმდიდრესი კლუბიც კია. ეს გასაკვირი არც არის, მას ხომ სტადიონზე ყოველ შეხვედრაში 100 ათასი მაყურებელი მიუდის. არც ისაა მოულოდნელი, ბევრი მას ლიგაში გამარჯვების უმთავრეს ფავორიტად რომ თვლის. გამარჯვება „ბარსელონას“ უფრო სწყურია, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედს“, რადგან ბოლო წლებში ევროპაში არაფერი მოუგია. მასთან თამაში ჩვენთვის ნამდვილი გამოცდაა. ეს პირადად ჩემთვისაც გამოცდაა, მაგრამ მწამს, შემადგენლობის განსაზღვრაში შეცდომას არ დავუშვებ. დაცვაში რომ ჩავსხდეთ, ანუ შეტევის საშუალება მივცეთ, კარგი არ იქნება. ცხადია, ბარსელონელთათვის ხელის შეშლას ვგეგმავთ, მაგრამ პერსონალურად რივალდოსაც არავის მივუჩენთ. ამთავითვე ვიცი, რომ თამაშის დროს იქნება შონაკვეთები, როდესაც მასპინძლები პრესის ქვეშ მოგვაქცევენ, მაგრამ „არსენალი“ მათ აჩვენებს, რომ ევროპის საუკეთესო კლუბებს ტოლს არ უდებს“ — ეს ყველაფერი კვლავ ვენგერმა თქვა.

„არსენალის“ მწვრთნელი რივალდოს მთავარ ღირსებებად ჯარიმების საუცხოოდ დარტყმასა და ბურთით შეტევას მიიჩნევს. კლუივერტს კი ეფექტის გამო გაძვირებულ მოთამაშეს უწოდებს და ამბობს, სატრანსფერო ბაზარზე იგი 9 მილიონ გირვანქად არ უნდა გაყიდულიყო. რონალდ დე ბური კი...

„შარშან ამ დროს მის ყიდვასთან ძალიან ახლოს ვიყავი. მასაც ბევრჯერ უთქვამს, რომ „არსენალში“ სიამოვნებით ითამაშებდა“ — ამბობს ლონდონელთა ფრანგი მწვრთნელი.

ვენგერი ლუის ვან გაალზე: „კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ორ წელიწადში „ბარსელონასთან“ ერთად დიდ წარმატებას მიაღწია, ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.“

ვან გაალს, „ბარსელონას“ ჰოლანდიელ თავკაცს და, სხვათა შორის, ლონდონელთა გარემარბის, მარკ ოვერმარსის აღმზრდელს, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს და, როგორც ამბობენ, იგი ზუსტად იმ შემადგენლობას გაიყვანს მოედანზე, ერთი კვირის წინ „ფიორენტინას“ წინააღმდეგ რომ ჰყავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ შაბათს, პრიმერა დივიზიონში, „რეალ ბეტისის“ კარში ჰეთ თრიქის ავტორი დანი თავდასხმაში ადგილს კლუივერტს დაუთმობს, რონალდ დე ბური ძმას, ფრანკს ამოაგდებს შემადგენლობიდან, ხოლო იარი ლიტმანენი ფილიპ კოკუს დაულოცავს გზას.

„არსენალის“ თავდასხმაში ნვანკვო კანუსა და დავორ შუკერის წყვილია მოსალოდნელი. ცნობისთვის, შუკერი „რეალში“ თამაშის დროს თორმეტჯერ დაუპირისპირდა „ბარსელონას“ და შვიდჯერ გაუტანა.

ამ ჯგუფში სტოკჰოლმის აიკი, რომელმაც პირველი ორი მატჩი მსაჯის დამატებულ წუთებში წააგო „ფიორენტინას“ შოტლანდიელი მწვრთნელის სტიუარტ ბაქსტერის უშუალო ხელმძღვანელობით, უმასპინძლებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ბაქსტერს „ბარსელონასთან“ თამაშის დროს მიღებული წითელი ბარათის მოქმედების ვადა გაუვიდა და დღეს კვლავ თავის სკამზე იჯდება. შვედების გუნდში საეჭვოა თავდამსხმელის, ანდერს ანდერსონის და მცველის პონტუს კამარკის თამაში.

„ფიორენტინას“ ფეხნატკენი ფორვარდი პრედრაგ მიატოვიჩი არ ეყოლება. გამოჯანმრთელდა ცენტრალური მცველი ალესანდრო პიერინი.

A ჯგუფში „ლაციო“ „მარიბორს“ მოუგებს... უკაცრავად, მასპინძლობს. ამბობენ, რომ რომაელთა შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი, ძირითად შემადგენლობაში ალესანდრო ნესტასა და დეიან სტანკოვიჩს უპირებს ჩართვას.

„დღეს ჩვენ გადამწყვეტი მატჩი გველის. თუ მოვიგებთ, დავაგროვებთ შვიდ ქულას და ძალიან მივუახლოვდებით შემდეგ ეტაპს“ — თქვა ერიკსონმა.

„მარიბორს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული სუად ფილეკოვიჩი.

ლევერკუზენის „ბაიერი“ კიევის „დინამოს“ ეთამაშება. გერმანელებს სერიოზულად დაშავებული არავინ ჰყავთ, ხოლო მთავარი თავდამსხმელი, ულფ კირსტენი ჩინებულ ფორმაშია.

კიეველები შემადგენლობას მცირედ შეცვლიან. თავდასხმაში სერგეი რებროვს უკრაინის 21 წლამდელთა ნაკრების მოთამაშე ოლეგ ვენგლინსკი შეუწყვილდება, რომელიც მაქსიმ შაციხის ადგილს დაიკავებს. მოსალოდნელია მცველთა, სერგეი ფიოდოროვისა და ვლადიმირ იეზერსკის გამოჩენა.

C ჯგუფის თამაშებია: „რუსენბორგი“ — „დორტმუნდი“ და „ბოავიშტა“ — „ფეიენოორდი“.

„რუსენბორგში“ ნახვარმცველ ბიორნ ოტო ბრაგსტადს ნორვეგიის პირველობის ბოლო შეხვედრაში მსუბუქად შეერყა ტვინი, მარჯვენა მცველი კრიტერ ბასტმა კი გამოჯანმრთელდა. დაშავებულია ფორვარდი ოტო დაჰლუმი, თუმცა მთავარი მეგოლე იონ კარეუ ჯანმრთელადაა.

„დორტმუნდს“ არ ეყოლება ფრედი ბობიჩი, „ფეიენოორდის“ კარში ორი გოლის ავტორი. არ იქნება ანდი მიოლერიც, ალბათ, ითამაშებს ნიგერიელი ვიკტორ იკპება.

„ბოავიშტას“ შემადგენლობაში ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ბრუნდება რუმინელი იონ ტიმოფტე, ხოლო „ფეიენოორდს“ მხოლოდ იგორ კორნეევი ჰყავს დაშავებული. კაცმა რომ თქვას, ის ჯანზეც რომ იყოს, მაინც სათადარიგოთა სათადარიგო იქნებოდა.

პაპუნა კედია



REUTERS ბარსელონიდან

არსენალელი პატრიკ ვიეირა (მარცხნივ) ბარსელონის აეროპორტში ავტოგრაფებს არიგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ, რატომ ხარ ანჩხლი?

დევიდ ბექემი, როგორც ცნობილი ადამიანი, საზოგადოებრივი ზეწოლისა და ზრუნვის საგანია. თუ ვინმეს ლანძღვა-გინების მუზა შეახსენებს თავს, ადრესატი ბექემია, ხოლო როდესაც მავანი მოყვასის დახმარების ეშხში შევა, დასახმარებლად ისევ ბექემს მიაკითხავს.

ისე, მედალსო, ამბობენ, ორი მხარე აქვსო. რატომ მაინც და მაინც ბექემი და არა, ვთქვათ, როი კინი? იმიტომ, რომ ბექემი თავად საჭიროებს ყურადღების ცენტრში ყოფნას, ყოველ შემთხვევაში ასე იქცევა.

ეს ყველაფერი კი იმიტომ გაგვახსენდა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ბექემს შეუთვალა „ლანკასტერ გეიტზე“ მოდი — ქუჩაა ლონდონში — შენი ქცევის შესახებ გულახდილად ვილაპარაკოთო.

იმის შესახებ თუ როგორ იქცევა ბექემი ორიოდ დღის წინ მოგახსენეთ, მოკლედ კი შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ერთობ ანჩხლი ვინმეა და ამ, ახალდაწყებულ სეზონში უკვე ხუთჯერ მიიღო ყვითელი ბარათი. რატომ ყვითელი და არა წითელი? იმიტომ, რომ როგორც ვარსკვლავს მსაჯები ინდობენ.

ყველაზე ხშირად კი დევიდი მეტოქე გუნდების მაყურებელს ეპაასუხება. 24 წლის ვარსკვლავმა „ოლდ ტრეფორდზე“ „ლიდსის“ ფანებს V — ნიშანი აჩვენა, აქაოდა დავამარცხეთ, თანაც ჩემი პირმშვენიერი ცოლის, პოპ ვარსკვლავის ვიქტორია ადამსის სახელიც V-ზე იწყებაო. მოგეხსენებათ ლათინურად სიტყვა ვიქტორია გამარჯვებას ნიშნავს.

მოკლედ, ბექემი ყველას თვალში ეჩხირება, შესაბამისად აგინებენ, მერე კი პასუხობს...

კინი ნაკრებში ბრუნდება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, ირლანდიელი როი კინი 9 ოქტომბერს კვლავ ითამაშებს ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ქვეჯგუფის ბოლო მატჩში მაკედონიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ირლანდიის ეროვნული ნაკრების 22-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია: ალან კელი, დინ კიელი, დენის ირვინი, სტეფენ ქარი, ჯეფ კენა, სტეფენ სტონტონი, კენი კანინგემი, გარი ბრინი, ფილ ბები, როი კინი, დამიენ დაფი, მარკ კენედი, ნიალ ქუინი, ტონი კასკარინო, რობი კინი, კეიტ ონილი, კევინ კილბეინი, დევიდ კონოლი

რიდლე ფულემში გადადის

ინგლისის პირველი დივიზიონის გუნდ „ფულემს“ განზრახული აქვს, „ლივერპულიდან“ გერმანელი კარლ ჰაინც რიდლე შეიძინოს. გუნდის პრეზიდენტ პოლ ბრეისველს კარგა ხანია, თვალი ეჭირა 34 წლის რიდლეზე და ახლა ალბათ აისრულებს საწადელს. იგი მზადაა, რიდლეში 250 ათასი გირვანქა გადაიხადოს.



კარლ ჰაინც რიდლე

რიდლეს, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიის“ რიგებში 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელია, წლეულს საქმე სატრაბახოდ ნამდვილად არა აქვს. ისედაც დაუძლურებული „ლივერპულის“ რიგებში სათადარიგოთა შორისაც ვერ ხვდება, ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა მინდორზე, „უოტფორდის“ წინააღმდეგ მატჩში და მაშინაც შეცვალეს. თუმცა ლიგის თასის შეხვედრაში „ჰალის“ წინააღმდეგ შეძლო და ორი გოლი გაიტანა.

თუ რიდლე „ფულემში“ გადავიდა ეს მისთვის რიგით მეექვსე გუნდი იქნება, ინგლისამდე იგი „ბლაუ-ვაის 90“-ის, „ვერდერის“, „ლაციოსა“ და დორტმუნდის „ბორუსიის“ ღირსებას იცავდა. საკუთარი ქვეყნის ნაკრებში კი 42 თამაში ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა.

ნიკა შუბლაძე

ჯონსი სექსუალური აგრესორია?



დევიდ ჯონსმა „უეივეტრი როუდზე“ ოთხსაათნახევარს დაჰყო

დევიდ ჯონსის ამბავი ასეა, მას ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ცხრა ბრალდება აწევს, თავად კი ჯიუტად აცხადებს უდანაშაულო ვარო. „საუთჰემპტონის“ ოფისიდან გავრცელებულ დოკუმენტშიც წერია, რომ „ეივერტონის“ ყოფილი მცველი და ოთხი შვილის მამა უბრალო კაცია, მაგრამ ამას მერსისაიდის პოლიცია ეჭვის თვალით უყურებს. რას იზამ, პოლიცია პოლიციაა და ეჭვიანობა მისი მოვალეობა გახლავთ.

43 წლის ჯონსი, დღეს „საუთჰემპტონის“ მწვრთნელი, 1980-იანი წლების დასაწყისში ჩრდილო მერსისაიდში, ბავშვთა სახლში ზედამხედველად მუშაობდა.

ამონაწერი პოლიციის ჟურნალიდან: „ჩვენ ვიძიებთ 43 წლის დევიდ ჯონსის საქმეს. ჯონსი საუთჰემპტონის რაიონში ცხოვრობს და ბავშვთა სახლში ზედამხედველად მუშაობის დროს სექსუალური აგრესიის ცხრა შემთხვევა ედება ბრალად. იგი ლივერპულის მაგისტრატურაში 1999 წლის 2 ნოემბერს უნდა გამოცხადდეს“.

ჯონსის სახელი ერთმა ძველისძველმა გამოძიებამ წამოატივტივა. ამ გამოძიების პირობითი სახელწოდება „ოპერაცია ზედამხედველი“ გახლდათ და იგი 60-იანი წლებიდან იღებდა სათავეს. „ოპერაცია ზედამხედველი“ სწორედ ბავშვთა სახლებში ტრადიციად ქცეულ სამაგლობებს ეხებოდა. ისტორია ისტორიას მოჰყვა, რგოლი რგოლს გადაება და...

„ყოველგვარ ბრალდებას უარვყოფ. ჩემი უდანაშაულობა უმტკივნეულოდ დადასტურდება. მე კი „საუთჰემპტონში“ მუშაობას განვაგრძობ“ — აცხადებს ჯონსი.

„საქმის შესახებ საკუთრივ დეივთან და იურიდიულ მრჩევლებთან ვისაუბრეთ. მრჩევლებმა განაცხადეს, რომ კლიენტს უსამართლო ბრალდებებისგან დაიცავენ. დეივი კატეგორიულად აცხადებს, რომ უდანაშაულოა. თუ ბრალეულობას არ დაუმტკიცებენ, დეივი უდანაშულოა. კლუბი ურყევად აცხადებს, რომ დეივი მუშაობას არ შეწყვეტს და მისი ხელმძღვანელობით „საუთჰემპტონს“ ბოლო წლებში საუკეთესო სეზონი უდგას. ჩვენ დეივსა და მის ოჯახზე ვზრუნავთ. იმედს გამოვქვამთ, რომ პრესა ამ მძიმე დროს მათ მიმართ პატივისცემას გამოხატავს“ — წერია კლუბის განცხადებაში.

„საუთჰემპტონის“ თავმჯდომარემ, რუპერტ ლოუმ SKY SPORT-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დასძინა:

„მდგომარეობის სირთულე კარგად გვესმის და დიდი მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენს ოფიციალურ პოზიციად მივიჩნიოთ ჭეშმარიტება, სანამ არაფერია დამტკიცებული, ადამიანი მართალია. დანარჩენს სასამართლო გადაწყვეტს, რომელზეც დეივს და მის ვექილებს ეჭვმიტანილის უდანაშაულობის შანსი მიეცემათ“.

ზაფხულზე, როდესაც ჯონსი ოჯახთან ერთად ფლორიდაზე ისვენებდა, თავს „ოპერაცია ზედამხედველის“ დეტექტივები დაადგნენ, რომელთაც ოცამდე ჩვენება ააფრიალეს. ფრიალს რომ მორჩნენ დეტექტივებმა ერთობ უცერემონიოდ ჩაავლეს „საუთჰემპტონის“ მწვრთნელს ხელი დ[illegible] ლივერპულში ჩაიყვანეს, სადაც „უეივეტრი როუდზე“ დაკითხეს. მოკლევადიანი პატიმრობის თუ წინასწარი პატიმრობის შემდეგ ჯონსი გაუშვეს.

ამ წერილის გმირი თუ ანტიგმირი მეუღლეს და ბავშვებთან ერთად საუთჰემპტონიდან რამდენიმე მილის მანძილზე, ილუერთონში [illegible] საიდანაც ორშაბათს, 27 სექტემბერს ისევ „უეივეტრი როუდს“ მიაშურა. მუქი ლურჯი „იაგუარ სოვერინიდან“ გადმოსულმა, შავ ჟაკეტში გამოწყობილმა, მრჩევლის თანხლებით, რეპორტიორთა ვეება ჯგუფს ჩაუარა და შევიდა ოფისში, საიდანაც ოთხსაათნახევრის შემდეგ გამოვიდა. ჯონსმა კომენტარისგან თავი შორს დაიჭირა.

... დაბადებით დეივდ ჯონსი ლივერპულელია. 1976 წელს „ეივერტონში“ პირველად ითამაშა, შემდეგ კი „ქოვენთრიში“ გადავიდა. სანამ მუხლს დაიზიანებდა და ფეხბურთის თამაშს თავს დანებებდა „საუთჰემპტონის“ დღევანდელი მწვრთნელი ჰონკონგის „სეიკოში“, „პრისტონ NE“-ში და „მორიკემბშიც“ გამოდიოდა. დაახლოებით ამ პერიოდში ისწავლა მან სოციალურ საქმეთა გაძღოლა და, როგორც მოგახსენეთ, ჩრდილო მერსისაიდში, ბავშვთა სახლში ზედამხედველად მოეწყო.

ფეხბურთში, მოგვიანებით, „მორიკემბის“ ასისტენტ მწვრთნელად დაბრუნდა, შემდეგ კი „სტოკპორტ ქაუნთის“ მწვრთნელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით „სტოკპორტ ქაუნთიმ“ პირველი დივიზიონისკენ გაიკაფა გზა და სათასო შეხვედრებში პრემიერლიგის რამდენიმე გუნდიც დაამარცხა.

დევიდ ჯონსი, „საუთჰემპტონში“ 1997 წელს გადავიდა. გასული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში მისმა გუნდმა, მისივე ფეხბურთელობის დროინდელი გუნდის „ეივერტონის“ 2:0 ძლევით პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა და დღეს პრემიერლიგაში მორიგ სეზონს ატარებს.

მარია ბრესლინი
PA NEWS

ლივერპულმა რა ჰქნა?

რევოლუციური, გარდამავალი პროცესები დროა, დასრულდეს. ორშაბათის მერსისაიდულ დერბიში დამარცხება სერიოზული გაფრთხილება იყო და ეს „ლივერპულის“ მწვრთნელმა, ჟერარ ულიემ კარგად იცის. ფრანგი მწვრთნელისთვის ნათელი გახდა, რომ მისმა ფეხბურთელებმა „ეივერტონთან“ შეხვედრაში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საყრდენი, კონტროლი და მოთმინება დაკარგეს.

ულიემ ბევრი ილაპარაკა, განსაკუთრებით კი ხაზი გაუსვა, რომ მის ახალშეძენილ, ხშირ შემთხვევაში დაშავებულ ვარსკვლავებს ტკივილისა და სხვა მრავალი ბარიერის დაძლევა მოუწევთ, რათა ამ სეზონში „ლივერპული“ გადაარჩინონ.

რა იხილა ორშაბათს, „ენფილდ როუდზე“, ლივერპულელთა თავკაცმა? მან იხილა, როგორ დაწინაურდა „ეივერტონი“ კევინ კემპბელის გოლით და რაოდენ უძლურნი გამოდგნენ მისი, 30 მილიონ გირვანქად ნაყიდი ვარსკვლავები, როდესაც საქმე თამაშის ბედის შემობრუნებაზე მიდგა.

„ეივერტონს“ კი ფინანსური გაჭირვების — ცხადია, ყველაფერი შედარებითია — პერიოდი უდგას. ამიტომაც გაყიდა და გაყიდა გასულ ზაფხულზე ძვირი უცხოელები, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამას გუნდისთვის ხელი არ შეუშლია 9 ტურის შემდეგ მეექვსე ადგილზე იყოს და თანაქალაქელ მოწინააღმდეგეს, „ლივერპულს“ ექვსი ადგილის ქვევით ჩახედოს.

„ლივერპულს“ რვიდან ოთხი თამაში უკვე წაგებული აქვს. ასე რომ, ჩემპიონობაზე ფიქრს ამთავითვე შეუძლია თავი დაანებოს. ლიგის თასი? კენჭისყრაში გუნდების ქვედა ნახევრის შუაშია. ასე რომ, ოცნებას თუ არ აჰყვება, აქაც აჯობებს. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ოდესღაც ძლევამოსილი ცუდად თამაშობს და ეს ულიეს ჩინებულად მოეხსენება.

ულიე ამბობდა, დრო მჭირდებაო. მართლაც ჭირდებოდა, მაგრამ როდესაც ოქტომბერი მოდის და შენ ქალაქურ დერბის აგებ, სიტყვა დრო მნიშვნელობას იცვლის. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ფრანგის არგუმენტი სერიოზულია: დიტმარ ჰამანი, ვლადიმერ შმიცერი, სტეფან ენჩოსი, მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი თამაშ-თამაშ ტკივილსაც ებრძვიან და აღდგენით პროცედურებსაც იტარებენ.

„ამ ფეხბურთელებმა სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი გამოტოვეს, გამოტოვეს მატჩებიც და შესაბამისად, ფორმაში არ არიან. ახლა მათ ინტენსიურად უწევთ თამაში, თუმცა ისიც ფაქტია, რომ თუ არ ითამაშებენ, ვერც ვერასოდეს აღიდგენენ ფორმას. მოკლედ, დღეს მათ სკამზე დასმას და იმის თქმას, რომ ისინი მოუმზადებლები არიან, აზრი არ აქვს“ — ამბობს მწვრთნელი.

ასეთია ულიეს რეალობა. იგი იცდის და იცის, რომ დრო და მასთან ერთად ქომაგთა მოთმინება იწურება, ამასობაში კი ფეხბურთელები გადავიდნენ ჭკუაზე. ორშაბათს, „ენფილდ როუდზე“ სანდერ ვესტერველდმა და სტივენ ჯერარდმა თავი მუშტი-კრივში შეყვეს და წითელი ბარათით დაისაჯნენ.

„ეს ჩვენთვის გაკვეთილი იყო. თუ საკუთარ ქცევას ვერ აკონტროლებ, ვერც თამაშს წარმართავ შენთვის სასურველი გზით. ადამიანს ასეთ დროს თავის ხელში აყვანა უნდა შეეძლოს. ფეხბურთი ჭკვიანების თამაშია. როდესაც მზად არ ხარ, ნервები გეშლება“.

ბუნებრივია, „ეივერტონის“ თავკაცი, უოლტერ სმიტი სხვა აზრსა და ხასიათზე იყო:

„ჩვენ შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვართ. გამარჯვებას ვიმსახურებდით. ხომ იცით, დერბი ქომაგებისთვის არსებობს და მათ ძლიერი წადილი ავუსრულეთ. ჩხუბებიც დერბისთვისაა დამახასიათებელი. ამ დროს ემოცია ჯებირს ანგრევს და მსაჯიც იძულებული ხდება, უმკაცრესი განაჩენი გამოიტანოს“.

ჩხუბი ჩხუბად და მთავარი „ლივერპულია“. საცოდაობაა, ოდესღაც უდიდეს კლუბს ასე დაჩაჩანაკებულს ხედავდე. იქნებ ინგლისში ყველაზე პოპულარული კლუბი ყოველთვის „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო, მაგრამ საქართველოში მას „ლივერპული“ ჩრდილავდა, რადგან, ჯერ ერთი, 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანების დასაწყისში იგი „იუნაიტედიც“ იყო და მეტიც. და მეორეც, განგებამ სწორედ იმ პერიოდში შეახვედრა ლეგენდარულ თბილისის „დინამოს“. იმ დაპირისპირების შედეგი ქართველი ქომაგისთვის დღემდე საამაყოა. ამიტომაც კითხულობენ ჩვენში, „ლივერპულმა“ რა ჰქნა?

მიხეილ სურგულაძე

ფათიჰ თერიმი

ჩახვალთ თქვენ სტამბოლში

წუხელ ინგლისის დედაქალაქში გამართულ ჩემპიონთა ლიგის მატჩს, „ჩელსი“ — „გალათასარაი“, ერთობ ორიგინალური წინაისტორია ჰქონდა. ამის შესახებ სტამბოლელთა აღშფოთებულმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა ილაპარაკა.

„მათ ინგლისურად უამრავი შეკითხვა დამისვეს. სად მუშაობო, ბრიტანეთში რატომ ჩამოხვედიო. ყველაფერი აინტერესებდათ, თხემით ტერფამდე შემისწავლეს, ნამდვილ დაკითხვაზე ვიყავი“.

თურქულ გაზეთ „საბაჰში“ გამოქვეყნებული ეს სიტყვები სავსე იყო საყვედურით ბრიტანული საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც არაევროკავშირელ სტუმრებს საზღვარზე — ამ შემთხვევაში აეროპორტში — ეგებებიან.

„ჩვენს დასახვედრად „ჩელსის“ ერთი წარმომადგენელიც არ მოსულა. შემდეგ, „სტემფორდ ბრიჯზე“ სავარჯიშოდ მხოლოდ 45 წუთი გამოგვიყვეს. ამ საქმეში 20 წელინადია ვდგავარ და ასეთი საშინელი, შეურაცხმყოფელი მოპყრობა არსად შემხვედრია“.

შემდეგ თერიმმა დასძინა, რომ 20 ოქტომბერს, სტამბოლში, „ალი სამი იენის“ სტადიონზე სათამაშოდ ჩასულ „ჩელსის“ ზუსტად ისეთივე პატივსაცემა დახვდება, როგორც თავად გამოიჩინა.

„ლონდონელებს ვაფრთხილებ, სტამბოლში იგივეს ელოდონ. ჯობს ვინმე თურქულის მცოდნე წამოიყვანონ, თორემ თურქულად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდებათ. ისე, საკუთრივ „ჩელსიში“ შესაძლოა ბევრი უცხოელიც თამაშობს, მაგრამ ინგლისელ ჯენტლმენებს რა დაემართათ“?

REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ეივერტონი 0:1. სანდერ ვესტერველდისა და ფრენსის ჯეფერსის მუშტი-კრივი

სამხრეთ ამერიკა

ოთხი წლის შემდეგ...



ლუქსემბურგომ სავიო (№11) ნაკრებში დააბრუნა

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი სავიო ოთხი წლის ლოდინის შემდეგ კვლავ გამოიძახეს ეროვნულ ნაკრებში. მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ იგი იმ 22 ფეხბურთელს შორის დაასახელა, რომლებიც 9 ოქტომბერს ამხანაგურ მატჩს გამართავენ ჰოლანდიელთა წინააღმდეგ. სავიომ უკანასკნელად 1995 წელს ითამაშა ეროვნულ ნაკრებში კოლუმბიის წინააღმდეგ, სულ კი ქვეყნის პირველი გუნდის მაისურა 14-ჯერ მოირგო. საინტერესოა, რომ ლუქსემბურგომ კვლავ არ მიიწვია რომარიო და ედმუნდო.

ბოლო ხანებში ბრაზილია და ჰოლანდია ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მატჩი ფრედ — 2:2 დასრულდა, მეორეში სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს 3:1. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ხუთი ფეხბურთელი გააძევეს.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ასეთია: *მეკარეები — მარკოსი (პალმეირასი), დიდა (კორინთიანსი); მცველები — ანტონიო კარლოსი, კაფუ (რომა), ევანილსონი (ლევერკუზენი), რობერტო კარლოსი (რეალი), სილვინიო (არსენალი), შეიტი (გრემიო), სეზარი (პსუ), როკე ჟუნიორი (პალმეირასი); ნახევარმცველები — ემერსონი (ლევერკუზენი), ფელიპე, ჟუნინიო (ვასკუ და გამა), ასუნსაო (სანტოსი), ვამპეტა (კორინთიანსი), რივალდო (ბარსელონა); თავდამსხმელები — რონალდო (ინტერი), რონალდო ასისი (გრემიო), ელბერი (ბაიერნი), სავიო (რეალი).*

ბრაზილია

ედმუნდომ საკუთარი შვილის დაბადების დღე მეტად ორიგინალურად აღნიშნა. წვეულებაზე, რომელსაც მრავალი სტუმარი და მათ შორის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც ესწრებოდა, ედმუნდომ ვაუს ცირკის ცოცხალი კომპლექტი — შიმპანზე და პატარა სპილო აჩუქა. ეს მოვლენა მრავალმა ბრაზილიელმა სატელევიზიო არხმა გააშუქა. თავად ედმუნდო, რომელსაც მეტსახელად „მხეცს“ უწოდებენ, აცხადებს, რომ იგი საკმაოდ დიდხანს, 18 თვე იყო მოშორებული ოჯახს. ამ პერიოდის მანძილზე ფლორენციის „ფიორენტინას“ ღირსებას იცავდა და არცთუ სახარბიელოდ. ახლა კი, როცა სამშობლოში დაბრუნდა, სურს, ორიგინალურად მიულოცოს პატარას დაბადების დღე.

მას შემდეგ, რაც ედმუნდო სამშობლოში დაბრუნდა და „ვასკუ და გამაში“ თამაშობს, საკმაოდ ძლიერად გამოიყურება. „კორინთიანსის“ წინააღმდეგ დუბლი შეასრულა, მერე ამას „ინტერნასიონალის“ კარში გატანილი ორი გოლიც დაუმატა.

ასე რომ, ახლა ედმუნდო ბედს ნამდვილად არ უნდა უჩიოდეს, თუმც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ მაინც არ გამოიძახა.

ქვეყნის პირველ გუნდში ვერა და ვერ ელირსა ადგილს ლუქსემბურგოს მიერ შერისხული მეორე ფეხბურთელი — რომარიოც, რომელმაც „ფლამენგოს“ რიგებში წინა ტურში ორი გოლი გაიტანა და გუნდი „კორინთიანსთან“ ერთად ცხრილის სათავეშიც მოექცა.

კრიზისშია ბრაზილიელთა ნაკრების ყოფილი თავკაცის, მარიო ზაგალოს გუნდი „პორტუგეზა“, რომელმაც გასულ ტურში ფრედ 2:2 დაასრულა შეხვედრა „ატლეტიკო მინეიროსთან“ და ცხრილის ფსკერზე დაეშვა.

XII ტური კურიტიბა — ბოტაფოგო 3:2, სპორტ რესიფე — კორინთიანსი 0:0, სან პაულუ — გამა 1:2, პონტე პრეტა — კრუზეირო 2:2, პალმეირასი — სანტოსი 1:1, ბოტაფოგო რიბეირაო — პარანა 2:0, გრემიო — გუარანი 2:3, ფუტენტუდე — ატლეტიკო პარანაენსე 1:3, ფლამენგო — ვიტორია 5:2, ვასკუ და გამა — ინტერნასიონალი 2:0, ატლეტიკო მინეირო — პორტუგეზა 2:2

12 თამაშიდან 25-25 ქულა მოაგროვა „კორინთიანსმა“ და „ფლამენგომ“. ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით პირველ ადგილზე „კორინთიანსია“. 22-22 ქულა სამმა გუნდმა მოაგროვა, ოღონდ მათ მატჩების სხვადასხვა რაოდენობა ჩაატარეს. მესამე ადგილზე „გუარანია“ (13 თამაში), მეოთხეზე — „ვასკუ და გამა“ (11), ხოლო მეხუთეზე „კრუზეირო“ (12).

არგენტინა

VIII ტური. ბოკა ხუნიორსი — სან ლორენსო 0:0, არხენტინოს ხუნიორსი — რივერ პლეიტი 2:0, ესტუდიანტესი — ტალერესი 4:2, ინსტიტუტო — ფერო კარილი 2:1, ველეს სარსფილდი — ხიმნასია ხუხუი 3:0, როსარიო სენტრალი — ჩაკარიტა ხუნიორსი 3:2, ლანუსი — ნიუელზ ოლდ ბოიზი 2:1, ინდეპენდიენტე — უნიონი 0:0, კოლონი — რასინგი 0:1.

8 ტურის შემდეგ 18 ქულით „სან ლორენსო“ ლიდერობს, რომელსაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ რუჯერი წვრთნის. ბოლო ტურში „ლორენსომ“ „ბოკა ხუნიორსთან“ გასვლაზე ფრედ 0:0 ითამაშა. მასპინძლებს, რომლებმაც გასულ სეზონში არგენტინის ორივე ჩემპიონატი მოიგეს (აპერტურა და კლაუსურა), დისკვალიფიცირებული მარტინ პალერმო აკლდათ. პალერმო „ველეს სარსფილდთან“ წინა ტურის მატჩში (1:3) გააძევეს. „ბოკას“ 15 ქულა მოუგროვდა და მეოთხე ადგილზეა. მეორე-მესამეზე კი 17-17 ქულიანი „ველეს სარსფილდი“ და „რივერ პლეიტი“ არიან. ბურთების უკეთესი სხვაობის გამო უპირატესობა „ველესისაა“.

REUTERS მონტევიდეოდან

ენცო ფრანჩესკოლი და „სან ლორენსოს“ მთავარი მწვრთნელი ოსკარ რუჯერი „პენიაროლ“ — „სან ლორენსოს“ ამხანაგური მატჩის წინ

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე პროფესიონალ, დამწყებ ჟურნალისტებს, აგრეთვე ჟურნალისტად მუშაობის მსურველებს.

გამოგვეხმაურეთ ტელეფონით (38-11-14, 39-48-29), ან გვესტუმრეთ რედაქციაში (ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული).

ფეხბურთის რუკასთან

გრენლანდიამ, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 55 ათას კაცს შეადგენს, უეფასა და ფიფაში გაწევრიანება გადაწყვიტა. დანიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელის, ზეკ პიონტეკის განცხადებით, რომელიც ახლა გრენლანდიის ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებს, უეფამ დამოუკიდებელი საფეხბურთო ერთეულად ჩამოყალიბების შანსი უნდა მისცეს. მაგრამ ამისთვის კუნძულზე ერთი ბალახის საფარიანი სტადიონი მაინც უნდა აიგოს. ქვეყნის ტერიტორიის 85 პროცენტი ყინულით არის დაფარული, ამიტომ არენა სავარაუდოდ დედაქალაქში — გოდთაბში აშენდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულებს ფიფა და უეფა გრენლანდიელთა თხოვნას. მსოფლიოს ჯუჯა სახელმწიფოები — სან მარინო, ანდორა, ფარერის კუნძულები, ლიხტენშტაინი უკვე კარგა ხანია, ამ ორგანიზაციების წევრები არიან. სულ კი ფიფას 203, ხოლო უეფას 51 წარმომადგენელი ჰყავს.

საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბებმა მატჩების სატელევიზიო ტრანსლირების წყალობით საკუთარი შემოსავლები წელიწადში 55 მილიონი ფრანკით გაზარდეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ცნობილმა ტელეკომპანია „კანალ პლუსმა“ და სატელიტურმა გიგანტმა „ტი-პი-ეს“-მა ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი დადეს ტრანსლაციის შესახებ. მთლიანობაში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია 1,8 მილიარდ ფრანკს მიიღებს, ხოლო 2003 წლისთვის შემოსავლის 2 მილიარდ ფრანკამდე გაზრდაა ნავარაუდევი. საპრიზო ადგილებზე გასულთ დამატებითი პრემიები გადაეცემათ, ჩემპიონს — 100 მილიონი ფრანკი, აქედან 45 მილიონი პრემიის სახით. წლეულს მაისში ჩემპიონ „ბორდოს“ 27 მილიონი ერგო, ამ თანხიდან 12 მილიონი პრემია იყო. ახალი კონტრაქტით „კანალ პლუსი“ მაყურებლის ერთიორად გაზრდას გეგმავს.

ავსტრიის ჩემპიონატის ახალწვეულმა „ბრეგენსმა“ ნორვეგიული „ბრანისაგან“ ნაკრების მცველი იან ოვე პედერსენი შეიძინა. ფეხბურთელი ნოემბრის დასაწყისში შეუერთდება ახალ გუნდს და კონტრაქტის თანახმად, 2001 წლამდე დაეხმარება კრიზისიდან თავის დაღწევაში.

პორტუგალიურმა ლისაბონის „სპორტინგმა“ მთავარი მწვრთნელი იტალიელი ჯუზეპე მატერაზი დაითხოვა. ამის მიზეზი ქვეყნის ჩემპიონატსა და უეფას თასზე გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობაა. მატერაზის სავარაუდო შემცვლელად პორტუგალიის ნაკრების ყოფილ თავკაცს ანტონიო ოლივეირას ასახელებდნენ, თუმცა გუშინ დროებით დამრიგებლად ამ გუნდის ყოფილი მოთამაშე აუგუსტო ინასიო დანიშნეს. „სპორტინგის“ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა 5 ნოემბერს გახდება ცნობილი.

ესპანური ბილბაოს „ატლეტიკის“ მწვრთნელ ლუის ფერნანდესს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან შეიძლება პრობლემები შეექმნას. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემპიონატის წინა ტურის მატჩში „მალიორკას“ წინააღმდეგ მან ზედმეტი ემოციების გამოვლენისთვის ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანიც დატოვა. ახლა ფედერაცია იმსჯელებს, თუ რა განაჩენი გამოუტანა ფერნანდესს.

ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრებისა და კლუბ „მელბურნ ნაითზის“ მეკარე ჯო დიდულიკამ ამსტერდამის „აიაქსთან“ გააფორმა კონტრაქტი. ჰოლანდიელებმა მასში 265 ათასი დოლარი გადაიხადეს. ზაფხულში დიდულიკა ინგლისის პირველი დივიზიონის „ჩარლტონში“ ისინჯებოდა, მაგრამ მოულოდნელად ამსტერდამული კლუბისგან მიიღო მიწვევა. თავიდან მას „აიაქსში“ ორი დღით დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ისე მოეწონათ, რომ ვადა ხუთ დღემდე გაუგრძელეს, შემდეგ კი კონტრაქტიც გაუფორმეს. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიაში ერთი ავსტრალიელი მეკარე უკვე თამაშობს — „როდას“ კარს ჟელკო კალაჩი იცავს.

უკრაინის სამართალდამცავები რუს კოლეგებს შეუერთდებიან და 9 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთსა და უკრაინას შორის წესრიგს დაიცავენ. უკრაინელი ქომაგები კი მოსკოვს „უკრხალინიცას“ მიერ ორგანიზებული საგანგებო მატარებლით ეწვევიან. ამასობაში უკრაინელ გულშემატკივართა კლუბის, „ნაციონალნიე ბრიგადის“ უფროსმა იგორ მაზურმა განაცხადა, რომ მათთან ერთად მოსკოვს ნაციონალისტური ორგანიზაციის, „უნა-უნსოს“ 100 მებრძოლიც გაემგზავრება. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ უკრაინელი ფეხბურთელები რუსებს მოუგებენ. ლაშქრობის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ისინი სტადიონზე ყველა შემთხვევაში გაიკვლევენ გზას. მაშინაც კი, თუ რუსი სამართალდამცავები ხელის შეშლას დაუპირებენ.

ბრაზილიელმა ბებეტომ თავის ახალ კლუბში, მექსიკურ „ნესაში“ ნავსი გატეხა და პირველი გოლი გაიტანა, თუმც მისი გუნდი „ტოლუკასთან“ 1:6 დამარცხდა. ახლა „ნესა“ მექსიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში ბოლო ადგილზეა. 8 თამაშიდან გუნდმა მხოლოდ ორი მოიგო, თუმცა, იმ წარმატებულ მატჩებში ბებეტოს არ უთამაშია.

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, მათ რუს გულშემატკივართა ჯგუფმა ოფიციალურად მიმართა, გადახედონ აგვისტოში მისკში ხუთი რუსი გულშემატკივრის დაპატიმრებას საქმეს. გასულ თვეს ბელარუსისა და რუსეთის ნაკრებებს შორის გამართულ შეხვედრის დროს რუსი ფანები ხულიგნობისთვის დააკავეს. იმ დღეს პოლიციამ 60 რუსი და ერთი ბელარუსი დაპატიმრა. უმრავლესობა მეორე დღესვე გაუშვეს. ამჟამად მინსკის საპატიმროში მხოლოდ ხუთი გულშემატკივარი იმყოფება.

ნიგერიის ნაკრების 24 წლის მცველი კინგსლი ობიეკუ შესაძლოა ინგლისურ „შეფილდ იუნაიტედში“ გადავიდეს. ობიეკუ, რომელიც 1996 წლის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელია, ერთ კვირას დაჰყოფს ინგლისში და შეეცდება, ადგილობრივ გუნდს და გულშემატკივარს ყოველმხრივ მოაწონოს თავი. „შეფილდში“ მას „არსენალში“ მოთამაშე ნიგერიელმა — ნვანკვო კანუმ გაუწია რეკომენდაცია.

სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგის კლუბ „ფრი სტეიტ სტარზის“ მწვრთნელი და წარსულში ზიმბაბვეს წლის საუკეთესო ფეხბურთელი — პიტერ მაიამა სამშაბათს უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა. 1975 წელს სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ახალგაზრდული თამაშების ფინალისტი და 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში მონაწილე 52 წლის მაიამა 15 წლის მანძილზე მწვრთნელად მუშაობდა და ბოლო ხანს ზიმბაბვეს ეროვნულ გუნდსაც თაგკაცობდა.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს

ჩემპიონთა ლიგა. III ტური

29.09	509	ლაციო (იტალია) — მარიბორი (სლოვენია)	1,05	8,0	14,0
		0:1	1,3	4,0	5,0
	510	ლევერკუზენი (გერმანია) — დინამო (უკრაინა)	1,7	3,0	4,7
	511	ბარსელონა (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი)	1,7	2,9	5,0
	512	აიკ (შვედეთი) — ფიორენტინა (იტალია)	5,0	3,2	1,6
	513	რუსენბორგი (ნორვეგია) — დორტმუნდი (გერმანია)	2,7	2,8	2,4
	514	ბოავიშტა (პორტუგალია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)	2,7	2,8	2,4
	515	კროაცია (ხორვატია) — შტურმი (ავსტრია)	1,3	4,0	7,5
		0:1	1,9	3,2	2,6
	516	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — მარსელი (საფრანგეთი)	1,4	3,5	7,0
		0:1	2,0	3,2	2,3

უეფას თასი. I ეტაპი. საპასუხო მატჩები

30.09	520	ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)	(25,0 - —)	3,6	2,9	1,9
	521	სერვეტი (შვეიცარია) — არისი (საბერძნეთი)	(1,2-3,5)	1,5	3,3	6,0
	522	პაოკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (საქართველო)			ანგარიში —	5,0
	523	ბრიონდბიუ (დანია) — ამიცა (პოლონეთი)	(1,7-1,7)	1,35	3,8	7,0
	524	იუვენტუსი (იტალია) — ომონია (კვიპროსი)	(— -100,0)	1,05	8,0	14,0
	525	კილმარნოკი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია)	(25,0- —)	3,0	2,9	2,2
	526	დუკლა (სლოვაკეთი) — აიაქსი (ჰოლანდია)	(50,0- —)	5,0	3,2	1,6
	527	გრასჰოპერი (შვეიცარია) — აკადემისკი (დანია)	(1,01-15,0)	1,7	3,0	4,7
	528	სპარტაკი (სლოვაკეთი) — გრაცერი (ავსტრია)	(10,0-1,02)	2,0	2,9	3,4
	529	ნანტი (საფრანგეთი) — იონიკოსი (საბერძნეთი)	(— -25,0)	1,2	5,0	9,0
	530	ვიტესი (ჰოლანდია) — ბეირა მარი (პორტუგალია)	(1,02-10,0)	1,4	3,5	7,0
	531	ბრიუგე (ბელგია) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)	(1,6-1,8)	1,2	5,0	9,0
	532	სელტა (ესპანეთი) — ლოზანა (შვეიცარია)	(1,2-3,5)	1,2	5,0	9,0
	533	ლიერსი (ბელგია) — ციურიხი (შვეიცარია)	(1,45-2,1)	1,4	3,5	7,0
	534	ოლიმპია (სლოვენია) — ანდერლეხტი (ბელგია)	(10,0-1,02)	3,2	2,9	2,1
	535	ზიმბრუ (მოლდოვა) — ტოტენჰემი (ინგლისი)	(25,0- —)	4,4	3,1	1,7
	536	ოსიეკი (ხორვატია) — ვესტ ჰემი (ინგლისი)	(25,0- —)	3,4	2,9	2,0
	537	ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — სელტიკი (შოტლანდია)	(5,0-1,1)	2,8	2,9	2,3
	538	კარპატი (უკრაინა) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)	(1,7-1,7)	2,4	2,8	2,7
	539	გიოტებორგი (შვედეთი) — ლეხი (პოლონეთი)	(1,02-10,0)	1,3	4,0	7,5
	540	ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიუნგბიუ (დანია)	(— -25,0)	1,25	4,4	8,0
	541	შახტარი (უკრაინა) — როდა (ჰოლანდია)	(3,5-1,2)	2,2	2,9	3,0
	542	ლევსკი (ბულგარეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია)	(1,5-2,0)	2,2	2,9	3,0
	543	აეკ (საბერძნეთი) — ტორპედო (საქართველო)			ანგარიში —	5,0
	544	მალიორკა (ესპანეთი) — სიგმა (ჩეხეთი)	(— -25,0)	1,15	5,6	10,0
	545	სლავია (ჩეხეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია)	(1,3-2,8)	1,6	3,0	5,6
	546	პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — გორიცა (სლოვენია)	(— -25,0)	1,1	6,0	12,0
	547	რაპიდი (ავსტრია) — ინტერი (სლოვაკეთი)	(1,25-3,1)	1,2	5,0	9,0
	548	ლეგია (პოლონეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი)	(1,35-2,5)	1,4	3,5	7,0
	549	სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) — მონაკო (საფრანგეთი)	(25,0- —)	3,0	2,9	2,2
	550	სეტუბალი (პორტუგალია) — რომა (იტალია)	(100,0- —)	2,8	2,9	2,3
	551	ნიუკასლი (ინგლისი) — ცსკა (ბულგარეთი)	(— -25,0)	1,15	5,6	10,0
	552	ვიძევი (პოლონეთი) — სკონტო (ლატვია)	(1,7-1,7)	1,8	3,0	4,0
	553	ბოლონია (იტალია) — ზენიტი (რუსეთი)	(— -50,0)	1,2	5,0	9,0
	554	ვერდერი (გერმანია) — ბოდიო გლიმტი (ნორვეგია)	(— -100,0)	1,15	5,6	10,0
	555	ფერენცვაროში (უნგრეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი)	(2,8-1,3)	1,9	2,9	3,6
	556	ლანსი (საფრანგეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)	(1,02-10,0)	1,3	4,0	7,5
	557	ფენერბაჰჩე (თურქეთი) — მტკ (უნგრეთი)	(1,1-5,0)	1,25	4,4	8,0
	558	კრივბასი (უკრაინა) — პარმა (იტალია)	(5,0-1,1)	5,0	2,9	1,7
	559	დინამო (რუმინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)	(1,4-2,3)	2,5	2,9	2,5
	560	სპორტინგი (პორტუგალია) — ვიკინგი (ნორვეგია)	(3,5-1,2)	1,2	5,0	9,0
	561	ლიონი (საფრანგეთი) — ჰიკ (ფინეთი)	(1,01-15,0)	1,15	5,6	10,0
	562	დეპორტივო (ესპანეთი) — სტაბეკი (ნორვეგია)	(1,15-4,0)	1,2	5,0	9,0
	563	ოლბორგი (დანია) — უდინეზე (იტალია)	(5,0-1,1)	3,4	2,9	2,0
	564	ლიდსი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია)	(— -25,0)	1,2	5,0	9,0

კალათბურთი. ევროლიგა. II ტური

29.09	801	პაოკ (საბერძნეთი) — შოლე (საფრანგეთი)	1,2	12,0	3,5
	802	ტიმსისტემი (იტალია) — ეფესი (თურქეთი)	1,1	12,0	5,0
30.09	803	ცსკა (რუსეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	1,35	12,0	2,5
	804	ალბა (გერმანია) — ოლიმპია (სლოვენია)	4,0	12,0	1,15
	805	რეალი (ესპანეთი) — ჟალგირისი (ლიტვა)	1,15	12,0	4,0
	806	პო ორტეზი (საფრანგეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი)	1,35	12,0	2,5
	807	ბარსელონა (ესპანეთი) — ბენეტონი (იტალია)	1,4	12,0	2,3
	808	თოფაში (თურქეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	4,0	12,0	1,15
	809	ციბონა (ხორვატია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)	1,7	12,0	1,7
	810	ვარეზე (იტალია) — ულქერი (თურქეთი)	1,25	12,0	3,1
	811	მაკაბი (ისრაელი) — პივოვარნა (სლოვენია)	1,15	12,0	4,0
	812	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)	1,15	12,0	4,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, - გამოიცნოს ტურაში (ერთ-ერთ) მული სპორტული შეჯიბრების შედეგი, - სპორტის - სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება) ... ნების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის ... მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

. თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სლოვენია

III ტური

კრაშკი ზიდარი — ტრიგლავი 70:74, სლოვანი — როგლა ატრასი 78:62, საგინსი — ოლიმპია 63:76, მარიბორი — ზაგორიე 83:93, კრკა — პივოვარნა 74:79, ლოკა კავა — ჰელიოსი 76:70

ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ამბავი საკითხავიც აღარაა — მან, ცხადია, მოიგო, და, ალბათ, ჩემპიონობასაც უპრობლემოდ შეინარჩუნებს. ეგ იყო, ამ ტურის მატჩი ცოტა უგულოდ დაიწყო და შესვენებამდე სამი წუთით ადრე მხოლოდ 30:27 უგებდა „საგინსკის“. აქ ოლიმპიელთა მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა გვარიანად შეახურა შეგირდები, რომლებმაც ტაიმი 43:30 დაასრულეს თავიანთ სასარგებლოდ. შემდეგ ყველაფერი უინტერესოდ და ლოგიკურად განვითარდა. თავად საგადინმა კი ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლიუბლიანურ კლუბთან.

„მარიბორში“ სლოვენიის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი მატიაჟ ტოვორნიკი თამაშობს, მაგრამ გუნდი მაინც ბოლო ადგილზეა. ტოვორნიკმა 48 ქულა ჩაუგდო „ზაგორიეს“ (სულ „მარიბორმა“ 83 ქულა გააკეთა), მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა. „ზაგორიემ“ ტაიმი ათი ქულით მოიგო, ხოლო მეორე ტაიმში ერთადერთხელ დაიახლოვა მეტოქე სამი ქულით (65:62). მომდევნო ტურში „მარიბორი“ ქართველების „სლოვანს“ ხვდება.

ტურის მთავარი მატჩი ნოვა მესტოში გაიმართა, სადაც „კრკამ“ ლაშკოს „პივოვარნა“ მიიღო. 38-ე წუთამდე მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ „პივოვარნამ“, „ვარეზესთან“ ევროლიგის მატჩისგან განსხვავებით, ბოლო წუთებში ჭკვიანურად ითამაშა და ერვინ დრაგშიჩის (20 ქულა, 5 სამქულიანი) სამქულიანით მოიგო კიდეც.

კრანის „ტრიგლავი“ მატჩის უმეტეს ნაწილს აგებდა „კრაშკი ზიდართან“, თანაც, 31-ე წუთზე ხუთი პერსონალურის გამო გაუვარდა ერთ-ერთი ლიდერი პეტრანოვიჩი (15 ქულა). მიუხედავად ამისა, „ტრიგლავმა“ შეძლო ძალების მოკრება და მოულოდნელად გაიმარჯვა.

„ჰელიოსიც“ უგებდა „ლოკა კავას“, პირველ რიგში რადო ტრიფუნოვიჩის (24 ქულა) შესანიშნავი თამაშის წყალობით. მერე ტრიფუნოვიჩის მეურვეობა იკისრა „ლოკა კავას“ დონჩიჩმა (13 ქულა) და შეაჩერა კიდეც. დონჩიჩმავე ჩააგდო მნიშვნელოვანი სამქულიანი, რომელმაც 71:68 დააწინაურა მისი გუნდი და, რომელიც, თურმე, გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ოლიმპია	3	3	0	226:176	6
პივოვარნა	3	3	0	255:198	6
კრკა	3	2	1	240:192	5
სლოვანი	3	2	1	213:195	5
საგინსკი	3	2	1	230:217	5
ზაგორიე	3	2	1	219:218	5
ტრიგლავი	3	2	1	217:220	5
ჰელიოსი	3	1	2	200:241	4
ლოკა კავა	3	1	2	189:256	4
კრაშკი ზიდარი	3	0	3	216:241	3
როგლა ატრასი	3	0	3	198:227	3
მარიბორი	3	0	3	215:277	3

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა

ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

ესპანეთი

V ტური

პამესა — რეალი 88:65, ბრეოგანი — ბარსელონა 90:66, ხიხონი — კახა სან ფერნანდო 75:84, ლეონი — ბადალონა 76:82, კასერესი — ხირონა 66:61, ესტუდიანტესი — კანარიასი 77:59, ტდკ — ფორუმი 79:63, ფუენლაბრადა — უნიკახა 61:67, კანტაბრია — ტაუ 79:94

ევროლიგაში და ქვეყნის ჩემპიონატში ერთდროული მონაწილეობა აშკარად ფიტავს გუნდებს. სხვაგვარად რას უნდა მივაწეროთ მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ საშინელი დამარცხებები? „რეალი“, მართალია 23-ქულიანი სხვაობით, მაგრამ მაინც ერთპიროვნულ ლიდერთან, ვალენსიის „პამესასთან“ დამარცხდა. „ბარსელონამ“ კი ვიღასთან წააგო? „ბრეოგანთან“, რომელსაც აქამდე მოგება არ ჰქონდა. თანაც, ერთბაშად 24 ქულით!

სეზარ სანმარტინმა 33 ქულა მოუტანა „ბრეოგანს“, რომელმაც ფარზე მთლად მოსპო „ბარსა“ — 38:23. ამასთანავე, ბრეოგანელებმა სულ ოთხჯერ დაკარგეს ბურთი, ბარსელონელებმა კი 18-ჯერ. „ბარსა“ აშკარად გადაღლილი იყო, მაგრამ რას იზამს, ფეხბურთელი თანამოძმეებისგან განსხვავებით, მას არ ჰყავს ორი თანაბარძალოვანი შემადგენლობა, ამიტომაც ორ ფრონტზე ბრძოლა ერთი და ივივე ხალხით მოუწევს. ამ მატჩში ცხვირი გაიტეხა „ბარსას“ იგნასიო როდრიგესმა და, შესაძლოა, ევროლიგის ხვალინდელი მატჩი „ბენეტონის“ წინააღმდეგ გამოტოვოს. სანმარტინი კი ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

„პამესამ“ „რეალის“ დამარცხებით აჩვენა, თუ რატომ ლიდერობს ჩემპიონატს. მის რიგებში შესანიშნავი იყო ნაჩო როდილია (21 ქულა, 6 პასი). ამერიკელმა ჰოფკინსმა (12 ქულა, 11 მოხსნა) არაერთხელ ჩაუჭრა ბურთი მეტოქეს, ხოლო ექსრეალელმა ამერიკელმა ტანოკა ბერდმა თავისიანებს 21 ქულა შეაწია. მატჩი კი „პამესასა“ ბოსნიელმა ნენად მარკოვიჩმა მოიგო: მან ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო, რომელთა შემდეგ ვალენსიელები 56:45 დაწინაურდნენ.

ევროლიგელების პრესტიჟი „კახა სან ფერნანდომ“ იხსნა, რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიგო, თუმცა დამარცხებისგან ერთ ნაბიჯში იდგა. პირველი ტაიმი „სან ფერნანდომ“ 45:31 მოიგო, შესვენების შემდეგ კი ბრწყინვალედ ათამაშდა „ხიხონის“ ცენტრი სკოლა (20 ქულა), რომელმაც მეორე ტაიმში 18 ქულა გააკეთა. „ხიხონი“ ექვსი ქულით დაწინაურდა და ბოლო წუთებზეც წინ იყო, მაგრამ ტერნერმა და ფერნანდესმა „სან ფერნანდო“ მაინც იხსნეს.

პამესა	5	5	0	410:356	10
ფორუმი	5	3	2	372:306	8
ტდკ	5	3	2	385:347	8
ტაუ	5	3	2	398:376	8
ხირონა	5	3	2	373:362	8
უნიკახა	5	3	2	337:328	8
კასერესი	5	3	2	377:369	8
ბარსელონა	5	3	2	360:353	8
ესტუდიანტესი	5	3	2	368:365	8
კანარიასი	5	3	2	371:386	8
სან ფერნანდო	5	2	3	356:347	7
ფუენლაბრადა	5	2	3	366:377	7
ბადალონა	5	2	3	384:396	7
რეალი	5	2	3	377:389	7
ხიხონი	5	2	3	336:349	7
ბრეოგანი	5	1	4	369:411	6
ლეონი	5	1	4	337:391	6
კანტაბრია	5	1	4	346:414	6

თურქეთი

II ტური

ოიაქი — ითუ 64:70, დარუშაფაკა — ტელეკომი 57:55, ქარშიაქა — ბეშიქთაში 72:49, ქომბასანი — ფენერბაჰჩე 74:76, მიდონოსე — გალათასარაი 80:88, ულქერი — ტროი 80:75, ეფესი — თოფაში 84:80

ქვეყნის ჩემპიონ „თოფაშს“ მძიმე განრიგი ერგო: პირველ ტურში ბურსაში უმასპინძლა სტამბოლის „ულქერს“, მეორეში კი თავად ესტუმრა სტამბოლს და „ეფესს“ დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ სამივე გუნდი ევროლიგაში ასპარეზობს.

ორიოდ დღის წინ „ეფესმა“ თავის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა — ევროლიგაში იგი „კახა სან ფერნანდოსთან“ განადგურდა. ის მარცხი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ხორვატი გამთამაშებლის დამირ მულაომეროვიჩის სუსტმა თამაშმა. ამჯერად მულაომეროვიჩი დიდებული იყო: 21 ქულა, 7 პასი და 3 ჩაჭრა. „ეფესის“ მაღლებს, ჰუსეინ ბეშოქსა (12 ქულა) და პრედრაგ დრობნიაკს (4 ქულა) უფრო ყურადღებით რომ ეთამაშათ, მულაომეროვიჩის შრომა უფრო დაფასდებოდა, ანუ მეტი შედეგიანი პასი დაუგროვდებოდა.

მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა, გამარჯვებულის გამოვლენას კი დამატებითი დრო დასჭირდა. მეორე ტაიმში „თოფაში“ რვა ქულით იგებდა. დამთავრებამდე 20 წამით ადრე ბურსელთა ამერიკელმა დევიდ რივერსმა (21 ქულა, 7 პასი, 7 მოხსნა) ორი საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში 69:67 გახადა. ძირითადი დროის ბოლო წამზე „ეფესის“ იბრაჰიმ ქუთლუაიმ (20 ქულა) ანგარიში გაათანაბრა, დამატებით დროში კი „ეფესს“ მეტი ჯანი შემორჩა.

ყოფილ ეფესელს, ამჟამად კი ანკარის „ტელეკომში“ მყოფ მურათ ეგლიაოღლუს ცუდი დროება უდგას. წინა ტურში მან ბოლო წამზე ორი საჯარიმო ააცილა და „ტელეკომი“ ერთი ქულით დამარცხდა „ეფესთან“. ამ ტურში, დამთავრებამდე 6 წამით ადრე, როცა „დარუშაფაკა“ — „ტელეკომის“ ანგარიში 55:55 იყო, ეგლიაოღლუმ (8 ქულა) ბურთი დაკარგა, მისი თანაგუნდელი ეუხეშა შონ გრინს (8 ქულა), რომელმაც ორი საჯარიმოს ჩაგდებით 57:55 მოაგებინა „დარუშაფაკას“. სანამ ეს ყველაფერი მოხდებოდა, „ტელეკომის“ სლოვენიელს გორან იაგოდნიკს (8 ქულა) მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ დამთავრებამდე 20 წამით ადრე ორი საჯარიმო ააცილა.

ქონიაში კი დიდი ბრძოლა გაიმართა. წინა სეზონში ლიგაში ძლივს დარჩენილმა „ქომბასანმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ფენერბაჰჩეს“, რომელმაც ბოლო წამებზეღა შეძლო გამარჯვების გამოგლეჯა. „ფენერს“ 7 ქულა შესძინა ზაზა ენდელმა (ენდელაძე).

„ულქერმა“ მატჩი უმწვრთნელოდ გამართა: წინა ტურში რესათ გიუნეი მსაჯებს ედავა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მიიღო და ამჯერად მხოლოდ ტრიბუნაზე ჯდომით დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამისა, ულქერელებმა არცთუ დიდი ანგარიშით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოუგეს „ტროის“.

ფენერბაჰჩე	2	2	0	160:125	4
ქარშიაქა	2	2	0	144:111	4
გალათასარაი	2	2	0	150:133	4
დარუშაფაკა	2	2	0	135:127	4
ეფესი	2	2	0	146:141	4
თოფაში	2	1	1	132:128	3
ულქერი	2	1	1	124:127	3
ითუ	2	1	1	132:136	3
ბეშიქთაში	2	1	1	143:150	3
ტელეკომი	2	0	0	116:119	2
ტროი	2	0	2	147:158	2
ქომბასანი	2	0	2	127:138	2
მიდონოსე	2	0	2	158:182	2
ოიაქი	2	0	2	115:154	2

საფრანგეთი

III ტური

სტრასბური — შოლე 74:65, დიჟონი — ბეზანსონი 100:77, შამპანი — პო ორტეზი 72:85, მონპელიე — ლე მანი 80:77, ნანსი — ანტიბი 70:54, პარი სენ ჟერმენი — ევრე 68:51, ლიმოჟი — ვილერბანი 62:60, გრაველინი — საონი 55:76

საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე ტური სამ დღეს გაიწელა. „საონმა“, „მონპელიემ“ და „ნანსიმ“ თავიანთი პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. პარასკევს „მონპელიემ“ გაუგო გემო გამარჯვებას, მან „ლე მანი“ დაამარცხა გაჭირვებით. შაბათს კი „ნანსიმ“ და „საონმა“ გაცილებით იოლად მოიგეს. საონელთა სტუმრად წარმატება ძირითადად ოსტროვსკინებო-ჟილას ტრიოს ბრწყინვალე თამაშის შედეგია. ამ სამეულმა ჯამში 43 ქულის გაკეთება მოახერხა.

მოიგო „პო ორტეზმაც“, რომლის შემადგენლობაშიც ყველაზე შედეგიანები უნგრელი გულიაში (19 ქულა), რიზაშე და კალაბრია (17-17 ქულა). ასევე უპრობლემოდ მოიპოვა ორი ქულა „დიჟონმაც“, რასაც იგი თავის გამთამაშებელ ჯეკსონს უნდა უმადლოდეს, ვინც პირველ ტაიმში 21 ქულა შესძინა თავისიანებს, მთლიანად მატჩში კი — 25.

პირველი მარცხი განიცადა „ევრემ“, რომელმაც დედაქალაქურ „პარი სენ ჟერმენთან“ ვერაფერი გააწყო და გათამაშების ცხრილის პირველი საფეხურის დატოვებამაც მოუწია.

ტურის ცენტრალური მატჩი კი კვირას გაიმართა ლიმოჟში. ერთმანეთს ორი წაუგებელი — „ლიმოჟი“ და „ვილერბანი“ დაუპირისპირდა. ყველა დაძაბულ და საინტერესო ბრძოლას ელოდა და კალათბურთელებმაც არ გაუცრუეს იმედები „პალე დე სპორში“ (ქართულად „სპორტის სასახლეში“) თავმოყრილ მაყურებელს, რომელიც თავისიანების უცილობელ გამარჯვებას ითხოვდა. თუმცა, „ვილერბანის“ წინააღმდეგ საკუთარ კედლებს ნამდვილად არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და ეს მატჩიც დასაწყისმაც ცხადყო. ლიმოჟელები თითქოს პარალიზებული იყვნენ და მალე 0:6-იც ჩამორჩნენ.

მაყურებელთა გასახარად ისინი მალე მოეგნენ გონს და მე-6 წუთისთვის 10:6 დაწინაურდნენ. ამის მერე, მთელი პირველი ტაიმი ქულა-ქულაში მიდიოდა, ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა ანგარიშში დიდი სხვაობით წინ გასვლა. შესვენების წინ კი ბონატოს წყალობით „ლიმოჟი“ წინ იყო — 34:32.

გასახდელებიდან დაბრუნების შემდეგ ლიდერობა კვლავ ბონატომ იტვირთა, რის შედეგადაც მასპინძლებმა ერთი ხანობა 10-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ ნაადრევად ჩათვალეს საქმე მოთავებულად და დაისაჯნენ კიდეც. სტუმრებს საკმარისი ძალები ჰქონდათ შერჩენილი და 34-ე წუთზე მაქსის ზუსტად ნასროლი საჯარიმოების შემდეგ ანგარიშიც გათანაბრდა — 50:50. წონასწორობა იყო ბოლო წუთზეც და საქმე დამატებითი დროისკენ მიდიოდა, მაგრამ ტომასმა გადამწყვეტი სროლა შეასრულა და... „ვილერბანმა“ პირველი მარცხი იწვნია, ჯერაც დაუმარცხებელი „ლიმოჟი“ კი ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

ლიმოჟი	3	3	0	218:196	6
ევრე	3	2	1	206:190	5
სტრასბური	3	2	1	215:200	5
პსჟ	3	2	1	207:194	5
ვილერბანი	3	2	1	203:192	5
დიჟონი	2	2	0	163:117	4
პო ორტეზი	2	2	0	159:137	4
საონი	3	1	2	211:205	4
ბეზანსონი	3	1	2	228:231	4
ლე მანი	3	1	2	197:203	4
შამპანი	3	1	2	204:213	4
მონპელიე	3	1	2	220:235	4
ნანსი	3	1	2	185:201	4
ანტიბი	3	1	2	181:211	4
გრაველინი	3	1	2	188:236	4
შოლე	3	0	3	196:220	3

საბერძნეთი

I ტური

ესპეროსი — პერისტერი 73:81, ატრაკლისი — არისი 81:69, მარუსი — დაფნი 66:67, სპორტინგი — ეგა 75:84, პაოკ — პანიონიოსი 80:62, პანათინაიკოსი — ნიარ ისტი 79:54, ირაკლიონი — ოლიმპიაკოსი 52:55

ევროპის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნებიდან საბერძნეთმა ყველაზე გვიან დაიწყო ჩემპიონატი. სეზონის გახსნა ერთი კვირით გადადო მიწისძვრამ, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა ათენი.

პირველ ტურში მოულოდნელობა არ მომხდარა. ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა. ოღონდ, თუკი „პანათინაიკოსმა“ და პაოკ-მა იოლად მოიგეს, ევროლიგის მესამე ბინადარმა „ოლიმპიაკოსმა“ გვარიანი ოფლი ღვარა კუნძულ კრეტაზე, სადაც „ირაკლიონს“ ძლივს მოუგო სამი ქულით. ამ მატჩის შემდეგ კუნძულელებმა თავიანთი რიგებიდან დაითხოვეს ამერიკელი ედ ობენონი, ვინც თავის დროზე ოკეანისგაღმური სტუდენტური კალათბურთის ვარსკვლავი იყო.

ყველაზე დაძაბული მატჩი ათენში გაიმართა, სადაც „მარუსიმ“ უმასპინძლა „დაფნის“. ბოლო წამზე მასპინძლები 64:67 აგებდნენ, როცა ჰენრი ტერნერმა სამქულიანი ესროლა. დაფნელები ამ მომენტში დაჯარიმდნენ, ტერნერმა სამი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. ამერიკელს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა, მაგრამ მან ბოლო სროლა აიცილა და „დაფნიმ“ გამარჯვება იზეიმა.

სალონიკში დერბი გაიმართა, რომელშიც „ირაკლისმა“ პირწმინდად აჯობა „არისს“. სხვათა შორის, ეს გუნდები ერთი კვირის წინ საბერძნეთის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც „ირაკლისმა“ იმარჯვა. ათენურ დერბიში კი („სპორტინგი“ — აეკ) გამარჯვება აეკ-ს დარჩა. მის რიგებში 2 ქულა გააკეთა სოხუმელმა ბერძენმა იაკოვოს ცაკალიდისმა. ესტონელმა მარტინ მიუურსეპმა, რომელსაც თავის დროზე ერთვნულ საკალათბურთო ასოციაციაში უთამაშია, აეკელებს 16 ქულა შემატა.

„ესპეროსის“ რიგებში ითამაშა ქართული კალათბურთის აღზრდილმა იგორ მორაიტისმა (მურაიტოვი), მან 6 ქულა გააკეთა. მას გვერდს უმშვენებდა ყოფილი პროფესიონალი როი ტარპლი (16 ქულა), მაგრამ ამათი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა „პერისტერის“ დასამარცხებლად. გამარჯვებულებს 23 ქულა შესძინა ამერიკელმა ფორდმა, ხოლო ესპანელმა ლასამ — 9.

პანათინაიკოსი	1	1	0	79:54	2
პაოკ	1	1	0	80:62	2
ირაკლისი	1	1	0	81:69	2
აეკ	1	1	0	84:75	2
პერისტერი	1	1	0	81:73	2
ოლიმპიაკოსი	1	1	0	55:52	2
დაფნი	1	1	0	67:66	2
მარუსი	1	0	1	66:67	1
ირაკლიონი	1	0	1	52:55	1
ესპეროსი	1	0	1	73:81	1
სპორტინგი	1	0	1	75:84	1
არისი	1	0	1	69:81	1
პანიონიოსი	1	0	1	62:80	1
ნიარ ისტი	1	0	1	54:79	1

იტალია

III ტური

ბენეტონი — ძუკეტი 58:54, კინდერი — აეროპორტი 77:48, ადეკო — ტრიესტი 83:73, პეპსი — იმოლა 88:94, რეჯანა — მიულერი 90:88, კანტუ — ვიოლა 79:67, სიენა — ფორტიტუდო 59:65, სკავოლინი — ვარეზე 74:71

ფორტიტუდო	3	3	0	224:197	6
ვარეზე	4	2	2	281:280	6
კინდერი	3	2	1	229:185	5
სიენა	3	2	1	213:195	5
ადეკო	3	2	1	221:203	5
იმოლა	3	2	1	231:223	5
კანტუ	3	2	1	222:215	5
მიულერი	4	1	3	281:281	5
რეჯანა	3	2	1	242:245	5
ბენეტონი	3	2	1	203:212	5
პეპსი	3	1	2	214:223	4
სკავოლინი	3	1	2	211:230	4
ძუკეტი	3	1	2	183:201	4
ვიოლა	3	1	2	211:233	4
აეროპორტი	3	1	2	193:215	4
ტრიესტი	3	0	3	208:229	3

თავისუფალი აგენტების ბაზარი

27 სექტემბერი

ფილადელფია 76: შეინარჩუნა უკანახაზელი დუგ ოვერტონი

დეტროიტ პისტონზი: აიყვანა „კლიპერსის“ ყოფილი უკანახაზელი პუ რიჩარდსონი

კომისარი შტერნი ძველი სამყაროს დაპყრობას აპირებს

დევიდ შტერნი

სარბიელის არქივიდან

როგორც ირკვევა, თურმე არამარტო ევროპაში და არამარტო ფეხბურთში დასაქმებული ხალხი ფიქრობს მუდმივმოქმედი ინტერნაციონალური საკლუბო ლიგის შექმნაზე. ეს აზრი ბებერ კონტინენტს გასცდა და ახლა ამერიკაში იკიდებს ფეხს. ამაზე კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კომისრის, დევიდ შტერნის განცხადებაც მეტყველებს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გააკეთა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციამ, რომელიც კანადის ქალაქ ვანკუვერში გაიმართა 25 სექტემბერს, მასმედიის დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ შეკრებილ ჟურნალისტებს შტერნი მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრა. მაგალითად, მან ისევ და ისევ შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ლიგის თამაშებში აშკარად იკლო შედეგიანობამ (ამ პრობლემის გადასაჭრელად უკვე გატარდა ზომები), აგრეთვე თავისი აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა კლუბ „გრიზლიზის“ ვანკუვერიდან ქალაქ სენტ ლუისში გადაბარგებაზე. ისიც თქვა, 57 წლის ასაკში თავს ჯერ კიდევ მხნედ ვგრძნობ და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის პოსტის დატოვებას ჯერ არ ვაპირებო. მან კიდევ სხვა წვრილმან თუ მსხვილმან საკითხის შესახებ გამოთქვა თავისი აზრი.

რა თქმა უნდა, დევიდ შტერნი პატივსაცემი კაცია და მისი ნათქვამი იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანი გახლდათ, პრესკონფერენცია სულ სხვა მიზანს ისახავდა. უმთავრესი ის იყო, რომ კომისარმა იქ შეკრებილ აუდიტორიას ლიგის მოსალოდნელი გაფართოებისა და ქვედა ლიგის შექმნის შესაძლებლობაზე აუწყა. თურმე ეს ჩაკეტილი ჩრდილოამერიკული (რადგან მასში კანადაცაა წარმოდგენილი ორი გუნდით) ლიგა, აპირებს, სულ რაღაც ხუთ წელიწადში შექმნას ქვედა, განვითარებადი ლიგა, რომელიც ტერიტორიულად ევროპაში იქნება. თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდა, ნბა-ს ამერიკის პროფესიულ ლიგათა შორის პირველს, ევროპაშიც ექნება წარმომადგენლობა თუმც ევროპაში განვითარებადი ინტერნაციონალური ლიგის ყოლა ნაციონალური ფეხბურთის ლიგასაც სურდა.

„ჩვენ შეგვწევს ძალა, ვიყოთ პიონერები და გვყავდეს ქვედა ლიგა ევროპაში — ამბობს შტერნი — რაც ჩვენს წინაშე გადაშლის საერთაშორისო თამაშების უზარმაზარ შესაძლებლობებს. ჩვენს ახალგაზრდა კალათბურთელებს საშუალება მიეცემათ, ევროპაში დახვეწონ ოსტატობა, რაც ძალიან წაგვადგება“. ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელებას, რა თქმა უნდა, თავისი სიძნელეები და პრობლემები ახლავს. ნბა-ს კომისრის აზრით, ერთობ შეუშლით ხელს ის, რომ ევროპაში სათანადო საკალათბურთო მეურნეობა არ არის. ევროპული დონე დიდად ჩამორჩება ამერიკულს, სადაც ყველაფერი ისეა აწყობილი, როგორც უზუსტეს მექანიზმში. „იქ დონე, რა თქმა უნდა, სულ სხვაა, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ამერიკა ევროპას ბევრით უსწრებს წინ. თუნდაც დარბაზები ავიღოთ. შესანიშნავი სათამაშო დარბაზებია შეფილდში, ბირმინგემში, ტურინში, კიოლნში და სხვა ქალაქებშიც, მაგრამ ისინი მაინც მოძველებულია და ამასთან არ აქვთ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენთან ათეულობით წლების განმავლობაში გროვდებოდა“ — ამბობს მსოფლიოში უძლიერესი საკალათბურთო ლიგის მამა.

აღსანიშნავია, რომ ნბა-ს გაფართოება თვითონ ამერიკაშიც შეიძლებოდა, აშშ-ში ხომ ნბა-ს გარდა კიდევ რამდენიმე საკალათბურთო ლიგაა, თუმც მათი დონე არათუ ნბა-ს, არამედ ევროპული ლიგების დონესაც ჩამორჩება და ამ და სხვა მიზეზთა გამო ეს ვარიანტი მიუღებელი აღმოჩნდა. შორსმჭვრეტელი შტერნი იდეებით სავსეა და კიდევ უფრო შორს იყურება. კერძოდ, თუ ევროპული ჩანაფიქრი წარმატებიც განხორციელდა, ამერიკელებს თვალი აზიისა და ლათინური ამერიკისკენაც უჭირავთ.

ირაკლი ფირაფვილი

ეოსწავლემ მასწავლებელი მრჩევლად დაინიშნა

„ჩიკაგო ბულზი“ ახალ გუნდს აყალიბებს. ეს არა მარტო მოთამაშეებს ეხებათ, არამედ მწვრთნელებსაც. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ „ბულზმა“ მრჩევლის სტატუსით აიყვანა სტუდენტური გუნდების განთქმული მწვრთნელი დონ ჰასკინსი.

69 წლის ჰასკინსი 38 წელიწადი მწვრთნელობდა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში. იგი ტექსას-ელ პასოს უნივერსიტეტის გუნდს ედგა სათავეში. კარიერის მანძილზე, მწვრთნელის რანგში 719 მატჩი მოიგო და 354 წააგო. 1966 წელს ტექსას-ელ პასო სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახადა. ფინალში კენტუკის უნივერსიტეტს სძლია, რომლის ყველა მოთამაშე თეთრკანიანი იყო. თავის მხრივ, ტექსას-ელ პასოს სასტარტო ხუთეულში მხოლოდ ზანგები თამაშობდნენ. ჰასკინსი შეყვანილია „საკალათბურთო დიდების დარბაზში“. მან შარშან დაანება თავი მწვრთნელობას.

დონ ჰასკინსის გუნდში მიყვანის ინიციატორი „ბულზის“ მთავარი მწვრთნელი ტიმ ფლოიდი გახლდათ. სხვათა შორის, ფლოიდის სამწვრთნელო კარიერა სწორედ ტექსას-ელ პასოში, ჰასკინსის თანაშემწეობით დაიწყო.

ამჟამად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დონ ჰასკინსის გამოზრდილი სამი კალათბურთელი თამაშობს: ანტონიო დევისი, გრეგ ფოსტერი და ტიმ ჰარდეევი, სამივეს ტექსას-ელ პასოს კედლებში უსწავლ-უთამაშია.

საუკუნეში ერთხელ!

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!

19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა



სარბიელი



СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

Ayety TV

რეფერენდუმი

საქართველოს XX საუკუნის სპორტსმენები

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

ქეთევან ლოსაბერიძე

მშვილდოსნობა

დაიბადა 1949 წლის 1 აგვისტოს ტყიბულში

სპორტის დამსახურებული ოსტატი

სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1973) და თასის მფლობელი (1972, 78)

ევროპის სამგზის ჩემპიონი (1972 — აბსოლუტური და გუნდური, 1978 — გუნდური)

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1973, 1981 — გუნდური)

მოსკოვის XXI ოლიმპიადის (1980) ჩემპიონი

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე მეოთხე იყო (1972)

სსრკ და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი

1. ყველაზე სასიხარულო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება იყო. მე ხომ ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარი უმაღლესი მწვერვალი დავიპყარი. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონობა და რეკორდებიც არანაკლებ სასიამოვნო მოგონებაა.

ყველაზე ცუდად კი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადა მაგონდება. ივი ჩემთვის პირველი იყო. მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერებში ვიყავი, მაგრამ ბოლოს მეოთხე ადგილზე გავედი. შეიძლება ახალგაზრდულმა ასაკმა და გამუცდელობამ დამაკარგვინა მედალი. მაშინ ჩემზე ამბობდნენ, ოქრო დაკარგა, ვერცხლი დათმო და ბრინჯაო გაიჩუქაო.

2. გამოსავალს ხალხის, სპორტსმენების და მთავრობის საერთო ძალისხმევა თუ გვაპოვნინებს. გულგატეხილი ვარ, რადგან ვხედავ, რომ ბევრი რამ სწორად არ კეთდება. ახლა ყველაფერი ფულით იზომება. ადრე ასე არ იყო. ღღეს სპორტსმენთა და მწვრთნელთა ენთუზიაზმი ხალხის საერთო დაინტერესებას და მთავრობის მხარდაჭერას უნდა შეერწყას. ამჟამად სახელმწიფოს უჭირს, ამიტომ მხოლოდ ცალკეულ სპორტსმენებს ეხმარება. მისთვის დღესდღეობით სხვა პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვთქვათ, ჯანმრთელობის პრობლემა. მართალია, სპორტი ამის წინაპირობაა, მაგრამ მთავარი ხომ მაინც სოციალური ხალხი ყოველდღიურმა ყოფითმა პრობლემებმა ისე ჩაითრია, რომ სპორტისადმი ინტერესი დაკარგა. თავად სპორტსმენებსა და მწვრთნელებსაც ჩაუცხრათ ენთუზიაზმი. მახსოვს, როცა ჩემი მწვრთნელი შალვა ჯაშიაშვილი საქართველოში მშვილდოსნობას ამკვიდრებდა, ბაზარში დავდიოდით ისრებზე დასამაგრებელი ინდაურის ფრთების საყიდლად, თავად ისრებს კი ავეჯის ქარხანაში ამზადებდა. ახლა ამას არავინ გააკეთებს. არადა, მასობრივი სპორტი აუცილებელია.

3. დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, მიხეილ მესხი
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე

მსოლოდ შენ ერთს...

ქარმუ თბილისის ქალთა ღია პირველობის დაწყებიდან მეოთხე დღეს მსპინძელთა გამარჯვებას დანატრებულ ქომაგებს სურვილი აუსრულდათ: ხუთი მარცხით შელახული ქართული ჩოგბურთის პრესტიჟი მაკა ჩახნაშვილმა დაიცვა.

17 წლის თბილისელის მეტოქე პირველ წრეში მეხუთედ განთესილი, კლასიფიკაციითაი 171-ე ავსტრიელი ივლინ ფაუტი იყო.

მატჩის დასაწყისში დაბალმა, მაგრამ ჯანიანმა ავსტრიელმა მძლავრი მოწოდებებისა და დარტყმების ისეთი კორანტელი დააყენა, მაკას ადგილზე ბევრი განწირულადაც ჩათვლიდა თავს (მაყურებელთა უმრავლესობის მსგავსად), მაგრამ აგრესიულად მოთამაშე ფაუტი ძალიან ბევრ შეცდომასაც უშვებდა და უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდა.

ჩვენებურის გამარჯვების რწმენა კი მაშინ გაჩნდა, როდესაც პირველი სეტის შუაში ფაუტმა ბარძაყის ტკივილზე დაიწყო ჩივილი და სამედიცინო დახმარება ითხოვა. მაგრამ, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მცირე შესვენების შემდეგ ავსტრიელი, რომელიც თავიდან 2:4-ს აგებდა, 5:4-ით დაწინაურდა.

მატჩის ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში ჩახნაშვილმა ნამდვილი მებრძოლი ხასიათი გამოავლინა, მეტოქეს თითოეულ გათამაშებაში ბოლომდე გაუძალიანდა, ზედიზედ ოთხი გეიმი, მასთან ერთად პირველი სეტიც მოიგო და მეორის დასაწყისში საკუთარი მოწოდებაც შეინარჩუნა — 7:5, 1:0.

ფაუტმა აქ კიდევ ერთხელ უხმო ექიმს. ამჯერად პაუზა გაცილებით დიდი გამოდგა და ბევრს ეგონა, ავსტრიელი თამაშის გაგრძელებასაც ვერ შეიძლებდა, თუმცა, ჩვენებურისდა სამწუხაროდ, წამლებმა სწრაფად იმოქმედეს და მეტოქემაც გაათკეცებული ენერგიით ფაუტის შეტევები ძირითადად ერთფეროვნად მიმდინარეობდა: თავისი საფირმო ფორჰენდით, ან ქალების ჩოგბურთისთვის საკმაოდ იშვიათი ცალხელა ბექჰენდით კროსებს გზავნიდა ჩახნაშვილისგან მარცხენა მხარეს და მის კორტიდან გაგდებას, მერე კი ბადესთან ან ჰავ-კორტიდან სწრაფი დარტყმით ქულის მითვლას ცდილობდა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ მაკამ მალე აუღო ალღო მეტოქის ტაქტიკას და ხშირად იცნობდა მომდევნო დარტყმის მიმართულებას, ავსტრიელის ძალამ აღმართი მაინც მოხნა: მეორე სეტის ბოლოს 4:4-ზე ჩახნაშვილმა მოწოდება დათმო და ამჯერად მძიმე სიტუაციიდან თავი ველარ დაიძვრინა — 4:6.

დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა გადამწყვეტი ხელის დასაწყისშიც, მაგრამ თამაშს თანდათან ქართველის უპირატესობა დაეტყო, ავსტრიელს კი დაღლა და ტკივილი. ანგარიშიც სწრაფად გაიზარდა — 3:1, 4:1.

ქანცგაცლილ ფაუტს ბოლოს მოღებაღა უნდოდა და მაკამაც აღარ დაახანა: მთელი მატჩის მანძილზე წარმატებით გამოყენებული შემოკლებულები ერთიმეორეს მიაყოლა, რომელთა უმეტესობის დაწევა ავსტრიელს არც უცდია. როგორც იქნა, გამარჯვებულთა გვარებში ქართულიც გაერია 7:5, 4:6, 6:1.

„მატჩის ბოლოს შემოკლებულებს საგანგებოდ ვურტყამდი, რადგან შეეატყვე რომ მეტოქეს სირბილი უჭირდა — გაგვანდო მაკამ — ძალიან მინდა, ამ ტურნირზე წარმატებით ვიასპარეზო, ამისთვის დიდ ხანს ვემზადებოდი, მაგრამ თითოეული მატჩი მძიმე იქნება და წინასწარ ვერაფერს დაგპირდებით".

სამწუხაროდ, ჩახნაშვილის კვალზე ცენტრალურ კორტზე გამოსულმა საქართველოს პირველმა ჩოგანმა, ნინო ლუარსაბიშვილმა მსგავსი წარმატების გამეორება ვერ შეძლო.

ნინოს მეტოქე პირველ წრეში ბულგარელი მარია გუშევა იყო. ორივე ჩოგბურთელის ფიზიკური მონაცემებიცა და თამაშის სტილიც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს — სწრაფები და ტანმაღლები უკანა ხაზიდან მძლავრი მოწოდებებითა და არცთუ რისკიანი დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ოღონდ ეგ იყო, ლუარსაბიშვილი ძალიან ბევრს სცოდავდა მოწოდებაზე, ხშირად კი უმტკივნეულო სიტუაციაშიც ვერ ახერხებდა ბურთის კორტში მოთავსებას. საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ნინომ თავს რამდენჯერმე შეუძახა, ხმამაღლადაც დაიჩივლა, მაგრამ საქმის გამოსწორებას საშველი არ დაადგა, მისი დარტყმები მაინც უკლებლივ აუტში მიფრინავდნენ და ბულგარელმაც სულ იოლად, საათზე ნაკლებში გაინადდა მერვედფინალის საგზური — 6:2, 6:1.

და ბოლოს, იმაზე, რომ რიგით მესამე თბილისური ტურნირის „გეოგრაფიული არეალის მეტისმეტად გაფართოების" შესახებ ინფორმაცია ისეთივე ზუსტი აღმოჩნდა, როგორც ინგლისური თარგმანი „ხვანჭკარას" სარეკლამო დაფაზე, ცენტრალური კორტის გვერდით: მავანმა ბრაზილიელმა, არგენტინელმა და კოლუმბიელმა დიაცებმა ჩვენთან ჩამოსვლაზე განაცხადი კი გააკეთეს, მაგრამ ბოლო წუთს ორგანიზატორებს უარი შემოუთვალეს. ასე რომ, შორეული ქვეყნიდან ერთადერთი სტუმარი შეგვრჩა — მესამედ განთესილი ავსტრალიელი ევი დომინიკოვიჩი.

პირველი წრე: ევი დომინიკოვიჩი (3, ავსტრალია) — მარია ბობოედოვა (რუსეთი) 6:1, 6:2; ევა დიბერმი (6, დანია) — ირინა კორნიენკო (რუსეთი) 6:2, 6:3; კატალინ მაროზი (4, უნგრეთი) — ანა ზაპოროტანოვა (უკრაინა) 6:2, 3:6, 7:6 (7:2); ველანი შნელი (ავსტრია) — კაროლინა იაგინიაკი (8, საფრანგეთი) 7:5, 6:4; მარია გულოვიზნინა (რუსეთი) — ნადეჟდა ოსტროვსკაია (უკრაინა) 6:4, 3:6, 6:1; ანტონეტა პანჯეროვა (ბულგარეთი) — გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) 6:4, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

ქართველებმა ერთიან ჭიუნაველი ამჯობინეს

ერევანში ეუნიორ ვაუთა და გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონატები გრძელდება. 9 ტურის შემდეგ ქართველ მოჭადრაკეებს ველარ ვხედავთ ლიდერთა შორის, თუმცა ორი ტურით ადრე სოფო ხუხაშვილი ბერძენ მარია კუვაკუსთან ერთად გოგონათა სატურნირო ცხრილის სათავეში იყო. კუვაკუმ მომდევნო ტურებშიც იძლავრა და ახლა 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს, ამასთან უახლოეს მდევარს მთელი ქულით უსწრებს. მდევარი კი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, 6 ქულის მქონე 6 მოჭადრაკიდან ორი ქართველი გახლავთ: ხუხაშვილი და რუსუდან გოლეთიანი. მე-9 ტურში მათი მონაწილეობით შემდგარი ქართული ლერბი ქულებით უმრწემესმა გოლეთიანმა მოიგო და თუმცა თვისტომის საჩემპიონო შანსებს გვარიანი ჩამოაკლო, სამაგიეროდ თავისი შანსები საკმაოდ რეალური გახადა. წაგების მიუხედავად, ხუხაშვილი ცუდ განწყობაზე არ უნდა იყოს. მან ხომ უკვე რვა ტურის შემდეგ საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესრულება მოასწრო.

ახლა ვაუებზე. აქ ტურმა ჩვენებურებს არცთუ დადებითი ემოციები მოჰყვარა. წაგეს ბახტაძემ და გაფრინდაშვილმა, მჭედლიშვილი კი ყიმს დასჯერდა. ამით ქართველებმა სატურნირო ცხრილში უფრო სიღრმეებისკენ გადინაცვლეს. მჭედლიშვილი და ბახტაძე 5,5 ქულიანებთან ერთად მე-12-17 ადგილებს იყოფენ, ხოლო გაფრინდაშვილს ნახევარი ქულით ნაკლები აქვს. ცხადია, ჯერ ვერავითარ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, რადგან ფინიშამდე მთელი 4 ტურია დარჩენილი და ყველაფერი წინაა. ზოგადად ვაუთა ჩემპიონატზე თუ ვილაპარაკებთ, მას უკვე კარგახანია ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს რუსი ალექსანდრ გალკინის სახით. გერმანელი ნოიმანი 7 ქულით მეორეა და გალკინს ნახევარი ქულით ჩამორჩება. შემდეგ მოდიან უზბეკი კახიმჯანოვი და სომეხი არონიანი (6,5-6,5 ქულა), ამათ კი ახლო და შორეულ მდევართა მრავალრიცხოვანი ჯგუფები მისდევენ.

დავით გულუა

პაგი, სადახლო და ფოთელთა ამბოხი

24-26 სექტემბერს თბილისის კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის იპოდრომზე გაიმართა საქართველოს ღია პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. ღია ამ ჩემპიონატს პირობითად ეთქმის, რადგან არათუ უცხოელები, საქართველოს რაიონებიც კი მხოლოდ ორად ორი ფოთელი მხედრით იყვნენ წარმოდგენილი.



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი სამხარაძემ და „პაგიმ" საქართველოს თასი მოიგეს

ჩემპიონატს სწორედ ფოთელთა ამბოხი უძღოდა წინ, რამაც სტარტი ერთი დღით შეაფერხა (23-ში უნდა დაწყებულიყო). წესით, ამ პირველობისთვის ფოთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ფედერაციამ საჭირო თანხა ვერ გამოძებნა. მაშინ სპონსორობა იპოდრომთან არსებული „ჟოკეი კლუბის" დირექციამ და ამერიკულმა კომპანია „სმაკერსმა" ითავეს. მათვე დააწესეს პრიზები და ფულადი ჯილდოები, რომლებიც გამარჯვებულებს „სმაკერსის" მომხიბლავმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰელენ-რომან პოგრუჟელსკიმ გადასცა. ფულის დაზოგვის მიზნით ფედერაციამ ტურნირის დედაქალაქში ჩატარება განიზრახა და ასეც მოიქცა, ამან კი ფოთელთა პროტესტი გამოიწვია, რამაც ჩემპიონატის ერთი კალენდარული დღე შეიწირა.

საბოლოოდ ჩემპიონატმა ფოთელები სანახევროდ მოისაკლისა: მათ პირველ დღეს იასპარეზეს, მერე კი — არა. თუმცა ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ისინი განაწყენდნენ. მათ თურმე შეჯიბრების გართულებულ პროგრამას აარიდეს თავი — ყოველ მომდევნო დღეს ბარიერების სიმაღლე მატულობდა. ასე რომ, სარბიელი თბილისის გუნდებს — „ჟოკეი-კლუბს", შინაგანი ჯარისა და განათლების საცხენოსნო სკოლის მხედრებს დაეთმოთ.

ფოთელთა განდგომამ ჩემპიონატი ნამდვილად აზარალა, რადგან პირველობის ერთ-ერთ მშვენებად იქცური ახალგაზრდა მხედრის — გიორგი კოდუასა და მისი „ვალერას" გამოსვლა იქცა. რომ არა მხედრის შეცდომა, „ვალერა" იმ დღეს გამარჯვებულ „პაგის" ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა. გიორგიმ მანძილი ზუსტად ვერ გათვალა და ცხენმაც პირველივე დაბრკოლებას უგანა. ეს კი სამქულიანი ჯარიმაა.

ჩემპიონატის პირველი დღე ორჭიდს — სამანეჟო სვლას და დაბრკოლებათა გადალახვას დაეთმო გახსნის პრიზზე. მხედრები მომდევნო დღეებშიც დაბრკოლებათა გადალახვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ოღონდ ჯერ სამონადირეო პარკური გაიმართა, ბოლოს კი საქართველოს თასი გათამაშდა.

სამანეჟო სვლაში როკვა-რონინს ყველაზე მეტად შინაგანი ჯარის მხედარ გოჩა ჯალაღანიასა და მის „პისტოლს" მოუწონებდით. მათზე ოდნავ უარესად გამოიყურებოდნენ რევაზ მიტიჩაშვილის „სტიხი" და ფოთელი დენის ციგანკოვის „რომა".

გახსნის პრიზზე პირველი საჩემპიონო განაცხადი გააკეთა განათლების სკოლის მხედარმა ირაკლი მარკოზაშვილმა. მისმა „ფოცხვერმა" მართლაც გაამართლა ეს სახელი და დისტანცია დათქმულ დროში, უშეცდომოდ დაფარა. თუმცა მომდევნო დღეებში თავი დიდად არაფრით გამოუჩენია. მას არც „ჟოკეი-კლუბის" „პაგი" ჩამორჩა, რომელმაც ასევე უშეცდომოდ განვლო დისტანცია. დანარჩენ ფავორიტებს კი ხელი მოეცარათ, მათ შორის, ჯალაღანიასაც. მისმა „პისტოლმა" სამჯერ უგანა ბარიერს და მსაჯებს მხედარი შეჯიბრებიდან მოახსნევინა. ამან კი მიტიჩაშვილის წისქვილზე დაასხა წყალი — მას ორჭიდში გამარჯვებაგაუადვილა. იმ დღეს სხვებიც შეგეცოდებოდათ. მანძილი ასევე უშეცდომოდ დაფარა კახაბერ კიკიანის „მილიმ", მაგრამ სავალდებულო დროს ერთი წამით (!) გადააცილა, რისთვისაც დაჯარიმდა. გელა აფციაური კი ცხენმა გაამბოხა. უშეცდომოდ განვლილი დისტანციის პირველი ნახევრის მერე მისი ყორანივით შავი ნიშა „კარფაგენი" რატომღაც გაჯიუტდა და ვიდრე მხედარი ასპარეზობას გააგრძელებინებდა, საკმაო დრო დააკარგვინა. მეორე დღეს კი აფიციაურს მის მოედანზე შესაყვანად საერთოდ დამხმარეები დასჭირდა. იყო რამდენიმე ცხენი, რომლებმაც მხოლოდ თითო ბარიერი ჩამოაგდეს.

გახსნის პრიზი კი საბოლოოდ მაინც „პაგიმ" მოიგო, რომელმაც დამატებით ცდაზე აჯობა „ფოცხვერს". მესამეზე „მილი" გავიდა. ორჭიდში პირველი მიტიჩაშვილი იყო, ვერცხლ-ბრინჯაო კი ფოთელებმა — ციგანკოვმა და კოდუამ წაიღეს ზღვისპირეთში. გუნდურ პირველობაში „ჟოკეი-კლუბმა" გაიმარჯვა, მათ ფოთელები მიჰყვნენ, მესამე ადგილი კი არ გათამაშდა.

სამონადირეო პარკური განსხვავებული წესით ტარდება. აქ მხედარი თავად ირჩევს მარშრუტს და ბარიერთა თანმიმდევრობის დაცვა სავალდებულო არაა. მთავარია, არ გამოტოვო. თანაბარი ქულების შემთხვევაში დამატებითი ცდა არ ინიშნება, გამარჯვებულს უკეთესი დრო ავლენს. ამ სახეობაში ყველას საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, გამოცდილმა როინ მარგიანმა და მისმა „სადახლომ" აჯობეს. მათ დისტანცია სარეკორდო დროში — 44 წამში დაფარეს. მეორეზე ისევ „პაგი" გავიდა. მისმა მხედარმა გიორგი სამხარაძემ უმოკლესი მარშრუტი კი შეადგინა, მაგრამ ძალიან დაკლაკნილი გამოუვიდა და ერთხელ ბარიერსაც შეეჯახა. მესამე ადგილი სამხარაძის თანაგუნდელმა გეგა მეტონიძემ დაიკავა.

ეს დღე ნამდვილად დანავსული იყო. თითქმის ყველა ლიდერს ხომ ხელი მოეცარა, კინაღამ ტრაგედიაც დატრიალდა. „პისტოლი" ერთ ბარიერს ისე შეასკდა, მოწყვეტით დაეცა. კიდევ კარგი, მხედარი რამდენიმე მეტრით წინ გაისროლა და ქვეშ არ მოიყოლა! მერე ცხენიდან ჩამოვარდნილი გელაშვილი ისე მოხდენილად დაახტა ბარიერს, გეგონებოდათ, საგანგებოდ ვარჯიშობდა ამ აკრობატულ ნახტომზეო.

საქართველოს თასზე გამარჯვებული ორი წრის ჯამში დაგროვილი ქულებით ვლინდება. „პაგიმ" ორივე წრე უშეცდომოდ გაიარა, „სადახლომ" კი მხოლოდ ერთხელ დაეღალატა მხედარი. მესამეზე ისევ კიკიანი გავიდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში „ჟოკეი-კლუბმა" გაიმარჯვა. მომდევნო სპრინზი ადგილები შინაგანი ჯარისა და განათლების სკოლის გუნდებმა გაინაწილეს. ფოთი ბოლო ადგილზე დარჩა.

ირაკლი თავაძე

დიდი რაგბის შემოდგომა

რამდენიმე დღეც და მორაგბეთა მსოფლიოს თასი დაიწყება, პლანეტის ოცი უძლიერესი გუნდი ერთი თვის მანძილზე გაეჯიბრება ერთმანეთს. ტურნირის ფავორიტებად სამხრეთელი ბობოლები — ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა ითვლებიან. ევროპელთაგან წარმატების კარგი შანსი ინგლისსა და უელსს აქვთ. თუმცა არც შოტლანდიისა და საფრანგეთის ნაადრევად ჩამოწერა იქნება. დანარჩენებისთვის ჩემპიონობაზე კი არა ოთხეულზე ფიქრიც წარმოუდგენელია.

დღეს ვიწყებთ მსოფლიოს თასის მონაწილეების წარდგენას. გაგაცნობთ A და B ჯგუფის გუნდებს. ხვალ და ზეგ კი დანარჩენებზეც მოგითხრობთ.

A ჯგუფის კალენდარი

შოტლანდია

2 ოქტომბერი	ესპანეთი — ურუგვაი	გალაშილსი
3 ოქტომბერი	შოტლანდია — სამხრეთ აფრიკა	მარიფილდი
8 ოქტომბერი	შოტლანდია — ურუგვაი	მარიფილდი
10 ოქტომბერი	სამხრეთ აფრიკა — ესპანეთი	ვარიფილდი
15 ოქტომბერი	სამხრეთ აფრიკა — ურუგვაი	[illegible]
16 ოქტომბერი	შოტლანდია — ესპანეთი	მარიფილდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა

ტერიტორია: 1 221 037 კვ/კმ
მოსახლეობა: 43 500 000
დედაქალაქი: პრეტორია
ეროვნული
დღესასწაული: 24 აპრილი
ფულის ერთეული: რანდი
წინა მსოფლიოს თასის გათამაშებები
1987, 1991: არ მონაწილეობდა
1995: 1 ადგილი

მსოფლიოს თასის მფლობელის ტიტულის დაცვა ძალიან გაუჭირდება. მთავარი ფავორიტების როლი სამხრეთაფრიკელებმა ახალზელანდიელებს გადაულოცეს და თვითონ ავსტრალიელებთან ერთად „მეორე რიგის ფავორიტებად" ითვლებიან. „ქურციკებს" წლეულს უკვე მეორე ტიტულის დაკარგვა ემუქრებათ, ზაფხულში მათ სამი ერის პირველობაზე ვერ ივარგეს და ჩემპიონობა ახალ ზელანდიას „დაუთმეს".

აფრიკელთა მთავარ მწვრთნელ ნიკ მალეტს, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, შეიძლება თმები ნაადრევად გაუთეთრდეს (ისე, გაცვენას კი სჯობს). მის გუნდს პირველად ფეხი სწორედ უელსში დაუცდა მასპინძლებთან. „მილენიუმზე" დამარცხებას წაგებების მთელი სერია მოჰყვა, რაც საკმაოდ მოულოდნელი იყო.

სამი ერის პირველობაზე სამხრეთ აფრიკას ორჯერ მწარედ მოუგო „ოლ ბლექსმა". ავსტრალიის შინ დაჯაბვნამ ცოტათი შემატა საკუთარი ძალის რწმენა „ქურციკებს", მაგრამ ეს საკმარისი არაა. თანაც აფრიკელთა უკანა ხაზს ბევრი ძლიერი მორაგბე გამოაკლდა ტრავმების გამო. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამხრეთ აფრიკა მაინც ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს და მინიმუმ ნახევარფინალსაც მიაღწევს. ნახევარფინალებში კი ყველაფერია მოსალოდნელი, თანაც ტრავმირებულებიც მომჯობინდებიან...

1995 წელი. „ქურციკთა" კაპიტანს ფრანსუა პინარს მსოფლიოს თასს სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა გადასცემს

„ქურციკების" შესაძლებლობები პირველივე მატჩში გამოჩნდება, ხუთი ერის პირველობის გამარჯვებულ შოტლანდიასთან.

მწვრთნელი: ნიკ მალეტი

წინა ხაზი

მარკ ენდრიუსი, ნაკა დროტეკი, ოს დიურანდტი, იაპან ერასმუსი, ედრიან კარბი, რუბენ კრიუგერი, ოლი ლერუ, ენტონ ლეონარდი, კრინუ ოტო, კრის როსოუ, ბობ სვინსტედი, ალბერტ ვანდენბერგი, ფრიც ვან ჰეერდენი, ანდრე ვენტერი, კობუს ვიზაჟი, ანდრე ვოსი.

უკანა ხაზი

ჯენი დე ბიირი, რობი ფლეკი, ჰენრი ჰონიბოლი, უეინ ჯულისი, დეონ კეიზერი, კაია მალოტანა, ჰერსივალ მონტგომერი, პიტერ მიულერი, ბრეიტონ ჰოლსი, პიტერ როსოუ, ვერნერ სვუნეპოლი, სტეფან ტერბლანში, ჯუსტ ვანდერვერტჰოიზენი (კაპ), ბრენდან ვენტერი.

ესპანეთი

ტერიტორია: 504 580 კვ/კმ
მოსახლეობა: 39 100 000
დედაქალაქი: მადრიდი
ეროვნული
დღესასწაული: 24 ივნისი
ფულის ერთეული: პესეტა
მონაწილეობს პირველად

შეუძლია კი ესპანეთს მსოფლიოს თასზე რაიმე წარმატებაზე იოცნებოს? რა თქმა უნდა, არა. ერთადერთი, რასაც პირინეელებმა შეიძლება მიაღწიონ, მათზე უფრო ჩაჩანაკი ურუგვაის დამარცხებაა. ასე რომ, ესპანელები, ისევე როგორც ბევრი სხვა, მონაწილეობენ, რათა ისწავლონ. ისე, მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა უკვე წარმატებაა.

ბოლო ორი წელია, ესპანეთის ნაკრები ევროპის კონფედერაციის თასზე გამოდის, მაგრამ უფრო ხშირად მარცხდება. აქედან დასკვნის გაკეთებაც იოლია — ესპანეთი დაახლოებით საფრანგეთის „ელიტ 2"-ის დონის გუნდია. თუმცა ამ ტურნირისთვის იქაური რაგბის მამები მიდგნენ-მოდგნენ და სამი ფრანგის ნატურალიზაცია გაახერხეს. ხოსე დიასი, რაფაელ ბასტიდი და სებასტიან ლუბსანსი საკმაოდ კარგი ძალაა, მაგრამ ესპანეთის მთელი სისუსტეების გადაწონვა ამ სამი კაცით ნამდვილად შეუძლებელია. ისინი ხომ უბრალოდ კარგი ფრანგი მორაგბეები არიან და არა მსოფლიოს ვარსკვლავები.

ერთი სიტყვით, ჯგუფიდან გასვლა ესპანეთისთვის ქიმერაა, აი, ურუგვაისთან ამასწინანდელი მარცხისთვის (3:20) რევანშის ასაღებად კი ის ყველაფერს იღონებს.

მწვრთნელი: ალფონსო ფეიხოი

წინა ხაზი

ოსკარ ასტარლოა, ხორდი კამპსი, ფერნანდო დელაკალე, ხოსე დიასი, აუგუსტინ მალეტი, ალბერტო მალო (კაპ), ლუის ხავიერ მარტინესი, ალფონსო მატა, კარლოს სოუტო, სერხიო სოუტო, ვიქტორ ტორესი, სტივ ტუინო, ხოსე მიგელ ვილოუ, ხოსე იგნასიო, ხოსე საპატერო, დიეგო ჩარზოსა.

უკანა ხაზი

ხაიმე ალონსო, რაფაელ ბასტიდი, ფერნანდო დიესი, ალვარ ენკისო, აიტორ ეჩეგარია, მიგელ ანხელ ფრეჩილი, არაც გალასტეგი, ხოსე იგნასიო ინჩაუსტი, ანდრეი კოვალენკო, სებასტიან ლუბსანსი, ფრანციკო პუერტასი, ორიულ რიპოლი, ალბერტო სოსიასი, ანტონიო სოსიასი, ფერარ ველასკო.

შოტლანდია

ტერიტორია: 78 783 კვ/კმ
მოსახლეობა: 5 100 000
დედაქალაქი: ედინბურგი
ფულის ერთეული: შოტლანდიური ფუნტი
წინა გათამაშებები: 1987 - 1/4 ფინალი
1991 - მე-4 ადგილი
1995 - 1/4 ფინალი

წლეულს, სეზონის დასაწყისში ხუთი ერის პირველობის მომგებმა შოტლანდიამ თავისი მაშინდელი სიძლიერე სადღაც დაკარგა და დაიბრუნებს თუ არა მას მსოფლიოს თასისთვის, ძნელი სათქმელია.

საშინაო სარბიელ „მარიფილდზე" არგენტინასთან დამარცხება სკოტთა სისუსტის პირველი ნიშანი იყო. ისე, მანამდე მათ სამხრეთ აფრიკაში გამართული ტურნეს დროსაც გვარიანად შეირცხვინეს თავი, მაგრამ „ქურციკების" სამშობლოში წაგება მაინც მეტ-ნაკლებად საპატიოა. რუმინეთის განადგურებამ ვერც ერთი ეს მარცხი ვერ დაავიწყა შოტლანდიელ ქომაგებს.

მიუხედავად ყველაფრისა, სკოტებმა ყოველ მატჩში თავდადებით თუ ითამაშეს, ანგარიშგასაწევი ძალა იქნებიან ამა ქვეყნის ძლიერთათვის. ურუგვაისთან და ესპანეთთან შოტლანდიელებს შეიძლება ითქვას, იოლი გასეირნება ელით, მაგრამ სამხრეთ აფრიკასთან მატჩი უმძიმესი იქნება. და თუ მათ ისევე იბურთავეს, როგორც თებერვალ-მარტ-აპრილში, შეიძლება ჯგუფის პირველ ადგილსაც გამოჰკრან ხელი.

ამ „ხელის გამოკვრით" კი მეოთხედფინალში ისეთ მრისხანე მეტოქეს აიცილებენ, როგორიც ახალი ზელანდიაა. იგი კი ნაღდად არ დაუთმობს შოტლანდიას ნახევარფინალის საგზურს.

მწვრთნელი: იან მაკგიჩენი

წინა ხაზი

გორდონ ბალოკი, პოლ ბარნელი, ჯორჯ გრეჰემი, სტიუარტ გრაინსი, დევიდ ჰილტონი, მარტინ ლესლი, კემი მაზერი, კამერონ მიურეი, სკოტ მიურეი, ბაჯ ჰაუნტნი, ენდრიუ რიდი, სტიუარტ რეიდი, რობერტ რასელი, ტომ სმიტი, პიტერ უილტონი, დოდი უერი.

უკანა ხაზი

გარი არმსტრონგი (კაპ), ალან ფეარლი, დანკან ჰოჯი, ჯონ ლესლი, ვენი ლოგანი, შონ ლონგსტაფი, ჯემი მეიერი, ჯეიმს მაკლარენი, გლენ მეტკალფი, კამერონ მიურეი, კრის ჰეტურსონი, ბრაინ რედპათი, ალან ტეიტი, გრეგ ტაუნსენდი.

გარი არმსტრონგი (მარჯვნივ) შოტლანდიელებს მსოფლიოს თასზეც უკაპიტნებს

ურუგვაი



ტერიტორია: 176 210 კვ/კმ
მოსახლეობა: 3 200 000
დედაქალაქი: მონტევიდეო
ეროვნული
დღესასწაული: 25 აგვისტო
ფულის ერთეული: ურუგვაული პესო
მონაწილეობს პირველად

სპორტში ხშირად გაიგონებთ: „უკანასკნელი შერჩეული", „თითქმის არაფრის იმედი". ეს გამოთქმა განსაკუთრებით რაგბის მიესადაგება, სადაც უძლიერესი გუნდებისა და უფრო სუსტების (მათ შორისაა ურუგვაიც) დონე მკვეთრად განსხვავდება. შესაბამისად, ძალიან იშვიათია, უფრო სწორად, თითქმის არ ხდება შემთხვევა, ურუგვაისნაირი ნაკრები, მაგალითად, სამხრეთ აფრიკას უგებდეს.

ურუგვაიმ ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება რეპეშაჟში მაროკოს ძლევით მოიპოვა. გუნდის ლიდერი ვეტერანი დიეგო ორმეჩაა, ვინაც უკვე 39 წლისა მოყრილა. არგენტინელთა მეზობლები „პუმებს" კი ეჯიბრებიან ხოლმე ამხანაგურად, მაგრამ მათ სიძლიერემდეც კი ჯერჯერობით ბევრი უკლიათ.

მსოფლიოს თასზე მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მარცხისთვისაა განწირული, ურუგვაისთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი დონის ტურნირი ნაკრების მოთამაშეებს გამოცდილებას შესძენს, თანაც შეიძლება ისინი ევროპელ სელექციონერებსაც მოეწონოთ და ბებერ კონტინენტზე თამაშის საშუალებაც მიეცეთ. ეს კი ურუგვაის რაგბის განვითარებას დიდად წაადგება.

მწვრთნელი: დანიელ ჰერერა

წინა ხაზი

ხუან ალზუეტა, ხუან კარლოს ბადო, ედუარდო ბერუტი, ნიკოლას ბრინიონი, ფრანსისკო დე ლოსსანტოსი, ლეონარდო დე ოლივეირა, ნიკოლა გრილი, გილერმო ლაფიტი, მარიო ლამი, დიეგო ლამელასი, პაბლო ლებუანი, დიეგო ორმეჩა (კაპ), მარტინ პანიცა, აგუსტინ პონსელეონი, როდრიგო სანჩესი, გილერმო სტორარი.

უკანა ხაზი

დიეგო აგირე, სებასტიან აგირე, ალფონსო კარდოსო, მარტინ ჩერვინო, პაბლო კოსტაბილე, ფერნანდო სოსა დასი, მარტინ ფერესი, ხუან მატინ მარკესი, ხუან მენჩაკა, მარტინ მენდარო, ფერნანდო პოლიე, ფედერიკო შარა, პედრო ვესინო, ხოსე ვიანა.

B ჯგუფი

ახალი ზელანდია

ტერიტორია:	270 550 კვ/კმ
მოსახლეობა:	3 650 000
დედაქალაქი:	ველინგტონი
ერთვნული დღესასწაული:	6 თებერვალი
ფულის ერთეული:	ახალზელანდიური დოლარი
წინა გათამაშებები:	1987 ჩემპიონი 1991 მე-3 ადგილი 1995 მე-2 ადგილი

ფავორიტი. აი, ახალი ზელანდიის ნარდგენისთვის საკმარისი ერთადერთი სიტყვა. შარშან სამი ერის პირველობის უსუსურად ჩამტარებელ (ოთხივე მატჩი წააგო) გუნდი წლეულს მთლიანად გარდაიქმნა და მისი ძლევა თითქმის შეუძლებელია.

წინა ხაზის სიძლიერეს დამატებული უკანახაზელების მოქმედების სისწრაფე და განსაკუთრებით მათი უბადლო ტექნიკა, აი, ახალზელანიელების სიდიადის მთავარი საიდუმლო. მეტოქეს ხიფათი ელის ფლანგებიდან, ცენტრიდან და... სათადარიგოთა სკამიდანაც კი.

ამ მშვენიერი გუნდის საუკეთესო მოთამაშე კი, ალბათ, მერთენსია. „ოლ ბლექსის“ დამრტყმელს ყოველ წამს და ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია შედეგიანი დარტყმის შესრულება. ხელითაც ხომ ჩინებულად ბურთაობს.

სუსტი მხარეები? ძალიან ძნელი საპოვნელია, მაგრამ უეჭველია, რომ არსებობენ, რადგან სამი ერის ბოლო ტურში ავსტრალიამ იოლად მოუგო „შავებს“. თუმცა, იმ დღეს ზელანდიელებს ტურნირის მოგება ისედაც განაღდებული ჰქონდათ და სტიმული აკლდათ, ავსტრალიელებისგან განსხვავებით.



ჯონა ლომუ

ვინ დაამარცხებს „ოლ ბლექსს“? შეიძლება ეს ინგლისმა შეძლოს ჯგუფურ ეტაპზე. ასე რომ მოხდეს, ახალ ზელანდია სატურნირო ბადეში ავსტრალიისა და სამხერთ აფრიკის მხარეს მოხვდება და ფინალში გასვლაც ერთობ გაუჭირდება. იტალიისგან და ტონგასგან მისი ძლევა კი წარმოუდგენელია.

მწვრთნელი: ჯონ ჰარტი

წინა ხაზი

ენდრიუ ბლაუერსი, რობინ ბრუკი, კრეიგ დაული, გრეგ ფიკი,მარკ ჰუშეტი, კარლ ჰოფტი, იან ჯონსი, ჯოშ კრონფერდი, ნორმ მაქსველი, კის მიუსი, დილან მიკა, ენტონ ოლივერი, ტეინ რენდელი (კაპ), სკოტ რობერტსონი, რუბენ ტორნი, როის უილისი

უკანა ხაზი

პიტა ალატინი, ტონი ბრაუნი, კრისტიან ვალენი, რის დუგანი, დერილ გიბსონი, ალამ ივერმია, ბაირონ კელეჰერი, ჯონა ლომუ, ჯასტინ მარშალი, ენდრიუ მერთენსი, გლენ ოზბორნი, კარლოს სპენსერი, ტანა უმაგა, ჯეფ უილსონი.

იტალია

ტერიტორია:	301 263 კვ/კმ.
მოსახლეობა:	56 557 000
დედაქალაქი:	რომი
ერთვნული დღესასწაული:	2 ივნისი
ფულის ერთეული:	ლირა
წინა გათამაშებები:	1997 ჯგუფიდან ვერ გავიდა 1991 ჯგუფიდან ვერ გავიდა 1995 ჯგუფიდან ვერ გავიდა

ისევე როგორც მსოფლიოს თასის წინა სამ გათამაშებაში, იტალიას, ალბათ, არც ამჯერად უწერია ჯგუფური ბარიერის დაძლევა: „სიკვდილის ჯგუფიდან“ ცოცხლად გამოღწევა აპენინელებს ძალიან გაუჭირდებათ. გაუჭირდებათ იმიტომ, რომ მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავთ და თანაც შინაური პრობლემებიც უხვად დაუგროვდათ.

თავიდან მეტოქეებზე. ახალი ზელანდიისა და ინგლისის შესაძლებლობები ყველას კარგად მოეხსენება. რაც შეეხება ტონგას, მისი ძალა გაზაფხულზე ბორჯღალოსნების გარდა ფრანგმა მამლებმაც იწვნიეს და სამხრეთ ნახევარსფეროში გამართული ტურნეს დროს დამარცხდნენ კიდეც.

შინააშლილობა კი, ალბათ, [illegible] ლემაა. სამხრეთ აფრიკაში [illegible] ტურნესას გამანადგურებელი [illegible] ბებმა იტალიური რაგბ[illegible] სი აღზევების მთავარი შემოქმედი ჯორჯ კოსტესი ყველას ეჩხუბა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიც დატოვა. მის შემცვლელ მაშიოლეტისაც ბევრი აბსურდული საქმის გადაწვეტა დასჭირდა და მანაც ბევრი გადაიკიდა.

„საქმეების გარჩევას“ ის მოჰყვა, რომ რამოდენიმე მორაგბემ საერთოდ უარი თქვა ნაკრებში თამაშზე და იტალიაც მსოფლიოს თასზე ლამის 27 კაცით გაემგზავრა. თუმცა საბოლოოდ სრული შემადგენლობის მოკრება მაინც შესაძლებელი გახდა, მაგრამ მოსამზადებელი პერიოდი ფაქტობრივად ჩავარდა. ასე რომ, იტალიელებისთვის თითქმის შეუძლებელი იქნება მსოფლიოს თასის წინა სამ გათამაშებაში ნაჩვენებ შედეგზე უკეთესის მიღწევა.

მწვრთნელი: მასიმო მაშოლეტი

წინა ხაზი

ორაციო არანსიო, მაურო ბერგამაში, კარლო კაიონე, ანდრეა კასტელანე, კარლო ჩეკინატო, უოლტერ კრისტოფოლეტო, მარკ ჯაფერი, მასიმო ჯოვანელი (კაპ), ალესანდრო მოსარდი, ანდრეა მორეტი, სტეფანო საგოტი, ლორან ტრავინი, ფრანჩესკო პუჩარელი, ფრანკო პროფერციკურტი, ანდრეა ჩიკერო, ალესანდრო მორეონ.

უკანა ხაზი

სანდრო ჩეპოლინო, დიეგო დომინგესი, ლუკა მარტინი, ფრანჩესკო მაკარონი, ჯანპიერო მაცი, ნიკოლა მაკუკატო, მეთიუ პინი, ფაბიო როსელი, კრისტიან სტოიკა, ალესანდრო ტრონკონი, პაოლო კავარი, ნიკოლა ცისტი, ანდრეა სავანაკა.

ინგლისი

ტერიტორია:	131 760 კვ/კმ
მოსახლეობა:	47 450 000
დედაქალაქი:	ლონდონი
ერთვნული დღესასწაული:	21 აპრილი
ფულის ერთეული:	ფუნტი
წინა გათამაშებები:	1987 წელი მეოთხედფინალი 1991 მე-2 ადგილი 1995 მე-4 ადგილი

ინგლისელებს ერთი მშვენიერი ჩვევა აქვთ — დიდ ტურნირებს ყოველთვის კარგ ფორმაში ხვდებიან და მაღალ დონეზეც ატარებენ. ასე იქნება ამჯერადაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ იოლი ჯგუფი ნამდვილად არ ერგოთ. ახალ ზელანდიაზე, რომ არაფერი ვთქვათ, არც ხუთ ერს დამატებული მეექვსე — იტალია და არც ქართველთათვის კარგად ნაცნობი ტონგა არიან ჯაბანნი.

თუმცა ინგლისს მეოთხედფინალში გასვლა, წესით არ უნდა გაუჭირდეს. „დალალიოს საქმის“ დამთავრების შემდეგ კუნძულელების პრობლემებიც დასრულდა. ყოფილი კაპიტანი კვლავ ნაკრებშია და სიტუაციაც დარეგულირდა. ინგლისელები ზედმეტი ხმაურის გარეშე ემზადებოდნენ მსოფლიოს თასისთვის და თავიანთი სიძლიერეც არაერთხელ დაამტკიცეს წლეულს. გაზაფხულზე მწვანე კონტინენტზე ავსტრალიასთან გამართულ ტურში მხოლოდ 15:22 დამარცხებაც მოწმობს, რომ მათ უძლიერესებთან თანაბრად თამაში ძალუძთ.

ზაფხულის ბოლოს აშშ-ს განადგურება და კანადის შედარებით იოლად დამარცხებაც მათი კარგი ფორმის დასტურია. ბევრი ელის, რომ მათ შემადგენლობაში ახალგაზრდა ჯონი უილკინსონი გაიბრწყინებს. „ნიუკასლის“ 20 წლის მორაგბეს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

9 ოქტომბერს ახალ ზელანდიასთან მატჩში გაირკვევა, რამდენად რეალური შანსები აქვთ ინგლისელებს ტურნირის მოგებისა.

მწვრთნელი: კლაიფ ვუდვორდი

წინა ხაზი

გარეტ არჩერი, ნილ ბექი, რიჩარდ კოკრილი, მარტინ კორი, ლოურენს დალალიო, დარენ დარფერტი, ფილ გრინინგი, დენი გრუკოკი, რიჩარდ ჰოლი, მარტინ ჯონსონი (კაპ), ჯეისონ ლეონარდი, ნილ მაკარტი, ტიმ როდვერი, გრეჰემ რაუნტრი, ვიქტორ უბიგუ, ფილ ვიკერი, ჯო უორსლი.

უკანა ხაზი

ნიკ ბილი, მაიკ კეტი, მეტ დოუსონი, ფილ გლენვილი, პოლ ბრეისონი, უილ გრინვუდი, ჯერემი გასკოტი, ოსტინ ჰილი, ლეონ ლოიდი, დენ ლუგერი, მეტ პერი, ჯონი უილკინსონი, მარტინ ვუდი.

ტონგა

ტერიტორია:	675 კვ/კმ.
მოსახლეობა:	105 000
დედაქალაქი:	ნუკუალოფა
ერთვნული დღესასწაული:	4 ივნისი
ფულის ერთეული:	პაანგა
წინა გათამაშებები:	1987 ჯგუფიდან ვერ გავიდა 1991 შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლია 1995 წელი ჯგუფიდან ვერ გავიდა

ოკეანეთის სამი წარმომადგენლიდან ქართველებისთვის ნაცნობი ტონგა ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის, რასაც გაზაფხულზე მის მიერ საფრანგეთის დამარცხებაც ადასტურებს. ტონგელების თამაში ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. მათი ძლიერი მხარე უკანახაზელების ლაღი ბურთაობაა, მაგრამ „სიკვდილის ჯგუფიდან“ გასვლას ისინი ვერ მოახერხებენ. ახალი ზელანდია და ინგლისი ტონგას უეჭველად დაამარცხებენ. იტალიასთან კუნძულელებს გამარჯვების შანსი კი აქვთ, მაგრამ ეს მხოლოდ პრესტიჟის საქმე იქნება.

ასე რომ, ოკეანელთაგან გაბრწყინების ყველაზე ნაკლები შესაძლებლობა ტონგას აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული მატჩებისას მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კანადის და ვანკუორებით საფრანგეთის დამარცხება სახუმარო საქმე ნამდვილად არაა.

მეტ ტეპოუ თბილისში

ფოტო: ალექსანდრ ბურჯალიანი

ერთი სიტყვით, ჯგუფში დარჩენა და 2003 წლის მსოფლიოს თასის ლოდინი უფრო იოლ ჯგუფში მოხვედრის იმედით — აი, ტონგელთა საკვარაულო ხვედრი.

მწვრთნელი: პოლუტელე უიჰალამაკა

წინა ხაზი:

დევიდ ედვარდსი, პუკუ ფალეტაუ, კული ფალეტაუ, ისელი ფატანი, ტაუ ფაინგაანუკუ, ბენჰურ კივალუ, სონატანე კოლოი, ფალამანი მაფი, ლატიუმე მაკა, ტამიენი პენისინი, მეტ ტეპოუ, ნვალუ ტაუ, ტევიტა ტაუმოპი, ვა ტოლოკე, კატილიმონი ტუიპულოტუ, ფეა ვინიპოლა

უკანა ხაზი:

სელისი ფაკაოსიფოლო, სალესი ფინო, სილილო მარტენსი, ეპელი ტაიონე, ტაუნაპოლო ტაუფაჰემ, ფეპიკუო ტატაფუ, სიუმა ტაუმალოლო, სემი ტაუპეფუ, ტევიტა ტიუეტი, სტეკი ტიუპოლუტუ, სიონე ტიუპოლეტუ, ელიზა ვუნიპულა, ბრაიან ვოული.

B ჯგუფის კალენდარი

ინგლისი

2 ოქტომბერი	ინგლისი — იტალია	თვიქნემი
3 ოქტომბერი	ახალი ზელანდია — ტონგა	ბრისტოლი
9 ოქტომბერი	ინგლისი — ახალი ზელანდია	თვიქნემი
10 ოქტომბერი	იტალია — ტონგა	ლესტერი
14 ოქტომბერი	ახალი ზელანდია — იტალია	ჰადერსფილდი
15 ოქტომბერი	ინგლისი — ტონგა	თვიქნემი

REUTERS იაკოვიცედან

რონალდო კოსოვოში

ეს რონალდო ხომ საზოგადო მოღვაწე შეიქნა! ფეხბურთს აღარ თამაშობს და საზოგადო მოძრაობაში მონაწილეობა დიახაც რომ სასახელოა. სხვა ადგილებში ეგებ არც სჭირდებოდეს დაცვა. მაგრამ, როცა რონალდო ხარ და კოსოვოში ჩადიხარ, მცველები დიახაც გჭირდება. ხალხი კი სიხარულით ესალმებოდა პატარა ქალაქ იაკოვიცაში ჩასულ ბრაზილიელ ვარსკვლავს.

უეფას თასი. პირველი ეტაპი
მეორე წრე. 28 სექტემბერი

ლინცერი (ავსტრია) 2:3 სტიაუა (რუმინეთი) 0:2
1:0 შტუმპფი (5), 1:2 ს. ილიე (32), 1:3 ლუარ (59), 2:3 ანე (90)
დებრეცენი (უნგრეთი) 2:1 ვილლიუ�(ბელგია) 0:2
0:1 აკპობორი (25), 1:1, 2:1 საბო (54, 89)
მონპელიე (საფრანგეთი) 2:2 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (H
1:0 უედეკი (36), 1:1 იელიჩი (48), 2:1 ლოკო (52), 2:2 ბოშკოვიჩი (55ბ)

ინგლისი

I დივიზიონი

ჩარლტონი 4:0 სტოკპორტი

კრ. პალასი 1:1 ვულვერჰემპტონი

ნორვიჩი 1:0 მანჩესტერ სიტი

სვინდონი 2:1 ბლეკბერნი

II დივიზიონი

ბრენტფორდი 2:1 კარდიფი

რუსეთი

როსტსელმაში 4:2 ალანია

0:1 ბატისტა (7), 1:1 პეტრიაკოვი (37), 1:2 ჩაიკა (42), 2:2, 3:2 კირიჩენკო (48, 64), 4:2 პეტრიაკოვი (68)

ჩოგბურთი ლიმაში

დევისს თასისთვის ბრძოლა ყველგან ფიცხელია. მაშინაც კი, როცა ერთმანეთს ჩოგბურთის ისეთი მოთამაშენი ხვდებიან, როგორებიც მექსიკელები და პერუელები არიან. ლიმაში გამართულ გუნდურ პაექრობაში პერუელებმა მექსიკელებს სძლიეს და ნახეთ, როგორ ხარობს პერუელთა ლიდერი ტუფი ვენერო, რომელმაც მექსიკელ ლუის ენრიკე ერერას აჯობა და თავის ქვეყანას გაამარჯვებინა.

REUTERS ლიმადან

კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. ∂f3 d6 3. ϊb5+ ϊd7 4. ϊxd7+ ♕xd7 5. c4 ∂c6 6. ∂c3 ∂f6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. ∂xd4 ϊg7 10. ∂de2 ♕e6 11. ∂d5 ♕xe4 12. ∂c7+ ♔d7 13. ∂xa8 ♕xc4 14. ∂b6+ axb6 15. ∂c3 ♖a8 16. a4 ∂e4 17. ∂xe4 ♕xe4 18. ♕b3 f5 19. ϊg5 ♕b4 20. ♕f7 ϊe5 21. h3 ♖xa4 22. ♖xa4 ♕xa4 23. ♕xh7 ϊxb2 24. ♕xg6 ♕xe4 25. ♕f7 ϊd4 26. ♕b3 f4 27. ♕f7 ϊe5 28. h4 b5 29. h5 ♕c4 30. ♕f5+ ♕e6 31. ♕xe6+ ♔xe6 32. g3 fxg3 33. fxg3 h4 34. ϊf4 ϊd4+ 35. ♔h1 b3 36. g4 ♔d5 37. g5 e6 38. h6 ∂e7 39. ♖d1 e5 40. ϊc3 ♔c4 41. ϊxd4 exd4 42. ♔g2 b2 43. ♔f3 ♔c3 44. h7 ∂g6 45. ♔e4 ♔c2 46. ♖h1 d3 47. ♔f5 b1=♕ 48. ♖xb1 ♔xb1 49. ♔xg6 d2 50. h8=♕



REUTERS დეტროიტიდან

გამოთხოვება

„დეტროიტ ტაიგერსის“ ბეისბოლისტები მეტ ანდერსონი და კარიმ გარსია მშობლიურ „ტაიგერ სტედიუმის“ შესასვლელში ერთგულ ქომაგებს ესალმებიან. სულ მალე დაიწყება მატჩი „ტაიგერებსა“ და „კანზას სიტი როიალსს“ შორის, უკანასკნელი მატჩი ამ სტადიონზე. ახალი სეზონიდან „ტაიგერსი“ ითამაშებს ახალ არენაზე, რომელსაც „კომერიკა პარკი“ ჰქვია და დეტროიტის დაუნთაუნში წამოუჭიმავთ.



ჩილავერტი და ბავშვები

ბობოქარი პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი დიახაც რომ გულიანი კაცია და მთელი სამხრეთის გაჭირვებულებს ყურადღებას არ აკლებს. გასულ უქმეებზე ხოსე ლუისი ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ჩასულა და იქაურ ბავშვთა საავადმყოფოს, „პერეირა როზელს“ საჩუქრებით დახუნძლული მიდგომია. ამ სამი წლის გოგონას კიბოს დაავადება სტანჯავს და ერთადერთი, რაც ღრიალა მეკარეს შეუძლია, მისი სულ ცოტა ხნით გახალისებაა. ხოსე ლუისი ყოველთვის წრფელად მისდევს ამგვარ საქმეებს.

REUTERS მონტევიდეოდან

ამერიკა რაიდერს იბრუნებს

აჰა, შამპანურიც აფეთქდა. ამერიკელი მეგოლფ ჯასტინ ლეონარდი სწორედ ის კაცია, ვის მიერ მოპოვებულმა ბოლო ნახევარმა ქულამაც ამერიკ ნაკრებს განთქმული რაიდერის თასი დააბრუნებინა ბრუკლინის „ქანთრი ქლაბში“ მიმდინარე ამერიკ ევროპის სარაიდერო ჭიდილი რიგით ოცდამეცამეტე იყ და ამერიკელებმა თასი დაიბრუნ

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული პერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli